

178

№ 2-13

საბჭოთა საშრომობა

ს.ს.ს.წ.
რუსთაშინაშის
ქრისტეშული
ქრებანი

→ შინაურსი ←

- ი. ვარძიელი.—პარტიის გადაწყვეტილებანი სოფლის ღარობი გლეხობის შესახებ და მასთან დაკავშირებით იუსტიციის ორგანოთა ამოცანები.
 - ა. კაქარავა.— ამა წლის სახალხო მსაჯულთა არჩევნები.
 - ი. ტალახაძე.—სასამართლოს მორიგი ამოცანები.
 - ი. როინაშვილი.—საქ. ს. ს. რ. სისხლის სამართლის ახალი კოდექსი.
 - გ. ბააზოვი.— საბჭოთა კანონმდებლობის პენიტენციარული პოლიტიკა.
 - ხ. ამაღლობელი.— ლენინი, როგორც იურისტი.
 - დ. მირიანაშვილი.—საველდებულო დადგენილება.
 - ხ. ჩხეიძე.— სამრეწველო სამ. თლის პრობლემის წამოყენებისათვის.
 - შ. ზედგინიძე.—სისხლის სამართლის საპროც. კოდ. 145 მუხლის შესახებ.
- პრაქტიკოსის შენიშვნები: მ. ნახიძე.—მელობელობის აღდგენა.
- ე. როდონაია.—სასამართლოს აღმასრულებელი.
 - ი. კაციტაძე.—მცირე საქმეებისა და საადგილ-მამულო კოლეგიის შესახებ. ბ. ფ.—სახალხო მსაჯულების შესახებ.
- სასამართლო და ცხოვრება. ი. პ.—ლი.—ისევ ბიუროკრატის მის შესახებ.—ელ.—სასამართლოს კურონაშვი.

№ 2
15 იანვარი
1928

ქრონიკა.
კანონმდებლობის მიმოხილვა.
ოფიციალური ნაწილი.

1928 წლის 1 იანვრიდან

გ ა მ დ ი ს ს. ს. ს. რ. იუსტიციის სახელწოდებით
ორკვირეული ორგანო

„ს ა ბ ჯ ო ტ ა ს ა მ ა რ ტ ა ლ ი“

„საბჭოთა სამართალი“ ისახავს მიზნად გაუწიოს იდეური ხელმძღვანელობა იუსტიციის მუშაკებს და გააშუქოს სასამართლო-უფლებრივი საკითხები, როგორც თეორიული აგრეთვე პრაქტიკული ხასიათისა საბჭოთა კანონმდებლობის და ხელისუფლების პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიხედვით.

„საბჭოთა სამართალი“ დიდ ყურადღებას აქცევს სასამართლო მუშაობის პრაქტიკულ მხარეს და დაეხმარება სასამართლოს დარგში ყველა მომუშავეთ სათანადო მასალის მიწოდებით, სადაო საკითხების განმარტებით, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვით, კოდექსების სხვა და სხვა მუხლების ახსნა-განმარტებით და კომენტარიებით.

„საბჭოთა სამართალი“ დიდ ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე სასამართლო დაწესებულებებში ბიუროკრატიზმთან ბრძოლას და დაუნდობლად ამხელს იუსტიციის მუშაკთა უარყოფით მხარეებს.

ჟურნალში დათმობილი ექნება ადგილი პენიტენციასულ, სამილიციო და სისხლის სამართლის საქმეებზე მილიციის მუშაობას.

გარდა თეორიული და პრაქტიკული ხასიათის წერილებისა ჟურნალში იქნება აგრეთვე
შემდეგი განყოფილებები:

საბჭოთა კანონმდებლობის მიმოხილვა, სასამართლოს ცხოვრება, მართალია, გიგლიოგრაფია, იურიდიული დახმარება (კითხვა-პასუხი), ოფიციალური ნაწილი (დადგენილებები, განმარტებები, ინსტრუქციები, ცირკულარები), ფოსტა, განცხადებები და სხვ.

ჟურნალში თანაშორელობას შექმნის კანონები:
(ანბანზე)

ალხვი ა., ამაღლობელი ს., ანდრონიკაშვილი ლ., ბაზოვიგ., გაბაშვილი, დ., გალუხტიანი ა., დოლიძე თ. ვარდანიანი ს., ვარძიელი ი., იუზბაშვილი გ., კაჭარავა ა., კოსტავა ა., ლუნკევიჩი ვ., მანარაძე ფ., მენხიშვილი შ., მიქელაძე კ., ნანეიშვილი გ., ნუცუბიძე შ., პავლიაშვილი ი., პლეტიკოვა კ., როინაშვილი ი., რცხილაძე გ. ხიჭინავა ი., სურგულაძე ი., ტალახაძე ი., ტატიშვილი ე., ქავთარაძე პ., ქორქაშვილი მ., შავერდოვი ა., შურღია ლ., ჩხეიძე ს., ჯაფარიძე ს. და სხვ.

პასუხისმგებელი რედაქტორი: ი. შარკიძე

სარედაქციო კოლეგია: ი. ტალახაძე, ა. კაჭარავა, პროფ. შ. ნუცუბიძე, ი. როინაშვილი, ს. ჯაფარიძე, კ. მიქელაძე, პ. ქავთარაძე.

ხელის მოწერის ფასი: წლიურად—10 მან., 6 თვით—5 შ. 50 კაპ., 3 თვით—3მ.
ფასი თითო ნომრისა—50 კაპ.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, ტრიბუნალის ქ. № 32 ტელეფონი № 13—68.

საბჭოთა საბჭოთა

№ 2

15 იანვარი 1928 წ.

№ 2

34(05)

ს/3 პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

რადიკალური და კანტორის
მიხედვით:

ტფილისი, ტრიბუნალის
ძ. № 32

ტელ. № 13-68

სელისმოწერის უანი:

წლიურად — 10 მან.
6 თვით — 5 მ. 50 კ.
3 თვით — 3 მ.
1 ნომერი 50 კ.

პარტიის გადაწყვეტილებანი სოფლის ღარიბი გლეხების უსახეობ და მასთან დაკავშირებით იუსტიციის ორგანოთა ამოცანები.

ახალმა საბჭოთა იუსტიციამ შესცავა ქველი მემკვიდრეობა და ბურჟუაზიული იუსტიცია, რომლის ორგანოთა დანიშნულებაა სახელმწიფოებრივი აპარატის საერთო სისტემაში უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანების განხორციელება. სწორედ ესაა, როდესაც საბჭოთა რესპუბლიკები განიცდიან სოციალისტური მშენებლობის განვითარების ხანას, როდესაც სამინაო და საგარეო ცხოვრების ურთულეს პირობებში მთელი თავისი სიმწვევით წამოჭრილია პირობებში მთელი თავისი იუსტიციის ორგანოთათვის დაკისრებულ პოლიტიკურ ამოცანებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევათ. პროლეტარიატის და გლეხობის შეკავშირება, როგორც ძირითადი პოლიტიკური პრობლემა, აუცილებელი პირობაა სოციალისტური მშენებლობის წარმატებისათვის და კონკრეტულად გამოიხატება სოფლად პარტიის პოლიტიკის სწორე გეზით წარმართვაში. პოლიტიკური და სამეურნეო ხასიათის ღონისძიებანი სოფლის ღარიბი ელემენტის ჩასამხელად სოციალისტური ეკონომიკის სფეროში, მისი დაახლოვება, დაკავშირება საშუალო გლეხობასთან და კულაკების პოლიტიკურად გარიყვა—აი პარტიის პოლიტიკის ძირითადი მომენტი სოფლად; იგი გამომდინარეობს ლენინის მოძღვრებიდან: „ყველაზე ძირითადი, ყველაზე არსებითი საკითხი, ამბობს ლენინი, ეს არის მუშათა კლასის ურთიერთობა გლეხობასთან, ეს არის მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან... ეს არის ცოდნა და გამოცდილება იმ მოწინავე მუშებისა, რომლებმაც დიდ ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობით განვლეს მძიმე, ხანგრძლივი, მაგრამ კეთილშობილი სკოლა. ეს არის მათი ცოდნა და მოხერხება საქმე დააყენონ ისე, რომ თავის მხარეზე მიიზიდონ გლეხობა“ (ლენინი XVIII ტ. ნაწ. I გვ. 432).

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ აქ პარტიის მიერ ღარიბი გლეხობის შესახებ მიღებული მთელი რიგი იმ დადგენილებათა და დადგენილებათა, რაც უშუალოდ ეხება იუსტიციის ორგანოებს. ჯერ კიდევ პარტიის მე-13 ყრილობამ უპირველეს ამოცანად მიიჩნია „იმ შეღავათების დაცვა და მათი განხორციელებისათვის თვალყურის დევნება, რაც კანონით მინიჭებული აქვთ უღონო გლეხებს“ (მაგ. საგადასახადო შეღავათისა, შეღავათისა ხე-ტყის გაცემის დროს, კულტურულ მეურნეობაზე გადასვლის დროს. მიწათმოწყობის დროს და სხვა). იგივე ყრილობა აღნიშნავს, „რომ მთელი რიგი იმ კანონებისა, რომლითაც სოფლის უღარიბესი გლეხობის ინტერესებია დაცული. სოფლად ვერ აღწევს და ამის მიზეზია, როგორც საბჭოთა აპარატის ნაკლი, ისე სოფლის ლატაკების ჩამორჩენილობა. ამის გამო პარტიული ყრილობა სავალდებ-

ულად სოფლის ყველა პარტიული და ახალგაზრდა კომუნისტური ორგანიზაციებისათვის სოფლად, რათა მათ თავისი მუშაობის და საბჭოთა ორგანოების მუშაობის ხანით ყოველი ღონე იხმარონ სოფლის უღარიბესი ნაწილისათვის კანონით მინიჭებული შეღავათების განსახორციელებლად (საგადასახადო შეღავათი, შეღავათი ხე-ტყის გაცემის დროს, სათესელ სესხის განაწილების დროს, კრედიტის დარგში, იმ მიწების განთავსებულზე გადასახადისაგან, რაც ფაქტიურად გლეხებს უჭირავთ იჯარით და სხ.).

შემდეგ, მე XIV პარტიულმა კონფერენციამ რევოლუციონური კანონიერების განმტკიცების შესახებ გამოტანილ დადგენილებებთან ერთად სცნო, რომ სოფლის მიმართ პროლეტარული ხელმძღვანელობის ძირითად მეთოდით უნდა სხვათა შორის ჩაითვალოს გატარება, რევოლუციური კანონიერების დაცვით, ისეთი საკანონმდებლო და საგადასახადო ღონისძიებისა, აგრეთვე სათანადო ღონისძიებისა ადგილებზე, რომელთა მიზანია სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატისა და სოფლის ლატაკების ინტერესების დაცვა.

ჩვენი პარტიის ცეკას პლენუმის სხდომა 1925 წლ. ოქტომბრის 10-ს სპეციალურად მოწვეული იყო იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ როგორ უნდა იმუშაოს პარტიამ და სახელმწიფო აპარატმა სოფლის ღარიბი ნაწილის შორის.

ამ პლენუმის გადაწყვეტილებანი იმდენათ საყურადღებოა და მათ იმდენათ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ, რომ საჭიროდ მიგვაჩნია მათი დაწვრილებითი და ყოველმხრივი გაშუქება.

მთავარი, რაც უნდა გადაწყვიტა პლენუმს იყო ის, თუ დღევანდელ დღეს, დღევანდელ საერთო პოლიტიკურ პირობებში რა გზა უნდა გაიყვანას პარტიას, რომ რაც შეიძლება უკეთესად შეეკავშირებინა სოფლის ღარიბი გლეხობა პარტიის ირგვლივ. გაეპარწყლებინა კულაკების გავლენა საშუალო გლეხობაზე და ეს უკანასკნელი დაეყენებინა პარტიისა და პროლეტარიატის კვალზე.

პლენუმმა გაითვალისწინა რა ის დებულება, რომ სამეურნეო სასტემების განვითარება ხდება სხვა და სხვა, ერთი მხრის საწინააღმდეგო ტენდენციებით, აღნიშნა რა ამ ტენდენციების ბრძოლა და აგრეთვე ის პირობებიც, რომლებიც საჭიროა მეურნეობის სოციალისტური ელემენტების გასამარჯვებლად, სცნო, რომ დღევანდელ დღეს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ეძლევა გლეხობის მასებში კოოპერაციის ქსელის ფართოდ გაშლას, საბჭოთა მუშაობის გამოცოცხლებას და ამასთან დაკავშირებით ღარიბი გლეხობის ორგანიზაციისა და საშუალო გლეხობისათვის ბრძოლის გაძლიერებას.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა საკითხი პარტიისა და ხელისუფლების გარშემო ღარიბი გლეხობის და მოჯამაგირეთა შეკავშირების შესახებ, საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი ხელმძღვანელობა უნდა გაეწიოს ამ ღარიბი გლეხობის და მოჯამაგირეთა ორგანიზაციის საქმეს და რა სახით უნდა ჩამოყალიბდეს ეს ორგანიზაცია, აგრეთვე, რა მატერიალური, კულტურული და პოლიტიკური დახმარების გაწევა ჰპარტობს პარტიას და სახელმწიფო ხელისუფლებას; პრაქტიკულ ღონისძიებათა შორის დაისახა ისეთი ამოცანები, რაც პირდაპირ იუსტიციის ორგანოთა მუშაობას შეეხება, სახ. ლდობრ: „ყოველი ღონე იყოს მიღებული სოფლის უღატაკესი გლეხობის ინტერესების დასაცავად გამოკეცილი კანონებისა და ამ კანონებით გლეხობისათვის მინიჭებული შეღავათების განსახორციელებლად. საბჭოების, კოოპერატივების და გლეხკომების მთელ მუშაობაში პარტიულმა ორგანიზაციებმა ახ. კომკავშირის აქტიური დახმარებით უნდა ითავონ უღარიბესი გლეხობის ორგანიზაცია და მთი ინტერესების დაცვა სათანადო ორგანოებში (მაგ. მიაღებინონ ღარიბი გლეხის ბავში სკოლაში, დაიცვან ღარიბი სასამართლოში, ხელმისაწვდომი გახადოს ღარიბისათვის კოოპერაცია, ყოველდღიური დახმარება გააწიონ უღარიბესი გლეხობიდან გამოსულ სოფლის კორესპონდენტებს და სხვ.)“

გარდა ამისა პლენუმმა საჭიროდ მიიჩნია უღარიბესი გლეხობის აქტიურ მომუშავეთა ჩაბმა სოციალისტური მშენებლობის საქმეში და ამათთან ყოველი ღონის ხმარება იმისთვის, რომ სოფლის საზოგადოებრივი ორგანოების ხელმძღვანელებად იყვნენ ღარიბი გლეხობიდან გამოსულნი მუშაენი. ხოლო ა უკანასკნელთა შორის ყველაზე უფრო მომქმედნი ჩააბან პარტიულ ორგანიზაციებში, რადგანაც—ეს უნდა კარგათ გვახსოვდეს,—კომუნისტური პარტიის ყველაზე უფრო საიმედო მტკიცე საყრდნობი სოფლად არის გლეხობის პროლეტარული ან ნახევრად პროლეტარული ნაწილი“.

ჩვენი პარტიის მე-XIV ყრილობის დადგენილებებიდან ჩანს, როგორ დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევს პარტია სოფლად სწორი გეზით მუშაობას.

„კულაკებთან საბრძოლველად საჭიროა, ერთის მხრივ, ღარიბი გლეხობის დარაზმვა კულაკებს წინააღმდეგ, ხოლო, მეორე მხრივ, პროლეტარიატის და ღარიბი გლეხობის დაკავშირება საშუალო ელემენტებთან ამ უკანასკნელების ჩამოსაშორებლად კულაკებისაგან და კულაკების გასარიყავად“.

ყრილობამ გადაჭრით უარჰყო ის მავნე გადახრა სოფლის საკითხში, რომლის მიერაც მოსახლეობის დაჯგუფება, დიფერენციაცია არ იყო სათანადოთ შეფასებული, რომელმაც ალო ვერ აულო კულაკების და სხვა კაპიტალისტური ექსპლოატაციის ზოდა-განვითარებასთან შექმნილი საფრთხის, რომელსაც არ ესმოდა და არც სურდა შეეგნო, რა მწვავე საჭიროებას წარმოადგენს კულაკების ალაგმვა და მათი ექსპლოატატორული ზრახვებისათვის ფრთების შეკვეცა, და რომელიც არ სთვლიდა პროლეტარიატის პარტიის მოვალეობათ ღარიბი გლეხობის და მოჯამაგირეების დარაზმვა შეკავშირებას კულაკების საწინააღმდეგოდ, მათთან საბრძოლველად. ყრილობამ დაჰგმო აგრეთვე მეორე მავნე გადახრა, რომელიც ცდილობდა როგორმე შეუქმნეველად ჩაეტარებინა მთავარი საკითხი, სახელდობრ საშუალო გლეხობისათვის ბრძოლის საკითხი და ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ აუცილებლად საჭიროა ამ გადახრასთან ბრძოლა, სავსებით მოიწონა XIV პარტიული კონფერენციის მიერ გლეხთა საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებანი (მათ შორის საიჯარო უფლებისა და დაქირავებული შრომით სარგებლობის უფლების გაფართოების შესახებ, შინამრეწველობისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ, ადმინისტრაციული შემოქმედების სასტემიდან ეკონომიურ შეჯებრებასა და ეკონომიურ ბრძოლაზე გადასვლის შესახებ, საბჭოთა მუშა-

ობის გაცხოველების შესახებ და სხვა), რომელნიც მიმართულია პარტიის პოლიტიკის გასამტკიცებლად მუშათა კლასის და გლეხობის შორის კავშირის განმტკიცების ხაზით.

დასასრულ ყრილობამ მოლიანად და სავსებით დაადასტურა ცეკას ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი სოფლის უღარიბესი გლეხების შორის მუშაობის შესახებ.

ოქტომბრის პლენუმის დადგენილების დღიდან პარტიამ სოფლად მუშაობის დღიურ წესრიგში შეიტანა ახალი საკითხი—საკითხი სოფლის ღარიბი გლეხობის ორგანიზაციისა ცალკე ჯგუფად და ამ გლეხობის მონაწილეობით კრებების ჩატარებისა.

ეს ფრიად მნიშვნელოვანი მომენტი სოფლად მუშაობაში იმდენად სერიოზული და რთული აღჩნდა, რომ საჭირო შეიქმნა ცეკას საორგანიზაციო ბიუროს 1926 წლის ივნისის 24 ის სპეციალური დადგენილება.

„ცეკას ოქტომბრის პლენუმის და XIV ყრილობის გადაწყვეტილებანი ღარიბი გლეხობის შორის მუშაობის შესახებ,—ნათქვამია საორგ. ბიუროს აღნიშნულ დადგენილებაში,—მჭიდროთ არის დაკავშირებული პარტიისათვის დაკისრებულ ამოცანასთან—პარტიის გარშემო ღარიბი გლეხობის შეკავშირების საქმესთან, რომელსაც უნდა ანხორციელებდეს ყოველი პარტიული ორგანიზაცია ყოველი უჯრედი სოფლად, ყოველი კომუნისტა თავი ყოველდღიურ მუშაობაში, რადგანაც იგი ძირითადი უმთავრესი ნაწილია პარტიული მასიური მუშაობისა სოფლად. პარტიის გარშემო ღარიბი გლეხობის ორგანიზაციულად შეკავშირება წინედაც ჰქონდა დასახული პარტიას, როგორც ერთი უმთავრესი ამოცანა, მაგრამ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ესლა, როდესაც პარტიის მუშაობა საერთოდ მიმართულია საბჭოების გამოსაცოცხლებლად, საბჭოთა და კოოპერაციის ირავლი პარტიის ხელმძღვანელობით უპარტო გლეხების აქტივის შესაქმნელად, როდესაც მთელი ჩვენი ძალონე სოფლად უნდა მოხმარდეს ღარიბსა და საშუალო გლეხებს შორის კავშირის განმტკიცებას კულაკების საწინააღმდეგოთ, მათთან საბრძოლველად“.

ცეკას საორგ. ბიურო წინადადებას იძლევა, რაც შეიძლება ფართოდ და სისტემატიურად ეწყობოდეს ღარიბი გლეხობის კრებები იმ სოფლებში, სადაც პარტიული უჯრედებია, აგრეთვე იქაც, სადაც თუმცა ასეთი უჯრედი არ არის, მაგრამ შესაძლებელია პარტიული ხელმძღვანელობა (მაგ. საამისოდ გაგზავნილი ამხანაგების მეშვეობით ან სხვა რამ ღონისძიებით).

საორგ. ბიურო დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევს ღარიბი გლეხობის კრებებს და წინადადებას იძლევა ასეთი კრებები ეწყობოდეს როგორც საერთო გლეხობის კამპანიების ჩატარების დროს (საბჭოთა საარჩევნო კამპანიისათან, კოოპერაციის ან სავადა ახადო კამპანიისათან და სხვ.), ისე ცალკე, გლეხებისათვის ყველაზე უფრო საყურადღებო პრაქტიკული საკითხების გამო (მაგ. მიწათმოწყობის, კრედიტის და სხვ.)

საორგ. ბიუროს იგივე დადგენილებას საჭიროდ მიაჩნია ღარიბი გლეხობის კრებების გარდა, ამ გლეხების დაჯგუფება და ასეთი ჯგუფების შექმნა იმ სოფლებში, სადაც არსებობს უჯრედი ან კომ. პარ. (ბ) სათემო კომიტეტი. „ღარიბი გლეხების ჯგუფები, ნათქვამია აღნიშნულ დადგენილებაში, შეიძლება მოეწყოს საბჭოებთან, კოოპერაციის და გლეხთა კომიტეტის გამგეობასთან, ამ საბჭოების და გამგეობის ღარიბი და მოჯამაგირე წევრებისაგან. ასეთი დაჯგუფების მიზანს უნდა შეადგენდეს აღნიშნულ ორგანიზაციების მუშაობაში სოფლის ხელმოკლე გლეხების ინტერესების ორგანიზაციულად დაცვა...“

დასასრულ, არც მე-XV პარტიულ კონფერენციამ დასტოვა უყურადღებოთ ღარიბი გლეხობის საკითხი.

„სასოფლო მეურნეობის ყოველი ღონისძიება, ამბობს მე-XV პარტკონფერენცია, უნდა მიმართული იყოს მუშებზე კავშირის განსაძტიკივებლად გლეხობის ძირითად მასასთან — ღარიბი და საშუალო შემძლებას გლეხებთან. მომავალშიაც ამ თვალსაზრისით უნდა მივაწოდოთ გლეხებს სასოფლო-სამეურნეო მანქანები და სხვა საქონელი. აგრეთვე, უნდა მოვაწყოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის და სოფლის ღარიბი ნაწილისათვის დახმარების აღმოჩენის საქმე (ხელმოკლე გლეხების განთავისუფლება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, განსაკუთრებული კრედიტის მაცემა სოფლის უღარიბესი ნაწილისათვის, მეურნეობის კოლექტიური ფორმების განვითარებისათვის ხელის შეწყობა და სხვა)“.

ამ რიგად აქ მოყვანილ გადაწყვეტილებათა მიხედვით ჩვენი მივლინარ უმძღვე დასკვნამდე:

ა) ღარიბი გლეხობა პროლეტარიატის და მისი პარტიის ერთ-ერთი საიმედო საყრდნობაა სოფლად, ხოლო მოჯანაგირენი — ინდუსტრიალური პროლეტარიატის ერთ-ერთი უნცროსი რაზმა.

ბ) ღარიბი გლეხობის ინტერესებისა და უფლებების დაცვა არის პარტიის აქტუალური ამოცანა.

გ) ღარიბი გლეხობის შეკრება და ორგანიზაციულად დაჯგუფება წარმოადგენს სოფლად მუშაობის საუკეთესო მეთოდს, რომელიც ყველაზე უკრო მეტად შესაბამებდა პარტიის ძირითად ამოცანებს სოფლად.

დ) ღარიბი გლეხობის შესახებ პარტიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ჩ. მოყალიბდენ მთავრობის მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებად, რომელთა შესრულებაც შეადგენს უაღრესად მნიშვნელოვან პოლიტიკურ ამოცანას.

ცხადია და ბუნებრივი, რომ სოფლის ღარიბი მოსახლეობა წარმოადგენს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის მძლავრ საიმედო ბაზას სოფელში. აქედან საესებთი გასაგებია პარტიის პოლიტიკის ძირითადი ამოცანა — განამტკიცოს კავშირი საშუალო გლეხობსთან და ხელი შეუწყოს ღარიბი გლეხობის სამეურნეო და პოლიტიკური ძალების ზრდას და ყველა ამასთან ყოველი ღონე იხმაროს იმისათვის, რომ ღარიბი გლეხობა გახდეს ნამდვილი გამტარებელი მუშათა კლასის გავლენისა სოფლად. ღარიბი გლეხობისათვის დახმარების აღმოჩენის საქმე უკვე ნაწილობრივ შესრულებულია, გამოცემულია მრელი რიგი კანონებისა, რომელთაც ამ გლეხობას ენიჭება სხვა და სხვა უფლება და შეღავათი, მაგ. მიწადმოწყობის დარგში, სხვა და სხვა სამეურნეო გადასახადის, კოოპერაციის, ურთიერთ დახმარების და სხვა დარგებში.

ამ რიგად პარტიის პოლიტიკა მისი დიადი მიზნით, რომელიც მიმართულია ღარიბი გლეხობის საკითხდღვით, უსახავს საბჭოთა აპარატს უაღრესი მნიშვნელობის ამოცანებს.

ეს ამოცანები, როგორც გვიჩვენებენ ჩვენა პარტიის ზემოთაღნიშნული გადაწყვეტილებანი, უმუშაოდ ეხებიან იუსტრაციის ორგანოთა მუშაობასაც.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია გამოვარკვიოთ, რა პრაქტიკულ ღონისძიებათა მიღება მართებს იუსტრაციის ორგანოთ აღნიშნულ სფეროში. ამისათვის კი უპირველეს ყოვლისა საჭიროა გამოირკვეს თვით მუშაობის ხასიათი.

აქ პრაქტიკულ მუშაობისათვის უწინარეს ყოვლისა ფართო ასპარეზს იძლევა საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდა, გაცნობა ფართო მოსახლეობისათვის იმ კანონებისა, რომელთაც დაკუთვლია ღარიბი გლეხობის უფლებები და ინტერესები, მაგ. კანონმდებლობა შრომის შესახებ, საიჯარო ურთიერთობისა, შემბოქველი გარიგების, მევახშეობისა და სხვ. შესახებ, გაცნობა აგრეთვე იმ შეღავათების და უპირატესობისა, რაც მინიჭებული აქვს ღარიბ გლეხობას საბჭოთა კავშირის კანონებით და ამ შეღავათების თუ უპირატესობათა განხორციელებისათვის ყველა ყურის დევნა.


კერძოდ საჭიროა განსაკუთრებლად დაწვრილებით და ყოველმხრივ განიმარტოს კანონმდებლობა ღარიბი გლეხობის საკრედიტო ფონდისა და ყველა იმ შეღავათის შესახებ, რაც მისთვისაა დაწესებული, მაგ. შეღავათი ხე ტყის გაცემის დროს, ტყის გაცემის დროს საძოვრად, საბალახედ, ფიჩხის გამოსატანად და სხვ., შეღავათი სათესლე მასალის მიცემის დროს, შეღავათი სახელმწიფო დაზღვევის დარგში, საგადასახადო შეღავათი, ამასთან უნდა ყურადღება მიექცეს იმას, რომ კანონი ანთავისუფლებს რა სრულიად ღარიბ გლეხობას სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, ანიჭებს ამავე დროს მაზრის აღმასკომებს უფლებას შექმან ფონდი გადასახადის შესამცირობლად ღარიბი გლეხობის ისეთი ნაწილისათვის, რომლის შემოსავალი სულზე და მეურნეობაზე აღემატება იმ მინიმუმს, რასაც გადასახად არ დაედება. უმძღვე, აუცილებლად საჭიროა აგრეთვე განემარტოს ღარიბ გლეხობას, რომ მას კანონით მინიჭებული აქვს შეღავათი აგრონომიული დახმარების დარგში, გასაქირავებელი პუნქტების მოწყობისა, საექიმო, საბეითლო, საკოოპერაციო, ურთიერთ დახმარების და სხვ. დარგში. ყველა ამ შეღავათების ასეთი დაწვრილებით ზედმიწევნით გაუშუქება და განმარტება საჭიროა იმ მოსახლებითაც, რომ ჯერ კიდევ დღესაც ხშირია შემთხვევა, როდესაც ღარიბ გლეხობას სრულიად არ მიუღია დაწესებული შეღავათი და თუ მიუღია არა თავის დროზე ან ნაკლები.

ასეთი შემთხვევა მრავალია, ამის მაგალითებით საესეა ჩვენი ყოველდღიური პრესა. ყველა ეს ადასტურებს ერთს: ღარიბ გლეხობას არ ეძლევა სრულიად ყველა იმ შეღავათი, რაც მისთვის კანონითაა დაწესებული და აი აქ მართებს იუსტიციის მუშაკ სოფლად, მეტადრე პროკურატურას, ყოველი ღონე იხმაროს ამ არანორმალური მოვლენის აღმოსაფხვრელად. საშეღავათო კანონმდებლობის განმარტების გარდა საჭიროა სათანადო ინსტანციაში დაისვას საკითხი იმის შესახებ, რომ გლეხობისათვის მინიჭებული შეღავათები რაც შეიძლება სრულიად და მიზანშეწონილად იქნეს გამოყენებული.

აი ამაში უნდა გამოიხატოს ღარიბი გლეხობისათვის საბჭოთა კანონებისა და ამ კანონებით დაწესებული შეღავათების გაცნობის საქმე. მაგრამ ეს მუშაობა კანონმდებლობის პროპაგანდის მხრივ მარტო ამითი არ უნდა ამოიწუროს. საჭიროა, სათანადო აღმზრდელი ხასიათის მუშაობა ტარდებოდეს ღარიბი გლეხობის აქტივთან საბჭოებში, აღმასკომებში, ამ უკანასკნელთა სექციებსა და კომისიებში, სახალხო მსაჯულების, საზოგადო ბრალმძებლების, სოფლის კორესპონდენტების, ქობ საკითხველოს მუშაკების და სხვ. შორის, მომქმედი კანონმდებლობის გასამარტავად იმ ნაწილში, რაც საბჭოთა აპარატის პირველი საფეხურის ორგანოთა მუშაებს შეეხება.

გარდა ამისა სრულიად დამოუკიდებლად უნდა იქნეს შესწავლილი და დამუშავებული კანონმდებლობა მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ, ბიუროკრატიაზმისა და გაქიანურების საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ და სხვ. ათვის თავად ცხადია, რომ მუშაობა მომქმედი კანონმდებლობის შესასწავლად და განსამარტავად არ უნდა შემოიხაზოს მხოლოდ ღარიბი გლეხობის აქტივით. ამ მუშაობაში უნდა ჩაებას ყოველი ცოცხალი ძალა საბჭოთაპირველ საფეხურის აპარატისა, მთელი გლეხური აქტივი, განსაკუთრებული ყურადღება, სხვათა შორის, უნდა მიექცეს ახალგაზრდობას, ახკომკავშირელთ და დღევგატქალებს. მათ უპირველეს ყოვლისა უნდა გაიცნონ, შესისწავლონ მომქმედი კანონმდებლობა იმ ნაწილში, რაც სოფელს შეეხება.

სოფლად მუშაობის შემდეგ ეტაპს უნდა შეადგენდეს ღარიბი გლეხობის ინტერესების დაცვა სასამართლოებში. აქ სახალხო მოსამართლეებს შესაძლებლობა აქვთ საქმით გააცნონ ღარიბ გლეხობას ჩვენი სასამართ-



ლოების კლასური პრინციპი, უჩვენონ როგორ მფარველობას უწევს მათ ჩვენი კანონი და როგორ იცავს მათ ინტერესებს. აქ შეიძლება ასევე თვალსაჩინოდ ჩატარდეს გლახების წინ საქმეები შენობოქველ გარიგებათა შესახებ, სავაზხო კაპიტალის სხვა და სხვა ფანდების, შრომის კანონთა დარღვევის შესახებ, განსაკუთრებით დაქირავებული შრომის ექსპლოატაციისა და სხვ. შესახებ.

არა ნაკლები მნიშვნელოვანია მუშაობა სოფლისათვის და უწინარეს ყოვლისა ღარიბი გლეხობისათვის იურიდიული დახმარების აღმოჩენის დარგში. ეს მუშაობაც უნდა მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ღარიბ გლეხობის მიერ საბჭოთა კანონმდებლობის შესწავლის საქმესთან.

აღნიშნული მუშაობა უნდა სწარმოებდეს სისტემატურად გეგმაშეწონილად—ეს არის ძირითადი პირობა ამ მუშაობის წარმატებით შესრულებისათვის.

შემდეგ, როგორც ზევითაა ნათქვამი, სოფლად მუშაობის ერთ-ერთ მხარეს უნდა შეადგენდეს ღარიბი გლეხობის, მეტადრე მოჯამაგირეების დაცვა ჩვენ სასამართლოებში. აქ მოსამართლეებმა და პროკურორებმა უნდა მჭიდროდ კავშირი იქონიონ სასოფლო-სამეურნეო მუშების პროფკავშირის ძირეულ უჯრედთან და ახლო გაეცნონ მომრიგებელი კომისიების მუშაობას.

სახელმწიფო აპარატის სისტემაში იუსტიციის ორგანოებს დაკისრებული აქვთ დიდად მნიშვნელოვანი, მრავალფეროვანი ამოცანები, რომელნიც უშუალოდ ეხებიან მშრომელთა ფართო მასის, მეტადრე ღარიბი გლეხობის ინტერესებს. იმავე დროს ეს ამოცანები თავისი შინაარსით, არსებითად, წარმოადგენენ დიდი მნიშვნელობის პოლიტიკურ ამოცანებს, რომელნიც დაუსახავს ჩვენ პარტიას ამ გარდამავალი ხანისათვის.

ამ ამოცანების სათანადო განხორციელება შეიძლება უწინარეს ყოვლისა ორგანიზაციულად შეკავშირებულ საზოგადოებრივ ძალთა შორის. და აი სწორედ ასეთ კლასიური ხასიათის, ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულს, საკმაოდ მონოლიტურ საზოგადოებრივ ძალას წარმოადგენს ღარიბი გლეხობა სოფლად.

ორგანიზაციული ფორმები შექმნილია. საჭიროა მხოლოდ მათი შევსება ჯანსაღი, პროლეტარული იდეოლოგიით გამსჭვალული შინაარსით.

იუსტიციის ორგანოთა მუშაობა სოფლად ღარიბი გლეხობის ფართო მასებში მოგვეცემს ახალი ფორმებისათვის სწორედ იმ შინაარსს, რომლის ღირებულება და მნიშვნელობა არა ერთხელ აღნიშნა ხაზგასმით ჩვენმა პარტიამ თავის ყრილობებსა და კონფერენციებზე.

ი. ვარძიელი.

აგა წლის სახალხო მსაჯულთა არჩევნები.

ს. ს. ს. რ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით სახალხო მსაჯულთა არჩევნებში შეტანილია პრინციპული ხასიათის ცვლილება. დღემდე სახალხო მსაჯულთა არჩევნები ხდებოდა ფაქტარქიზმების და ადგილობრივების, თემალმასკომების და ჯარის ერთეულების უფროსების მეშვეობით, რომლებიც მსაჯულთა სიას ადგენდნენ და აქვეყნებდნენ 7 დღის განმავლობაში თვალსაჩინო ადგილებზე იმ მიზნით, რომ მშრომელთა მასას მისცემოდა შესაძლებლობა აცილება განეცხადებია სიაში შეტანილ ამა თუ იმ არა სასურველ პირის შესახებ. ამის შემდეგ შედგენილი სიები გადაეგზავნებოდა დასამტკიცებლად კომისიებს ზე უკანასკნელით თავდებოდა მთელი პროცედურა. ასეთი წესით სიის შედგენა დღეს ცაკის პრეზიდიუმის მიერ გაუქმებულია. შემოღებულია აგრეთვე წესი, რომლის მიხედვითაც სახალხო მსაჯულთა არჩევნები უნდა მოხდეს

საერთო კრებებზე ისე, როგორც ხდება საბჭოთა არჩევნები.

ცაკის ასეთი დადგენილება სასამართლო ორგანოსათვის დიდ მნიშვნელოვანია. მთელი მშრომელი მოსახლეობა აქტიურ მონაწილეობას მიიღებს თავის მოსამართლეთა არჩევანში, ვინაიდან საბჭოთა სასამართლოს სახალხო მსაჯული საქმის გარჩევისა და გადაწყვეტის დროს იმავე უფლებებით არის აღჭურვილი, როგორც თვით მუდმივი მოსამართლე, რომელიც მარტო თავმჯდომარის სახით ხელმძღვანელობს სასამართლოს სხდომას.

სახალხო მსაჯული, ასეთი უფლებებით აღჭურვილი, სასამართლოს წყობილების დებულებით შეიძლება იყოს ს. ს. ს. რესპუბლიკის ყველა მშრომელი მოქალაქე ორივე სქესისა, რომელსაც აქვს საარჩევნო უფლება, აქტიური და პასიური, ე. ი. უფლება სხვაზე აირჩიოს და თვითონაც არჩეულ იქნეს საბჭოს წევრად, თუ ის შებედავლი არ არის, არც სასამართლოს განაჩენით და არც საზოგადოებრივ ან პროფესიული ორგანიზაციების დადგენილებით.

საბჭოთა სასამართლოს სახით შექმნილია სახელმწიფოს ისეთი ორგანო, სადაც მტკიცეთ ჩამოყალიბებულია მშრომელი ხალხის კლასობრივი მისწრაფება.

ჩვენი სასამართლოების მუდმივი შედგენილობა (სასამართლოს თავმჯდომარე აირჩევა ერთი წლით) შევსებულია მშრომელთა წარმომადგენლებით. ასეთივე შედგენილობის უნდა იქნეს სახალხო მსაჯულნი. ყოველმა მუშამ და გლეხმა უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა კანონიერება და მისი გამომხატველი და დამცველი სასამართლო არის სახელმწიფოს ერთი საფუძველთაგანი, რომლის სიმტკიცეზე დამყარებული მისი სიძლიერე და სწორი მუშაობა.


უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს დღეს, როდესაც კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასმული საკითხი რევოლიუციური კანონიერების განმტკიცების, გაცხოველებულია ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, სამსახურებრივ დაუფლებობასთან, საქმიანადმი ჩინოვნიკურ მიდგომასთან და სხვა. აღნიშნულ მოვლენებთან საბრძოლველად მოწოდებულია ჩვენი სასამართლოც.

ყველა მუშა და გლეხი, ვისაც გული შესტივა სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის, ვალდებულია მიიღოს აქტიური მონაწილეობა სახალხო მსაჯულთა არჩევნებში და აირჩიოს შეგნებულ და პოლიტიკურად მომხადებელი პირები, რომლებიც ღირსეულად შეასრულებენ მსაჯულის საპასუხისმგებლო მოვალეობას.

აღსანიშნავია ერთი სამწუხარო მოვლენა. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტი თითქმის შვიდი წელია არსებობს, იგი ვერ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე, სახალხო მსაჯულები სასამართლოში სისტემატიურად არ ცხადდებიან, ბევრ შემთხვევაში საქმის გარჩევისას აქტივობას არ იჩენენ და სხვა. პირველი გარემოება საშინლად აფერხებს სასამართლოს მუშაობას, რომ საქმეები ჭიანჭურდება, მხარეები და მოწმები მოდიან სასამართლოში შორი მანძილიდან და მსაჯულების გამოუცხადებლობის გამო იციდან დღის 2—3 საათამდე და უკანაყოფილებას გამოსტქამენ განსაკუთრებით საქმის გადადების გამო. ამით ეცემა სასამართლოს პრესტიჟი ფართე მასის თვალში, მხარეები და მოწმები მათზედ დამოუკიდებელ მიზეზების გამო ზარალდებიან დროს გაცდენით და გაუშართლებელი ხარჯის ვალდებით, სასამართლო კი საქმის ხშირი გადადებით საგრძნობლად იტვირთება.

ასეთს არა ნორმალურ მოვლენას უნდა მოელოს ბოლო. სახალხო მსაჯულთა ამომრჩევლებმა არჩევნების დროს არჩეულებს უნდა მისცენ სათანადო განაწესი, რათა თავიდან იქნეს აცილებული მომავალში დღემდე არსებული დეფექტები სახალხო მსაჯულთა მუშაობაში.

ყოველ გლეხსა და მუშას, რომელიც არჩეული იქნება მსაჯულად, მტკიცეთ უნდა ახსოვდეს, რომ საბჭო-



თა სასამართლო არის მისი საქმე და სასამართლოში მისი გამოუცხადებლობა და პროცესში პასივობის გამოჩენა არის უდიდესი დანაშაული მშრომელთა ინტერესების წინაშე.

მსაჯულთა სიებში ქალთა რიცხვი გასულ წლებში მცირე იყო. ამ გარემოებას უნდა მიუიქცეს მომავალ არჩევნების დროს ყურადღება აუცილებლად, რაც შეიძლება მეტი პროცენტი ქალებისა უნდა იქნეს არჩეული სახალხო მსაჯულებდ.

წინასწარ მოსამზადებელი და საანგარიშო კომპანია მაქსიმუმამდე უნდა იქნეს გამოყენებული იმ მხრივ, რომ სახალხო სასამართლოებმა თავის გასულ წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში მისცენ მშრომელ მოსახლეობას და ფართოდ იქნეს გაშუქებული სახალხო მსაჯულთა მნიშვნელობა საბჭოთა სასამართლოში.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ახალი წესი მსაჯულთა არჩევნებისა ფართო მოსახლეობის თვალში უფრო ასწევს სასამართლოს პრესტიჟს და რომ მსაჯულები, მთელ მშრომელ მოსახლეობის მიერ არჩეული, უფრო აქტიურად ჩაებმებიან საბჭოთა სასამართლო საქმიანობაში და ამ გზით საბჭოთა სასამართლოს მიეცემა სრული შესაძლებლობა მთელი ასი პროცენტით შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.

ა. კ ა ჯ რ ა ვ ა .

სასამართლოს მორიგი ამოცანები. *)

საბჭოთა სასამართლოს წინაშე სამი რთული, მაგრამ სასწრაფოდ გადასაჭრელი ამოცანა სდგას. პირველია სასამართლოს პროცესების გამარტივება, მისი ფორმალობისაგან გაწმენდა, მეორე — წვრილ საქმეებისაგან განტვირთვა და მესამე — სახალხო მსაჯულთა შემადგენლობის მიერ მეტი პასუხისმგებლობისა და რევოლუციური კანონიერების შეგნება. ეს არის მოკლედ იუსტიციის უახლოესი დღის წესრიგი, შემუშავებული მე-11 პარტყრილობის მიერ.

ოქტომბრის რევოლიუციამ მოსპო ძველი ფარისევლური სასამართლო, რომელიც ზეკლასიურობის ნიღაბქვეშ მყვლეფელი კლასის საქმეს აკეთებდა, მტკრიან არქივს ჩააბარა მისი კანონება. მაგრამ ერთი რამ მაინც ნაწილობრივ გადარჩა დაუხსნვეელი: ეს იყო და არის მუშაობის მეთოდი. რევოლიუციის ახალმა ორგანოებმა მუშაობის მეთოდი ძველისაგან ისესხეს. ეს ისტორიული აუცილებლობა იყო. ცოდნა თითიდან არ გამოიწოვება. ის საქმიანობის პრაქტიკის შედეგია. ხოლო ოქტომბრამდე გარეშე თვითმპყრობელობის მომქმედ აპარატის პრაქტიკისა სხვა რამ არ არსებობდა. ასეთი იყო ბედი ყველა ჩვენი ახალი აპარატის, მაგრამ ყველაზე უფრო უარეს მდგომარეობაში ამ მხრივ სასამართლო აღმოჩნდა.

არც ერთ რევოლიუციურ ორგანოს არ უსესხებია იმდენი ფორმალობა, რამდენიც საბჭოთა სასამართლომ ისესხა. ეს ფორმალობა, სასამართლოს საპროცესო კოდექსები. მათში დაწერილებით არის აღნუსხული, თუ რა უნდა გააკეთოს სასამართლომ დღიდან საქმის აღმოცენებისა მის არქივში ჩაბარებამდე. ეს წვრილმანები ზოგჯერ პირდაპირ კურონოზებამდე მიდის. განსაზღვრულია, თუ ვინ აღრე უნდა შეეკითხოს მოწმეს, ვინ შემდეგ, რომელმა პირველად უნდა ილაპარაკოს, რომელმა შემდეგ, ვინ უნდა იღვეს ფეხზე, ვინ უნდა იჯდეს და სხვადასხვა.

მერმე რა არის აქ კული? — შეიძლება ვინმე შეეკითხოს.

სასამართლოს მოქმედების ყოველივე წვრილმანი რეგლამენტშია გატარებული, ეს პირიქით, მოსამართლეს მოეხმარება, საქმიანობას გაუადვილებს.

*) საკითხი პირველ ამოცანის შესახებ დისკუსიის წესით.

ერთი შეხედვით მართლაც ყველას ასე გონივრულად მარამ მაგარიც ის არის, რომ საპროცესო კოდექსი საქმის პირიქით, ართულებს. მისი ყოველი მუხლი როგორც მოსამართლისათვის, ისე მხარეებისა და მოწმეებისათვის სავალდებულოა, რომელიმე მუხლის უბრალო გადახვევა კანონის დარღვევად ითვლება და გადაწყვეტილების გაუქმებას იწვევს.

ვთქვათ, საქმეზე არსებითად სწორი განაჩენია გამოტანილი, მაგრამ საპროცესო კოდექსი იქნა დარღვეული მოწმეების დაკითხვის ან მხარეთა კამათის დროს, ან კიდევ სათათბირო ოთახში, — მაშინ გადაწყვეტილებას აუქმებს საკასაციო ორგანო და საქმე ხელახლა უნდა გაიჩეს, გადაწყვეტილების გაუქმება ხშირად სულ უბრალო საპროცესო ფორმალობის დარღვევის გამო ხდება და გათავებულს საქმე ხელახლა ქიანურდება.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ჩვენი სასამართლო 90 პროც. გამუშურებულია და რომ მოსამართლეთა უმრავლესობა საპროცესო კოდექსის ზოგიერთ ადგილებს, განსაკუთრებით მეორე ხარისხიდან მუხლების ცოდნაში მოიკოჭლებს, ცხადია, რომ დარღვეულ საქმეთა უმრავლესობის მიზეზია მოსამართლესაგან საქმის გარჩევის დროს უბრალო ფორმალობის შეუსრულებლობა.

ამ რიგად საპროცესო კოდექსი, რომელიც უნდა აადვილებდეს მოსამართლის მუშაობას, პირიქით — ართულებს მას. მაშასადამე, საქმის გამარტივებისათვის სჯობია ეს კოდექსი გაუქმდეს. დიახ, ეს სრულიად სამართლიანი იქნება, მაგრამ ერთის პირობით: უნდა გაუქმდეს კოდექსი როგორც კოდექსი. ხოლო მასში აღნუსხული წესი უნდა დარჩეს როგორც ნაკაზი, როგორც ერთგვარი საორიენტაციო დებულებები, მაშინ საპროცესო ნაკაზი იქნება მართლა დახმარე, თანამემწე მოსამართლისათვის. ის გადავიღებებს მუშაობს ჩვენ მუშა მოსამართლეებს და გათანავესუფლებს პროლეტარულ სასამართლოს რიტუალურ ბურუსით მოკულ ვარსისაგან.

ამ საკითხის გადაჭრას უკვე შეუდგენ საბჭოთა რესპუბლიკები და ცხადია უახლოეს დროში მოსამართლეთა უმრავლესობის ოცნება სინამდვილეთ იქცევა.

მეორე ამოცანა სასამართლოს განტვირთვა. აქ არსებითად ორი საკითხი წყდება: ერთი მხრივ უნდა გადიდდეს მოსამართლის ერთპიროვნული უფლებები, მეორე მხრივ მთელი რიგი წვრილი საქოქალაქო დავისა უნდა გადაეცეს საპედიატორო ორგანიზაციებს და სოფლის საბჭოებს. ამავე ორგანოებს უნდა გადაეცეს აგრეთვე კერძო ბრალდების საქმეები.

საქართველოს იუსტიციის კომისარიატი ამ გზას კარგა ხანია დაადგა. მნ ჯერ კიდევ შარშან მიაქცია ყურადღება იმას, რომ ხშირად გლეხი ეძებს ვინმესაგან ხუთი მანეთის ვალდებულებას, ხოლო სასამართლოში სიარულზე მეტი ეხარჯება. ამიტომ, მშრომელი მასისათვის საქმის გადავიღების მიზნით, მან გადაწყვიტა მთელ რიგ წვრილმან სამოქალაქო საქმეების უფრო უბრალოდ და საჩქაროთ მოგვარება.

ეს საკითხი წამოიჭრა წარსული წლის გაზაფხულზე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა იურიდიულ თათბირზე. მაშინ ასეთი განტვირთვის წივა აღმდეგი უმრავლესობა იყო, მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ დღეს იგი ამის მეტად დაჩქარების მომხრეა.

ჩვენ დღემდე ჩამოვართვით სასამართლოს და გადავიცათ თემის აღმასკომებს საქმეები: ტყის გაჩენისა, პირნახულის წინახედიისა და ცოლქმრის გაყრის შესახებ. მიზნად გვაქვს უახლოეს დროში ამ საქმეებს მივაყოლოთ მთელი რიგი წვრილ სამოქალაქო დავათა გარჩევა. მაგრამ აქ არ შეიძლება ჩვენ მდინარეობას ანგარიშ გაუწვევლად გავყვეთ.

რაც შეეება თემ-აღმასკომებზე ახალი საქმეების გადაცემას, ამისათვის საჭიროა ჯერ ნიადაგის მომზადება

თემდამსკომთან სათანადო საარბიტრო ორგანოს მოწყობა თემდამსკომისა და საბჭოს წევრებთან... საჭიროა ამ ორგანიზაციისათვის სათანადო ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელო ცირკულარების დამზადება. აუცილებელია ავრთვეთ ვაგეცნოთ მასალას მის შესახებ, თუ რამდენად სისწორით სრულდება ის საქმეები, რაც უკვე რამდენიმე თვეა გადაეცა თემდამსკომებს. ერთის სიტყვით საჭიროა ერთგვარი წინასწარი მუშაობა.

ამ მიზნით იუსტიციის კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა საქართველოს ც. ა. კ-ის წინაშე, რათა ქალაქისა და თემების საბჭოებთან მოწყობის სასამართლოს სექციები, რე მელთა საშუალებით საბჭოს წევრები თანდათან ჩაებმან რევოლიუციურ კანონებისა და სამართლის საკითხების შეგნება მოგვარებაში, იმავე დროს მეტს კონტროლს გაუწივენ რევ. კანონიერების გატარებას სოფლად.

იუსტიციის საკანონმდებლო განყოფილებაში მუშავდება დებულებები განტვირთვის შესახებ. სახალხო სასამართლო განტვირთვე ა არა ნაკლებ 20 პროც.

ჯერჯერობით ზედმეტად მიმიჩნია ჩამოთვლა იმ საქმეებისა, რომლის გადაცემასაც ვაპირებთ თქმების და პროფორგანოების საარბიტრო კომისიებისათვის. ვერ ვიტყვით ვერც იმას, თუ რა დაეკრევათ ამ კომისიებს. ეს ყოველივე ჯერ დამუშავების პროცესში ხოლო რაც შეეხება მოსამართლის ერთპიროვნულ უფლებების გადიდებას ეს საკითხი სულ უახლოეს დროში იქნება გადაჭრილი.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია მესამე ამოცანა. ყველას კარგად მოეხსენება, რომ სისხლის სამართლის საქმეები უკლებლივ და სამოქალაქო საქმეთა 90 პროც. ირჩევა ჩვენ სასამართლოებში სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით: თავმჯდომარეობს მოსამართლე, წევრებად არიან ორი სახალხო მსაჯული. ამ რიგად ჩვენ სასამართლოს სამართლიანობაში პირველ როლს მსაჯულები თამაშობენ, ისინი უმრავლესობას შეადგენენ (სამიდან-ორს) და რადგან მათ ხმის უფლება ისეთივე აქვთ, როგორც მოსამართლეს, საქმის დაბოლოებას მუდამ მათი ხმა წყვეტს.

აქედან ცხადია, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა აქვთ დაკისრებული სახალხო მსაჯულებს. ისინი არსებითად არიან და უნდა იყვნენ რევოლიუციურ კანონიერების მართლმსაჯულების უშუალო გამტარებელი. აქედან ცხადია, რომ პირველად ყოვლისა ისინი უნდა იყვნენ მშრომელ მასების უმრავლესობის ნდობით აღჭურვილნი და მათ უნდა ჰქონდეთ სათანადო შეგნებული საბჭოთა კანონიერება. მართალია, საბჭოთა კანონიერება მეტად მარტივია, ის კაბინეტებში გამოგონილი არ არის, არაძედ მუშისა და გლეხის გულის ამონაკვეთისა, მაგრამ ამ ამონაკვეთსაც სისტემატიკა, შეფასება და შეფარდება სჭირია.

მსაჯულები ბურჟუაზიულ ქვეყნების სასამართლოებშიაც არიან, იყვნენ ნიკოლოზ მეფის სასამართლოებშიაც, მაგრამ მათ სულ სხვა ამოცანა ეკისრებოდათ: ისინი უპასუხებენ ერთ მარტივ საკითხზე—ჩაიძინა თუ არა დანაშაული სასამართლოში წარდგენილმა მოპასუხემ—და ამით მათი როლი თავდებოდა. მათ სინდისს არ ეკისრებოდა არც დანაშაულის მორალულ-კლასობრივი შეფასება, არც დანაშაულის ხასიათი და არც სოციალურ ღონისძიების შეფარდება, რაც გასამართლების დროს უმთავრესია და მეტად რთული.

ძველი სასამართლო მსაჯულებს შეძლებულ კლასიდან აგროვებდა. გლეხები იშვიათად იყვნენ მსაჯულებად, მაგრამ თუ იქნებოდნენ, უსათუოდ კულაკები, მასთან ნამამასახლისარი და თვითმპყრობელობის მართველობასთან შეხმატებული. ცხადია, ასეთი სასამართლო თვითმპყრობელობის სადარაჯოზე იდგა და ერთი მუჭა მცარეცვლების ინტერესებს იცავდა.

საბჭოთა სასამართლო ფართო მშრომელი მასების ინტერესებს იცავს. ასეთი მასები კი რესპუბლიკის მცხო-

ვრებთა დიდ უმრავლესობას (95 პროც.) შეადგენენ. აქედან კი ცხადია, რომ ჩვენი სასამართლოს მსაჯულს ჩრ. გორც ხარისხით, ისე რიცხვობრივად მეტი პასუხისგება აწევს, მეტი შეგნება მოეთხოვება.

დღეიდან ცოტადენად მსაჯულთა საკითხის გადაჭრაშიაც მოვიკოჭლებდით. მსაჯულთა არჩევნები ხდებოდა არა უშუალოდ ფართო მასების კრებებზე, არამედ საბჭოების და პროფესიონალურ ორგანოების მეშვეობით. მართალია, მასებს შეეძლოთ არჩეულნი გადაეყენებინათ და სრულიად მოეხსნათ მსაჯულთა სიიდან, თუ იგი მათ არ სურდათ, მაგრამ ეს საკითხის მიხედვით ნაწილობრივი გადაჭრა იყო.

მთავარი ნაკლი არჩევნების ასეთი სისტემისა იყო ის, რომ მსაჯულად არჩეული—თავის თავს უფრო ორგანიზაციისაგან დანიშნულად თვლიდა, ვიდრე მასებისაგან არჩეულად. ამიტომ თავის ვალდებულების აღსრულებას ის უყურებდა როგორც ზედმეტ ბეგარის ასრულებას და ისიც უფასოდ. აქედან გამომდინარეობდა მრავალი ნაკლოვანება: სასამართლოს სხდომაზე გვიან გამოცხადება ან სრულიად გამოუცხადებლობა, საბჭოთა კანონიერების შესწავლა—შეთვისებისადმი უკულოთ მოპყრობა, დავალებათა თავის დროზე შეუსრულებლობა და სხვა. ეს კი ცუდ მდგომარეობაში აყენებდა ჩვენ სასამართლოებს, ატიანურებად საქმეებს, ადიდებდა დარღვეულ საქმეთა რიცხვს, აფერხებდა რევოლიუციურ კანონიერების შეგნებას ფართო მასების მიერ.

დღეს ჩვენმა სასამართლომ დიდი ნაბიჯი გადადგა თანახმად საქართველოს ც. ა. კ-ის დადგენილებისა სახალხო მსაჯულები ამოირჩვიან ამომრჩეველთა საერთო კრებებზე, ისე როგორც საბჭოთა წევრები. მართალია, ეს უფრო რთული არჩევნები იქნება, ვიდრე დღეიდან, მაგრამ სამაგიეროთ მეტად ასწევს სახალხო მსაჯულის ავტორიტეტს და შეგნებას.

დღეიდან სახალხო მსაჯული გამსჭვალული იქნება ისეთივე ვალდებულებათა შეგნებით, როგორც საბჭოს ყოველი წევრი: მისთვის ცხადი იქნება, რომ სახალხო მსაჯულობა—ეს იგივე პატივცემული თანამდებობა, მასების უშუალო ნდობის აღჭურვაა, როგორც მთავრობის საბჭოს—წევრობა. მსაჯული ვალდებული იქნება ხშირი მოხსენებები გაუკეთოს თავის ამრჩეველებს თავის და სასამართლოს მუშაობის შესახებ და ამრიგად ნებსით და უნებლიეთ მუშაობას გააცხოველებს, სხდომებს დაუგვიანებლად დაესწრება რევ. კანონიერებას უკეთესად შეითვისებს და მასებსაც შეათავისებინებს, ღირსება მოვალეობა შეგნებათ იქცევა და მსაჯულის მუშაობა მეტი ნაყოფიერი იქნება.

ყველა მშრომელი აქტიურად უიდა ჩაებას ჩვენი სასამართლო მუშაობის საქმეში. უნდა გააცხოველოს კონტროლი სასამართლოზე, რომ ყველას შეეძლოს მსაჯულობა და მოსამართლეობა,

ი. ტალახაძე.

საქ. ს. ს. რ. სისხლის სამართლის ახალი კოდექსი.

(გაგრძელება *)

ზოგად ნაწილზე უფრო მეტად შეცვლილია პროექტით სისხ. სამ. კოდექსი. კერძო ნაწილი. უწინარეს ყოვლისა შეიცვალა თვით სისტემა მუხლების დალაგებისა. სსრ კავშირის ცაკის 1927 წ. თებერვლის 25 ის დადგენილებით (სსრ კავ ირის კან და განკ. კრებ., № 12, მუხ. 123) დამტკიცებულ იქნა დებულება სახელმწიფო დანაშაულის შესახებ. სახელმწიფო დანაშაულად აღიარებულია კონტრ-

*) იხ. „საბჭოთა სამართალი“ № 1.

რევოლუციური და კავშირისათვის განსაკუთრებით საშიშო დანაშაული მართველობის წესის წინააღმდეგ. სისხ. სამ. კოდ. პროექტით ყველა აღნიშნული დანაშაული ტექსტუალურად არის გადმოღებული და შეტანილი კერძო ნაწილის 1-ლ თავში, თანაც 1-ლი კარი შეიცავს კონტრ-რევოლუციურ დანაშაულს, ხოლო მე-2 კარი—სსრ კავშირისათვის განსაკუთრებით საშიშ დანაშაულს მართველობის წესის წინააღმდეგ. ყველა აღნიშნული მუხლი შეტანილია პროექტში 58 ნომრით სათანადო ნიშნებით ისე, რომ ნიშანის ციფრი შეფერვება დებულების სათანადო მუხლის ნომერს. დანარჩენი თავები დატოვებულია პროექტით უცვლელად, ხოლო თავი 2 „მართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულის შესახებ“ შესამჩნევად გაიზარდა მუხლების რიცხვით. აქ გადმოტანილია მუხლები სისხ. სამ. კოდ. სხვა თავებიდან, რადგანაც თავის შეზღუდვებით ისინი წარმოადგენენ დანაშაულს, მიმართულს მართველობის წესის წინააღმდეგ. ამიტომ და აგრეთვე იმის გამო, რომ, ერთის მხრივ, სისხ. სამ. კოდ. პროექტში შეტანილია სესიებს შუა მიღებული ახალი მუხლები, ხოლო, მეორეს მხრივ, იქიდან ამოშლილია ზოგიერთი ძველი მუხლი, მუხლების ნუშრაიცა პროექტში სხვა, ვიდრე მომქმედ სისხ. სამ. კოდექსში. ამ გაზრდების გამო სასამართლო მუშაკებს პირველ ხანებში გაუჭირდებათ მუხლების სწრაფი მონახვა. ამიტომ საჭიროა სისხ. სამ. კოდ. გამოცემის დროს, მისი მიღებისა და დამტკიცების შემდეგ სრ. საქ. საბჭ. ცაკის სესიის მიერ, დაერთოს მას შესადარებელი ცხრილი სისხ. სამ. კოდექსში ახლად შეტანილ და იქიდან ამოშლილ მუხლების აღნიშვნით.

ამ წერილში ჩვენ გვსურს აღვნიშნოთ, თუ რა და რა ახალი მუხლია მიღებული სისხ. სამ. კოდ. პროექტით და რა და რა მუხლი შეიცვალა არსებითად.

79¹ მუხლმა, რომლითაც ვათვალისწინებელი იყო დამალვა სამკვიდრო ქონებისა ან იმ ქონებისა, რომელიც გადადის გაჩუქებით, და ამ ქონების ღირებულების ხელოვნური შემცირება მემკვიდრეობისა და გაჩუქების კანონის გვერდის ახვევის მიზნით, დაჰკარგა თავის მნიშვნელობა იმის შემდეგ, რაც შეიცვალა მემკვიდრეობის კანონი და გაუქმებულ იქნა მემკვიდრეობით გადასასვლელ ქონების ღირებულების შეზღუდვა, რის გამოც სრ. საქ. საბჭ. ცაკისა და სახ. კომ. საბჭოს 1926 წ. აგვისტოს 13-ის № 36 დადგენილებით (1926 წლ. № 3 „კან. და გან. კრებ.“, მუხ. 64) ეს მუხლი სისხ. სამ. კოდექსიდან ამოშლილია. მაგრამ რადგანაც სამკვიდრო ქონების ან გაჩუქების აქტით გადასასვლელ ქონების დამალვას ან მისი ღირებულების შემცირებას შეიძლება მიხნად ჰქონდეს თავიდან აცილება გადასახადისა ან მისი რაოდენობის შემცირება, პროექტში ხელახლად იქნა შეტანილი მუხ. 62, რომლითაც ვათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ქონების დამალვა ან მისი ღირებულების ხელოვნურად შემცირება, მაგრამ არა მემკვიდრეობის ან გაჩუქების კანონის გვერდის ახვევის მიზნით, არამედ გადასახადის თავიდან აცილების ან მისი რაოდენობის შემცირების მიზნით.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ წინა წერილში, რომ დანაშაულის ან დანაშაულის კვლის ისეთი დამფარველობა, რომელიც არ უწყობდა ხელს დანაშაულის ჩადენას და ამ რიგად არ წარმოადგენდა დამხარებლობას, გამოიწვევს სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდებას მხოლოდ სისხ. სამ. კოდ. სპეციალურად ვათვალისწინებულ შემთხვევაში. პროექტის ახალი 76 მუხლით ვათვალისწინებულია სწორედ ასეთი დამფარველობა, ე. ი. ჩადენილი ისეთ პართა მიერ, რომელნიც არ იღებდენ მონაწილეობას თვით დანაშაულის ჩადენაში, არამედ მისი ჩადენის შემდეგ წინასწარი შეცნობით იღებდენ მონაწილეობას დანაშაულის ან დანაშაულის კვლის დაფარვაში. ასეთი დამფარველობა გამოიწვევს სოციალური დაცვის ღონის-

ძიების შეფარდებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს მთავარ დანაშაულებათა (აღმსრულებელთა) მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის სისხ. სამ. კოდ. სოციალური დაცვის ღონისძიებად დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა „ვადით—არა ნაკლებ ექვსი თვისა“ ან და ერთ წელზე მეტი ვადით. აღნიშნულ დამფარველთ, დაფარულთა მიერ ჩადენილი დანაშაულის სოციალური საშიშროებისა და სხვა გარემოებათა მიხედვით, როგორც, მაგ., პირველად თუ მეორედ არის ჩადენილი დამფარველობა, დაფარვის მოტივები, დამოკიდებულება დაფარულთან და სხვ., სოციალური დაცვის ღონისძიებად შეფარდება თავისუფლების აღკვეთა ყოველნაირი ვადით, მაგრამ არა უმეტეს ხუთი წლისა. დამფარველობა ისეთი დანაშაულის შემთხვევაში, რომლისთვისაც სისხ. სამ. კოდ. არ შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ერთ წელზე უფრო მეტი ვადით ან რომლისთვისაც დაწესებულია სოციალური დაცვის სხვა უფრო მსობუქი ღონისძიება, ვიდრე თავისუფლების აღკვეთა, არ გამოიწვევს სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდებას.

დამოუკიდებლად იმისაგან, რომ თვითნებური წასვლა სსრ კავშირიდან ან უკან დაბრუნება დღინილია ჩვენში სისხ. სამ. წესით და გამოიწვევს იმავე პროექტის 84 მუხ. ძალით (მომქმედი კოდექსის 101 მუხ.) იძულებით მუშაობას ან თავისუფლების აღკვეთას ექვს თვიდან ან ჯარიმას ხუთას მანეთამდე სისხ. სამ. კოდ. პროექტში შეტანილია კიდევ ახალი 85 მუხ., რომლის ძალით სსრ კავშირში დაბრუნების ყველაზე მძიმე სახედ აღიარებულია სსრ კავშირის თარგვლებიდან სასამართლოს განაჩენით გაძევებულ პირის დაბრუნება. ეს ქმედობა გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას სასტიკი იზოლაციით ვადით არა ნაკლებ ხუთი წლისა.

გარდა ზოგადი მუხლ-სა, რომლითაც დევნილია სახელმწიფო მონობოლის შესახებ დებულებათა და წესების დარღვევა, პროექტში, სსრ კავშირის ღირებულების თანახმად, შეტანილია ახალი III მუხლი, სადაც ვათვალისწინებულია კოკანის, მორფიუმის, ოპიუმის, ეთერისა და სხვ. გამბარებულ ნივთიერებათა დამზადება და შენახვა ვასალების მიზნით და თვით გასაღებაც სათანადო ნებართვა გარეშე. იმავე მუხლის მეორე ნაწილით სხვათა შორის ვათვალისწინებულია ისეთი გარყვანლების ბუდის შენახვა, სადაც ხდება აღნიშნულ ნივთიერებათა გასაღება და მოხმარება.

თანამდებობრივ დანაშაულის შესახებ 3-თავის არსებით დამატებას წარმოადგენს პროექტით შეტანილი მუხლი ბიუროკრატის შესახებ. პროექტის 117 მუხ. მეორე ნახევარში (მომქმედი სისხ. სამ. კოდ. 111 მუხ.) განსაზღვრულია ბიუროკრატის ცნება და ამ დანაშაულისათვის დაწესებულია სოციალური დაცვის იგივე ღონისძიება, რაც მიღებულია თავის სამსახურის მოვალეობისადმი უგულვიდელ-ყოფელობისათვის. ბიუროკრატის ძირითადი ნიშნები შედგება: საქმის ფორმალურად გადაწყვეტა, უკეთეს იგი არ იქნება გამართლებული კანონით ან მიხანმეწონილობის მოსაზრებებით, მოუშაობის წარმოება უფიქროდ, მოწყვეტილობა მშრომელ მსესებისაგან, რაც გამოიხატა მათდამა უგულვო და მედიდურ მოპყრობაში, მათ საქმეთა და მათ მიერ აძირულ შუამდგომლობათა უსაფუძვლო გადადება-გაქიანურებაში, თანაც თუ ასეთ მოქმედებას შედეგად მოჰყვა სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა და, აგრეთვე ისეთ ორგანიზაციათა და გაერთიანებათა ნორმალური მუშაობის დარღვევა, რომელნიც ასრულებენ საერთო სახელმწიფოებრივ ამოცანებს.

როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, ეს არის მხოლოდ არსებითი ნიშნები. სისხ. სამ. კოდ. არ შეიძლება მოგვეცეს ამომწურავი განსაზღვრა ბიუროკრატის შესახებ. იუსტიციის სახალხო კომისარიატს და უზენაეს სასამართლოს ეკუთვნის გამოსცეს უფრო დაწვრილებითი ცირკულიარული კან-

მარტება იმის შესახებ, თუ სახელმწიფო დაწესებულებათა და ორგანოთა რა ხასიათის მოქმედებას შეიძლება მიეცეს ბიუროკრატიზმის კვალიფიკაცია. სასამართლო კი თავის მხრივ ბიუროკრატიზმის კონკრეტ შემთხვევებს ადვილად შეუფარდებს მის ძირითად ფორმებს, როგორც არის სისხ. სამ. კოდ. პროექტით, მაგ., საქმის ფორმალურად გადაწყვეტა, საქმეებისა და მშრომელთა ინტერესებთან დაკავშირებულ ცალკე საკითხების უსაფუძვლო გადადება გაქიანურება და სხვ.

აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ იმავე მესამე თავის 114 მუხ. შენიშვნაში (სისხ. სამ. კოდ. 108 მუხ.) უფრო სწორედ და ფართოდ არის განსაზღვრული თანამდებობრივი პირის ცნება. პროექტის აღნიშნულ შენიშვნაში თანამდებობრივ პირთა რიცხვში დამატებით შეტანილია ის პირები, ვისაც უჭირავს მუდმივი ან დროებითი თანამდებობა ისეთ სახელმწიფო საწარმოში და ამხანაგობაში, სადაც მონაწილეობს მარტოოდენ სახელმწიფო კაპიტალი ან სადაც ასეთი კაპიტალი სჭარბობს, და აგრეთვე კოოპერატიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების თანამდებობის პირები. სისხ. სამ. კოდ. პროექტის 122 მუხ. შენიშვნაში (მუხ. 116) რომლითაც გათვალისწინებულია მითვისება, დამამძიმებელ ნიშნთა რიცხვში შეტანილია მითვისებული ან გაფლანგული ქონების განსაკუთრებით დიდი რაოდენობა. აქამდე ეს საკითხი სწყდებოდა უზენაეს სასამართლოს განმარტების თანახმად. ამ განმარტებაში უზენაესმა სასამართლომ სხვა დამამძიმებელ ნიშნთა შორის, რაც გამოიწვევდა 116 მუხ. 2 ნაწილის შეფარდებას, აღნიშნა აგრეთვე გაფლანგული ან მითვისებული ქონების განსაზღვრული რაოდენობაც. მითვისებული ან გაფლანგული ქონების რაოდენობის ნიშნის შეტანით პროექტის 122 მუხლში აცილებულია თავიდან ის ერთგვარი არანორმალური მდგომარეობა, რაც გამოიხატება დანაშაულის ნიშნების განსაზღვრაში ახსნა-განმარტებების საშუალებებით.

სამეურნეო დანაშაულის დარგში პროექტმა შეიტანა სისხ. სამ. კოდ. დამატება იმ მარჯ, რომ სამეურნეო დანაშაულის შესახებ მუხლების მოქმედება გააერთიანა ისეთ პირებზედაც, რომელთაც ეს დანაშაული ჩაიდინეს კოოპერატიულ ორგანიზაციაში და საწარმოში. ამის მიხედვით არის შედგენილი პროექტის 133—136 მუხ., რითაც შეცვლილია მომქმედი კოდექსის სათანადო მუხლები.

სისხ. სამ. კოდ. 134 მუხ. (პროექტის 136 მუხ.), რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებათა და საწარმოებთან დადებულ ხელშეკრულების დარღვევისათვის, შეიცვალა და სისხ. სამ. წესით დევნა აღნიშნული მუხლის თანახმად შეიძლება მხოლოდ იმის შემდეგ, რაც სამოქალაქო წესით საქმის წარმოების დროს გამოარკვევა, რომ არ შესრულების მიზეზი იყო ბოროტი განზრახვა.

პროექტის 138 მუხლით უფრო სწორედ და მკაფიოდ არის გადმოცემული მომქმედი კოდ. 136 მუხ. შინაარსი. ამ მუხლით გათვალისწინებულია დამკირავებელთა მიერ შრომის მომწესრიგებელ და აგრეთვე შრომის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის შესახებ კანონების დარღვევა. ნაწილი მუხლები ასა თავიდან „სამეურნეო დანაშაულის შესახებ“ გადატანილია თავში „მართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულის შესახებ“.

თავი პიროვნების სიცოცხლისა, ჯანმრთელობის, თავისუფლების და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის შესახებ არ არის შეცვლილი არსებითად. საჭიროა მხოლოდ აღვნიშნოთ შედეგი ცვლილებანი. სანქცია ყველგან შეცვლილია იმ მხრივ, რომ დაწესებულია სოციალური დაცვის ღონისძიებების არა უმდაბლესი, არამედ უმაღლესი საზღვარი; კერძოდ პროექტის 144 მუხლით (მომქმ. კოდ. 146 მუხ.) სოციალური დაცვის ღონისძიებად დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა ათ წლამდე სასტიკი იზოლიაციით.


სქესობრივი დანაშაულის სფეროში შეტანილია პროექტით ახალი 171 მუხლი, რომლითაც დევნილია ქალის იძულება სქესობრივი კავშირის დასაქერად ისეთ პირთან, რომელზედაც იგი დამოკიდებულია მატერიალურად ან სამსახურის მხრივ, თანაც ეს დანაშაული გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე. 175 მუხლი (პროექტის 173 მუხ.) ე. ი., სისხლის აღრევა, შეთანხმებულია ქორწინების, ოჯახისა და მეურვეობის კოდექსის პროექტთან. ვინაიდან აღნიშნული კოდექსის პროექტის თანახმად აღვილობრივ აღმასკომებს აქვთ უფლება გნსაკუთრებულ შემთხვევაში დართონ ნება 3 და 4 თაობის გვირდის ნათესავთან საქორწინოდ, ჩვენი პროექტის 173 მუხლის ძალით სისხ. სამ. წესით დევნილ ქმედობად აღიარებულია სქესობრივი ურთიერთობა აღმავალ და შთამავალ შტოს ნათესავთან და აგრეთვე გვირდის შტოს მაგრამ მარტოოდენ მეორე თაობის ნათესავთან ე. ი. ძმისა და დის შორის სქესობრივი ძალადობის დამამძიმებელ ვარგემოებათა შორის პროექტის 170 მუხ. მეორე ნახევრით შეტანილია სქესობრივი ძალადობა ისეთ პირზე, რომელსაც სქესობრივ სიმწიფემდე არ მიულწევია, თანაც თუ ეს ძალადობა ჩაიდინა რამოდენიმე პირმა. ბოლოს შეთანხმებულია ერთი-მეორესთან სისხ. სამ. კოდ. 171 და 171¹ მუხლები, რომელთაც თავის წინანდელ რედაქციით იწვევდენ გაუგებრობას პრაქტიკაში.

იმ მუხლთა რიცხვიდან, რომელნიც ეხებიან დანაშაულს პიროვნების ღირსების წინააღმდეგ, ამოშლილია სისხ. სამ. კოდ. 179 მუხ., სადაც გათვალისწინებულია, რომ სოც. დაცვის ღონისძიება არ უნდა იქნეს შეფარდებული ისეთი შეურაცხყოფისათვის, როდესაც დაზარალებულის მხრივ ადვილი ჰქონდა თანასწორ ან უფრო მძიმე ძალადობას ან შეურაცყოფას. ამრიგად ურთიერთ შეურაცყოფის შემთხვევაში სოც. დაცვის ღონისძიება შეიძლება შეეფარდოს ორივე მხარეს. საკითხი იმას შესახებ, შეიძლება თუ არა სოც. დაცვის ღონისძიების შეფარდება ორივე მხარისათვის ისეთ შემთხვევაში, როდესაც სისხ. სამ. წესით დევნა აღძრულია მარტოოდენ ერთ-ერთი მხარის წინააღმდეგ, უნდა გადაწყდეს დადებითად. მგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს საკითხი ცალკე უნდა იქნეს განხილული სისხ. სამ. სპარ. კოდ. გადასინჯვის დროს.

ყველაზე მეტად შეიცვალა და ბევრიც დაემატა თავს ქონებრივ დანაშაულის შესახებ. უწინარეს ყოვლისა აღვნიშნოთ ახალი მუხლები. პრაქტიკამ აღძრა საკითხი სისხ. სამ. წესით დევნისა ელექტრონის ენერგიის თვითნებურად და ფართულად გადაყენისათვის. ეს ქმედობა გათვალისწინებულ იქნა პროექტის 178 მუხლში, სადაც ნათქვამია ელექტრონის ენერგიის ქურდობის შესახებ.

მომქმ. კოდ. მუხლი კერძო პირის მიერ მითვისების შესახებ შეცვებულია პროექტით (182 მუხ. 2 ნახევარი) აღმოჩენილი განძის მითვისებით, რადგანაც სრ. საქ. საბჭოთა ცაკისა და სახ. კამ. საბჭოს მიერ 1926 წლის დეკემბერში გამოცემულ დადგენილებით მიღებულ სამ. სამ. კოდ. ახალი 68 მუხლით ჩაფლული განძი აღიარებულია სახელმწიფო საკუთრებად. გარდა ამისა იგივე მუხლი შეცვებულია მესამე ნაწილით, რომლითაც გათვალისწინებულია მეურვის მიერ მეურვეობაში მყოფის ქონების მითვისება ან გაფლანგვა. ამ ქმედობისათვის სოც. დაცვის ღონისძიება შეეფარდება პროექტის 122 მუხ. მიხედვით, ე. ი., როგორც თანამდებობრივი პირის მიერ ჩადენილ მითვისებისა და გაფლანგვისათვის.

ახალია პროექტის 184 მუხლიც, რომლითაც გამოყენების თანხმობის გარეშე, აკრძალულია გადასახდელი თანხის განაწილებით ცალკეობით შეძენილი ქონების გაყიდვა და საზოგადოდ გასხვისება და დაგირავება. განაწილებული თანხის სრულ გადახდამდე. ამ ნორმის დარღვევა გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ექვს თვემდე.



პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის პირი, განსაკუთრებით კი ვაჭარი, სარგებლობს რაკრედიტით სხვადასხვა გვარ ბანკში, საკრედიტო დაწესებულებაში და სავაჭრო საწარმოში, კრედიტის აღების შემდეგ ან და გადახდის ვადის დადგომის წინ, ხმარობს სხვა და სხვა არა კეთილსინდისიერ ხერხს ვალის გადახდის თავიდან ასაცილებლად, მაგ., დაუმტკიცებს თავის ქონებას სხვა პირს ფიქტიურად ან აძლევს მას ამ ქონებას უსასყიდლოდ, აძლევს აგრეთვე ფიქტიურ სავალო ვალდებულებებს და საზოგადოდ სცდილობს თავის თავი აჩვენოს უსახსროდ და მით აიცილინოს ვალის გადახდა. ვინაიდან ჩვენ სისხ. სამ. კოდ. არ არის პირდაპირი მუხლი, რომელიც სდევნიდეს ამდაგვარ მოქმედებისათვის, პრაქტიკა ასეთ შემთხვევებს ანალოგიით უფარდებდა სისხ. სამ. კოდ. 194 მუხლს, ე. ი. თაღლითობას, მაგრამ ვინაიდან ეს მუხლი არც თუ სავსებით შეეფერება ზემოაღნიშნულ ქმედობას და აგრეთვე ამდაგვარ მოკლენასთან ბრძოლის მიზნით, პრაქტიკაში შეტანილია ახალი 185 მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია ბოროტი ბანკროტობა, ე. ი. თავის არიდება ვალის გადახდისაგან თავის ქონების დაფარვის საშუალებით ისეთ პირთა მიერ, ვინც ეწევა ვაჭრობას ან სარგებლობს კრედიტით ბანკებში, სხვა და სხვაგვარ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში და სავაჭრო საწარმოში. რისთვისაც იგი აძლევს ვალდებულებებს მთლიანად ან ნაწილობრივად მოკონილი ვალისათვის, უმტკიცებს სხვა პირს ან უსასყიდლოდ აძლევს მას თავის ქონებას და მიმართავს სხვა რამ არაკეთილსინდისიერ ხერხს და მოსატყუებელ მოქმედებას ვალის გადახდის თავიდან ასაცილებლად და კრედიტორის ქონებით გაძლიერების მიზნით. სოციალური დაცვის ღონისძიება—თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე—შეიფარდება როგორც იმ პირს, ვინც ეს ქმედობა ჩაიდინა, ისე იმ პირსაც, ვინც მხარის სახით იღებდა მონაწილეობას მისი წინასწარი შეცნობით ფიქტიურ სავალო გარიგებაში. ბოროტი ბანკროტობა, რომელმაც მიაყენა მნიშვნელოვანი ზარალი სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებას, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე.

თავში „ქონებრივი დანაშაულის შესახებ“ პრაქტიკით შეტანილია შემდეგი ცვლილებანი. იმ დამამძიმებელ გარემოებათა შორის, რომელნიც აძლიერებენ პასუხისმკებლობას ქურდობისათვის, 177 მუხ. „ბ“ პუნქტით შეტანილია ქურდობის ჩადენა საზოგადო სარგებლობის ან მოქალაქეთა შეგროვების ადგილებზე, როგორცაა: ნავთსაყუდელი, გემი, რონოდები (რკინის გზისა და ტრამვაის), ბაზარი, სასტუმრო, თეატრი, კლუბი და სხვ. იმავე მუხლის „დ“ პუნქტით დაწესებულია უბრალო ქურდობის დამამძიმებელი გარემოებანი, სახელდობრ, როდესაც ქურდობა ჩადენილია წინასწარი მოლაპარაკებით სხვა პირთან, ან იმ პირის მიერ, ვინც თან წაიღო იარაღი დასაცემად ან თავის დასაცავად. აღნიშნულივე მუხლის „ე“ პუნქტით გათვალისწინებულია დამამძიმებელი გარემოებანი კვალიფიციური ქურდობისა—ე. ი. იმავე სამ გარემოებასთან ერთად ქურდობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, ვისაც ქურდობა ხელობად გაუხდია. ბოლოს, უფრო სწორედ და მკაფიოდ არის განსაზღვრული („ვ“ და „ზ“ პუნქტებში) ქურდობა სახელმწიფო და საზოგადოებრივ საწყობსა და შესანახ ადგილებიდან და გაძლიერებულია განსაკუთრებით ისეთ პირთა პასუხისმგებლობა, ვისაც შეეძლო ასეთ საწყობში და შესანახ ადგილში შესვლა ან მიწოდობილი ჰქონდა მათი დაცვა.

ყაჩაღობა, გათვალისწინებული პრაქტიკის 181 მუხლით, დაყოფილია სამ ნაწილად. პირველი ნაწილით გათვალისწინებულია ყაჩაღობა, რომელსაც თან სდევდა დაზარალებულის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან და ასეთი ძალადობის მუქარა; მეორე ნაწილით—განმეორებით ჩადენილი ყაჩაღობა ან და ისე-

თი, რომელმაც გამოიწვია დაზარალებულის სიკვდილი ან დასახიჩრება, და, ბოლოს, მესამე ნაწილით გათვალისწინებულია შეიარაღებული ყაჩაღობა ან ყაჩაღობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, ვისაც სასამართლო სცნობს სოციალურად განსაკუთრებით საშიშ პიროვნებად, თანაც ამ უკანასკნელი სახის ყაჩაღობისათვის სასამართლოს შეუძლიან სოციალური დაცვის ღონისძიება ასწიოს დახვეტამდე.


ბოლოს შეკვლილია მუხლი მეფახშეობის შესახებ, რაც გათვალისწინებულია პრაქტიკის 192 მუხლით. თანახმად სსრ კავშირის ცაკისა და სახ. კომ. საბჭოს 1927 წლის აგვისტოს 17-ის დადგენილების მიხედვით მეფახშეობის შესახებ, სისხ. სამ. წესით დევნილ მეფახშეობის ნიშნად აღიარებულია დაწესებულ საზღვრით ნორმაზე მეტი პროცენტის აღება სესხზე. პროცენტების საზღვრითი ნორმას სესხზე აწესებენ რესპუბლიკათა სახალხო კომისართა საბჭოები და იგი არ შეიძლება იყოს, ერთის მხრივ, ნაკლები სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სადისკონტო პროცენტის ერთ ნახევარი რაოდენობისა და, მეორე მხრივ, იმავე პროცენტის გასამებულ რაოდენობაზე მეტი. ამ რიგად მეფახშეობად ამჟამად ჩაითვლება დაწესებულ საზღვრითი ნორმაზე მეტი პროცენტის აღება ყოველგვარ სესხზე და აგრეთვე ისეთი გასამრჯელოს აღება წარმოების იარაღებისა, საქონლისა და თესლეულობის სასარგებლოდ გაცემისათვის, რომლის რაოდენობა აშკარად აღემატება აღნიშნულ ნორმას. დანაშაულის შემადგენლობისათვის საკმარისია, რომ ეს ქმედობა ჩადენილი იყოს თუ გინდ მხოლოდ ერთჯერ. მეფახშეობა ხელობის სახით ან და დამსესხებლის შეიწროებული მდგომარეობის გამოყენებით შეადგენს 192 მუხლის მეორე ნაწილს და გამოიწვევს გაძლიერებულ პასუხისმგებლობას.

დასასრულ საჭიროა აღვნიშნოთ სისხ. სამ. კოდ. პრაქტიკით მიღებული ერთი არსებითი დამატება. ამ პრაქტიკის 199 მუხლით გათვალისწინებულია ექიმაზობა. ეს მუხლი გადმოღებულია რსფსრ-ისა და უსსრ-ის სისხ. სამ. კოდექსებიდან. ექიმაზობა განსაზღვრულია როგორც მკურნალობა ისეთი პირის მიერ, ვისაც არა აქვს სათანადოდ დადასტურებული სამკურნალო განათლება. ამავე მუხლით გათვალისწინებულია აგრეთვე ისეთი სამკურნალო პრაქტიკა სამკურნალო დარგის მუშაკისა, რომელზედაც მას არა აქვს უფლება. ეს მუხლი გამოიწვევს იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან ჯარიმას ხუთას მანეთამდე.

გარდა ამისა სისხ. სამ. კოდ. პრაქტიკაში დამატების სახით შეტანილია მთელი ახალი დებულება ადამით წარმოშობილი დანაშაულის შესახებ. ამ საკითხის სირთულისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე მას დაეთმობა ცალკე წერილი.

ამით ვამთავრებთ ჩვენ სისხ. სამ. კოდ. პრაქტიკის ცვლილებათა და დამატებების ზოგად მიმოხილვას. ჩვენ გვსურდა გაგვეცნო მკითხველებისათვის არსებითი ცვლილებანი, რისთვისაც ჩვენ არ შეეჩხეთ უფრო ნაკლები მნიშვნელობის და აგრეთვე იმ რედაქციულ ცვლილებებს, რომელნიც იქნენ შეტანილი ზოგიერთ მუხლში მისი უფრო ნათელი და გასაგებად გადმოცემის მიზნით. ჩვენ არ მოგვიხდენია აგრეთვე მიღებულ ცვლილებებისა და დამატებების იურიდიული ანალიზი და მათი პრაქტიკული მნიშვნელობის შეფასება. ახალი სისხ. სამ. კოდ. შეფარდების პრაქტიკა მისი სისის მიერ მიღების შემდეგ იქნება საუკეთესო შემოწება იმისა, თუ რამდენად სიცოცხლის უნარიანი და რეალური იხიანი. რაც შეეხება მათი ღირებულების დაწვრილებითი ანალიზს, ჩვენი ჟურნალი იძლევა ამის სრულ და ფართო შესაძლებლობას.

ი. რონაშვილი.



საბჭოთა კანონმდებლობის კანონ-სიარული პოლიტიკა.

ბურჟუაზიული კრიმინალისტები დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ დანაშაული არის ბუნებრივი მოვლენა და აქედან ლოდიკურად გამომდინარეობდა ათასგვარი მიზანშეუწონელი თეორიები დანაშაულთან საბრძოლველად. ზოგიერთი მათგანი, ე. წ. ანტროპოლოგიური სკოლის მიმდევრები (ლომბროზო) მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დანაშაული არის ისეთივე მოვლენა, როგორც დაბადება, სიკვდილი, რომ ადამიანი იბადება თანდაყოლილი თვისებებით და ვინც დანაშაულს ჩაიდენს—ის არის ბუნებრივი დამნაშავე. ის ეკუთვნის ველურ რასას და ის უნდა იქნეს დაუნდობლად მოსპობილი.

თუმცა ასეთი თეორიები თვით ბურჟუაზიულ იდეოლოგიების მიერაც იქნა უარყოფილი, მაგრამ არა სავსებით.

ამ თეორიებში ღრმად ჰქონდათ ვადგმული ფესვები კლასიურ მოსაზრებებს და ამიტომაც შედეგები და დასკვნები მეტად კონსერვატიული იყო.

ძველი ეპოქა მეტის მეტად უძლოური იყო, რომ სიმართლე ეთქვა. იგი მომავლადის უკანასკნელი ძალებით იცავდა უნიადაგო წესწყობილებას თავის უხერხემლო სამართლით. მხოლოდ ახალმა დრომ და უფრო გარკვევით და მტკიცეთ კი-საბჭოთა კანონმდებლობამ განმტკიცა ის ნამდვილი აზრი, რომ დანაშაული არის სოციალური მოვლენა. ამის შემდეგ კანონმდებელი დამნაშავეს აღარ უცქერის ძველი საუკუნის თვალვებით, არამედ ცდილობს, რომ სალი და მიზანშეწონილი მიდგომით აღკვეთოს ბორტმოქმედება.

ბურჟუაზიულ ქვეყნების კანონმდებლობა დღესაც განაგრძობს ძველი გატკეპნილი გზით სიარულს. რომ ვადავთავალიეროთ დასავლეთ ევროპის და ამერიკის კანონმდებლობათა დამსჯელი სისტემები—ჩვენ დავინახავთ, რომ თითქმის ყველგან ფართოდ არის გამოყენებული თავისუფლების აღკვეთა მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

აქედან ამკარად ჩანს, რომ მათ კანონმდებლობაში სასჯელის მთავარი მიზანია—დამნაშავის დასჯა, სამაგიეროს გადახდა და შურისძიება.

საბჭოთა კანონმდებლობამ კი მოსპო ტერმინი „სასჯელი“ და შემოიღო „სოციალური დაცვის ღონისძიება“, რომლის მიზანია თავიდან აცილება დანაშაულის ჩადენისა საზოგადოების მერყევი ელემენტების მიერ და წინასწარ მოსპობა დამნაშავისათვის მომავალში დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობისა. ხოლო სოციალური დაცვის ღონისძიება აუცილებლად უნდა შეერთებულ იქნეს შრომა-გასწორების ზეგავლენის ღონისძიებასთან.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში ყველაზე საყურადღებო მომეტია დამნაშავის განადგურების მომენტი—ე. ი. განაჩენის გამოტანის წამი, რომლის შემდეგ მისი პიროვნება იკარგება და აღარავის არ აინტერესებს.

საბჭოთა კანონმდებლობით კი—დამნაშავის პიროვნება არ იჩრდილება განაჩენის გამოტანის შემდეგ, არამედ, როგორც შირინდტი ლაპარაკობს, ხდება მასში ცვლილება, იგი თანდათან გარდაიქმნება, რისთვისაც საჭიროა ყურადღებით და დაკვირვებით შესწავლა მისი პიროვნებისა.

ამისათვის კი ესაჭიროებოდა კანონმდებელს თავისი პენიტენციარული პოლიტიკა აეშენებინა ისე, რომ ცხოვრებაში სწორად ყოფილიყო გატარებული მისი სისხლის სამართლის პოლიტიკის პრინციპები.

ამ მიზნით საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა კიდევ ერთი ახალი საკანონმდებლო აქტი—შრომა-გასწორების კოდექსი.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ აქტს აქვს უდიდესი პრინციპიალური მნიშვნელობა. დღემდე არც ერთ სახელმწიფოში არ არის არც ერთი შემთხვევა, რომ სახელმწიფოს უზენაეს ორგანოს შეექმნას ისეთი სპეციალური აქტი, რომლითაც განმტკიცებულ იყოს ძირითადი დებულებანი სოციალური დაცვის ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

რატომაც გამეფებული იყო შეხედულება, რომ ერთად ერთი ორგანო—ეს სასამართლოა, რომელიც ვალდებულია გაატაროს სისხლის სამართლის პოლიტიკის ძირითადი ამოცანები. ამგვარად წინედ არსებული შრომა-გასწორების ნორმები ატარებდნენ მხოლოდ საუწყებო ხასიათს, რომელსაც არა ჰქონდა არავითარი სავალდებულო და ავტორიტეტული ხასიათი სხვა უწყებებისათვის. ამ ნიადაგზე შესაძლებელი იყო აღმოცენებულიყო გაუგებრობა, უსიამოვნება და არეუ-დარევა.

დღეს უკვე სხვა სურათია. საბჭოთა ხელისუფლების უზენაესმა ორგანომ განამტკიცა რა შრომა-გასწორების კოდექსი სპეციალური საკანონმდებლო აქტით. ამით იგი გახდა ავტორიტეტული და სავალდებულო ყველა უწყებათათვის, ისე როგორც სისხლის სამართლის კოდექსი, რითაც კანონმდებელმა მისცა ფართო გზა და გასაქანი პენიტენციარული საქმის სათანადო მოწყობა-ორგანიზაციას.

ამით კანონმდებელმა ერთხელ კიდევ სთქვა, რომ მას აინტერესებს არა მარტო სოციალური დაცვის ღონისძიებათა სწორი შეფარდება, არამედ მას თანაბრად აინტერესებს აგრეთვე ის გარემოება, თუ როგორ ტარდება ცხოვრებაში ეს სოციალური დაცვის ღონისძიებანი, რათა არ დანახინჯდეს შრომა-გასწორების საქმე და არ დაემსგავსოს ძველი საპატიმროების სისტემას.

თუ წინანდელი საპატიმროები, რომელთაც ჰქონდათ აუარებელი უარყოფითი თვისებები—წარმოადგენდნენ ინდივიდის დაღუპვის გამაგრძელებელ დაწესებულებებს,—სამაგიეროდ საბჭოთა კავშირის გამასწორებელ სახლებში საფუძველი ეყრება დაღუპულ პიროვნების გამასწორების და მის სწორ გზაზე შეყენებას.

სამართლიანად შეინიშნავს პროფ. პოზნიშევი, რომ გამასწორებელი სახლები უნდა გადაიქცენ „სოციალურ კლინიკებად“, სადაც უნდა აღმოჩინოთ მკურნალობა სოციალურად დაავადებულ პირებს.

საქ. ს. ს. რ. შრომა-გასწორების კოდექსის მე-6 მუხლში ვკითხულობთ: „შრომა-გასწორების დაწესებულება უნდა ისწრაფოდეს მიზანშეწონილად იპოქმედოს პატიმარზე და განამტკიცოს მისი ხასიათის ის თვისება და ჩვეულება, რამაც შეიძლება თავი შეაკავებინოს შემდეგში დანაშაულის ჩადენისაგან, მის მიზანს არ უნდა შეადგენდეს პატიმრისათვის ფიზიკური ტანჯვის მიყენება და პატიმრის ადამიანური ღირსების დამცირება“.

როგორც ხედავთ კანონმდებელი აქ სარგებლობს რაციონალური მეთოდით და მისი აზრი გამომდინარეობს მხოლოდ დამნაშავის გამოსწორების თვალსაზრისიდან.

ამასთან ერთად კანონმდებელი ცდილობს, რომ გამასწორებელ სახლში პატიმარს შეუქმნას ისეთი რეჟიმი, რომელიც კი არ გააუარესებს მის მდგომარეობას, არამედ გააუმჯობესებს მომავლისათვის.

კანონმდებელი დაინტერესებულია პატიმრის მომავალი ბედით. კანონმდებელს აღარ სურს, რომ ის კიდევ მოხვდეს გამასახლში; ამიტომ იგი ცდილობს შეუქმნას პატიმარს ისეთი პირობები, რომ გამასახლიდან გასვლის შემდეგ დაადგეს სწორ გზას და აღარ განიცადოს ის მწვავე მომენტები, რის გამოც იგი მოხვდა გამასახლში.

ამავე კოდექსის მე-8 მუხლში ჩვენ ვკითხულობთ: „შრომა-გასწორების დაწესებულებამ ყოველთვის უნდა იხმაროს, რათა პატიმრებს აარიდოს ცუდი და უაღრესად სიშიში პატიმრის მანვე გავლენა და ამასთანავე განავითაროს პატიმრებში თვითმოქმედების უნარი, რათა



ჩუენერგოს პატიმარს შრომისა და პატიოსანი ცხოვრებისათვის საჭირო პროფესიონალური ჩვეულება და თვისება“.

რაც უფრო კარგად იქნება დაყენებული პენიტენციარული დაწესებულებანი,—მით უფრო ადვილი შესასწავლი იქნება ყოველი დამნაშავე და იმისდა მიხედვით თუ ვისზე როგორ მოქმედობს ესა თუ ის სოციალური დაცვის ღონისძიება—შესაძლებელია მნიშვნელოვანად შემოკლდეს სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა ან და შეიცვალოს თვით სოციალური დაცვის ღონისძიება.

ამ პატარა წერილში ჩვენ შევეხებით მხოლოდ ზოგად დებულებებს. რაც შეეხება კანონმდებლის კონკრეტულ ღონისძიებებს პენიტენციარულ პოლიტიკის დარგში—ამაზე შემდეგ წერილებში.

გერცელ ბააზოვი.

ლენინი, როგორც იურისტი.

„ყველაზე მკირვა დაწერილი ლენინზე, როგორც იურისტზე“.
პროფ. ვ. ბოშკო.

ლენინი, როგორც იურისტი შესწავლელი თემაა. ამ თემის შესწავლა საბჭოთა სამართლის თეორეტიკული საფუძვლების ახალიზისა და მთელი გარდამავალი პერიოდის იურიდიული ინსტიტუტების არკვევას უდრის. ცხადია, ამ მკირე წერილში ჩვენ მაზნათ არ ვისახავთ აღძრული თემის დამუშავებას. სხვა ადვილს (იხ. ჟურ. „მზაობა“ № 10 „ლენინა და რევოლიუციონური სამართალი“) ჩვენ შევეცადეთ აღგვეჩინა ლენინის შემოქმედება და ნახაზები რევოლიუციონური სამართლის სხვადასხვა დარგში. აქ ამ მკირე მიზანსაც კი ვერ დავისახავთ. საამისოდ მეტად ვრცელი მონოგრაფიის დაწერა დაგვიჭირდებოდა, რაც ჩვენი ჟურნალის ფარგლებს შორდებდა. ამიტომ ჩვენ გვსურს მხოლოდ აღვძრაოთ საკითხი ლენინის, როგორც იურისტის შესწავლის შესახებ.

იურიდიულ ლიტერატურაში მეტად მკირვა შრომები, რომლებიც ჩვენ მიერ აღძრულ საკითხს შეეხება. პროფ. ვ. ბოშკოს წიგნის ერთი მკირე თავი, ე. პაშუკანისა და ლენინის სამართლის შესახებ, პროფ ა. გოიხბარგის რამდენიმე წერილი, რომლებიც მოგონების ხასიათს ატარებენ და სხვა მკირე მნიშვნელოვანი შრომები. აი, მკირე ლიტერატურა, რომელიც ეხება ლენინის იურიდიულ აზროვნებას.

არსებითად კი ლენინის, როგორც იურისტის შესწავლა მრავალ მზრით არის საინტერესო. საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის დარგში ლენინის როლი, როგორც თეორეტიკოსის და როგორც რევოლიუციის ბელადის განუხმელია. ვერ შეისწავლით საბჭოთა სახელმწიფო სამართალს თუ არ მიმართავთ ლენინს, როგორც „სახელმწიფო და რევოლიუციის“ და „პროლეტარული რევოლიუცია და რენეგატი კაუციკის“ ავტორს. ვერ შესძლებთ საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზაციულ-უფლებრივი წყობის შესწავლას თუ არ გაითვალისწინებთ ლენინის მთელ რევოლიუციონურ შემოქმედებას წინა ოქტომბრისა და ოქტომბრის შემდეგ პერიოდების გასწვრივ.

საბჭოთა სამოქალაქო სამართლის შესწავლისთვის აუცილებელია ლენინის მიერ ახალი ეკონომიური პოლიტიკის დასაბუთების გაცნობა. ამ დარგში საჭიროა გარკვეულ იქნეს ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნიადაგზე თავისებური სამოქალაქო ბრუნვის ჩამოყალიბება და ლენინის დირექტივები სამოქალაქო კოდექსის შედგენის დროს (პროფ. ა. გოიხბარგის საინტერესო მოგონებანი ამ საკითხის შესახებ).

საბჭოთა სისხლის სამართლის შესწავლისთვის საჭიროა ლენინის სწავლის გათვალისწინება სახელმწიფოსა და რევოლიუციის შესახებ და მასთან დაკავშირებით

ლენინის მიერ ტერორის, სამოქალაქო ომის დროს დამსჯელი პოლიტიკის პრაქტიკული ხელმძღვანელობა, ლენინის შემოქმედება, როგორც რევოლიუციის ბელადის და კომისართა საბჭოს თავჯდომარის.

საბჭოთა საოჯახო სამართლის ჩამოყალიბება არსებითად ემყარება ლენინის სწავლას ქალის განთავისუფლების შესახებ. აქ უფლებრივ ხასიათს იღებს ის პოლიტიკური და ეკონომიური ზომები, რომლებიც ლენინის მიერ მიჩნეული იყო ქალის სრული განთავისუფლებისთვის.

საბჭოთა შრომის სამართალი ლენინის ხელმძღვანელობით წარმოებული რევოლიუციის მონაპოვართა ფიქსაციაა შრომის დარგში. შრომის სამართალში ყველაზე უფრო ჩანს პროლეტარიატის ნებისყოფა.

საბჭოთა საერთაშორისო სამართალი არის იმპერიალიზმის შესახებ ლენინის სწავლის პრაქტიკულ-პოლიტიკური დანასკვი. ის თავის ძირითად მომენტებში ლენინის მიერ ჩამოყალიბებულ იქმნა კომენტერნის II კონგრესზე წარდგენილ თეზისებში, რომლებიც შეეხება იმპერალიზმის პერიოდში რაციონალური საკითხის გადაჭრას. ლენინის მიერ აქ მოცემულია საბჭოთა ქვეყნების საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი საფუძვლები. ლენინი, პრაქტიკულადაც, საბჭოთა ქვეყნების ურთულეს პერიოდში, აწარმოებდა საგარეო პოლიტიკის კონსტრუქციულ-სოციალისტური თვალსაზრისის სისწორით და კონკრეტ ობიექტურ პირობების გენიალურ შედარებით. ამ საკითხზე ჩვენ გვაქვს ამხ. გ. ჩიჩერინის საინტერესო მოგონება ლენინის მუშაობის შესახებ საგარეო პოლიტიკის დარგში. საბჭოთა საერთაშორისო სამართლის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის იმ დიდ მუშაობას, რომელიც ჩატარებულ იქნა ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით.

ავ. ბებელი ამბობდა: „სტალინი მთელ მსოფლიოში ყველაზე უფრო რეაქციონური ხალხიაო. ის მართალი იყო მაშინ. იურისტები, ბურჟუაზიული სამართლის დომატიკის დარგში ჩამდგარნი, ასრულებდენ დიდ რეაქციონურ როლს. ბურჟუაზიული კანონმდებლობა, სასამართლო იყო და არის ყველაზე უფრო რეაქციონური მოვლენა იდეოლოგიურ ხედნაშენთა შორის. ამ დარგის მუშაკნი, იურისტები ვერ გაექციოდენ და ვერც დღეს გაექციებიან რეაქციონერობის სახელწოდებას.

ლენინი ასეთი იურისტი არასოდეს არ ყოფილა. ლენინი სამართლის დომატიკის დარგში არავის უნახავს. ლენინი სოციალისტური სამართლის პოლიტიკის დარგის გიგანტიური მოაზროვნე და მებრძოლია. ამდენათვე ლენინს არაფერი აქვს საერთო არც ბურჟუაზიულ იურისპრუდენციასთან, არც ბურჟუაზიულ კანონმდებლობასთან. იურიდიული ცოდნით შეიარაღებული, იურიდიული ფაქულტეტის დასრულებას შემდეგ, ლენინი სავსებით შორდებდა „წმინდა იურიდიულ მსოფლმხედველობას“ და დიალექტიკური მატერიალიზმის მომარჯვებობის საზოგადოების მატერიალურ არსს, ეკონომიკის მიმართავს, რომ მის ნიადაგზე აღმოცენებული მუშათა მოძრაობით გარდაქმნას საზოგადოების სოციალ-ეკონომიური და აქედან ფორმალურ-იურიდიული ბუნებაც.

ამ მზრით ლენინის შესწავლა საბჭოთა იურისპრუდენციის გამოსავალი წერტილი უნდა იყოს. ლენინი როგორც იურისტის შესწავლით შეიძლება გაცნობა არა მარტო იმ კონკრეტ იურიდიული მასალის, რაც ლენინის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა საბჭოთა კანონმდებლობაში, არამედ იმ იურიდიული თვალსაზრისის მეთოდის, რითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ იურიდიული აზროვნების დარგში.

მეტად საინტერესო არის ლენინის შესწავლა, როგორც კანონმდებლის და ადმინისტრატორის. ის მუშაკები, რომლებსაც უხდებოდათ ლენინის მოღვაწეობის უშუალო მეთვალყურეობა (პროფ. ა. გოიხბარგი, გ. ჩიჩერინი, ლ. ტროცკი და სხ.) მეტად ძვირფას მასალებს გვაწოდებენ ლენინის საკანონმდებლო და საადმინისტრაციო მო-

ღვაწობის დარგიდან. აქვეა ლენინის დირექტივები რევოლუციონური კანონიერების შესახებ და მრავალი სხვა საყურადღებო მოვლენა.

საბჭოთა სამართალი და სამართლის მეტყველება ჯერ თავისი განვითარების პირველ საფეხურებზე დგას. თითქმის ყველა პრობლემა სამართლის ყოველი დარგიდან, ამიერიდან მოითხოვს დამუშავებას და შესწავლას. ამ კვლევის პროცესში ერთი მთავარი და უპირველესი საკითხია ლენინის იურიდიული აზროვნებისა და პრაქტიკის ზედმოწეწებით გაცნობა. ამ გზით ნაპოვნი იქნება ის გასაღები, რომელიც გადავიღებთ სხვა პრობლემების დამუშავებას.

სამართლის ფილოსოფიის ისტორიას ლენინის ბადალი პიროვნება არა ჰყავს. სამართლის ფილოსოფიის ისტორიაში ჩვენ უპირველესად და უმთავრესად ვხვდებით მხოლოდ აზროვნების ხალხს. ისინი კაბინეტური აზროვნებით, განყენებული პრინციპებით ცდილობდნენ არსებული თუ ყოფილი სამართლის ახსნას და „იდეალური სამართლის“ სისტემის შენებას. ლენინი კი მოვიდა, როგორც ტრმა ცოდნის კაცი, რომელმაც ქუჩაში, ბარაკებში, ბრძოლის ველზე, აჯანყებულ მილიონებში გაიტანა თავისი აზრი და რევოლუციონურ ქარიშხალში ჩამოყალიბა „მეოთხე წოდების“ სრულიად თავისებური სახელმწიფო და სამართალი. ასეთი, თანაბრად ძლიერი პიროვნება აზროვნებასა და ცხოვრებაში, თეორიასა და პრაქტიკაში, იურისპრუდენციასა და პოლიტიკაში სამართლის ფილოსოფიის ისტორიაში არ იცის. ლენინის აზროვნება და ბრძოლა იქცა მილიონების გრძნობათ და ნებათ და ამდენათვე ის გახდა ისტორიის სისხლი და ხორცი, საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელი ძალა.

ჩვენთვის, საბჭოთა იურისტებისთვის უპირველესი ამოცანაა ამ უდიდესი მოვლენის შესწავლა და გარკვევა, ლენინიზმის იურიდიული სწავლის სისტემატიზაცია.

სერგო ამალღობელი.

სავალდებულო დადგენილება.

აქტს, რომელიც საერთო ყოფაქცევის წესებს შეიცავს „ნორმატიული“, ეწოდება. როცა ამგვარი აქტები გამოდინარეობენ ადმინისტრატიულ დაწესებულებებიდან, მაშინ ტენიკურად, საბჭოთა ტერმინოლოგიის მიხედვით, მათ ეწოდება „სავალდებულო დადგენილება.“ სავალდებულო დადგენილებათა სახელწოდებით იგულისხმებიან, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების და საბჭოების ან ცენტრალური საუწყებო ორგანოების (სახალხო კომისარიატების) ის დადგენილებანი, რომელნიც, მიმართულნი განსაზღვრულ რაიონის ყველა მოქალაქისადმი ან მოქალაქეთა ჯგუფისადმი, ადგენენ მათთვის ყოფაქცევის სავალდებულო წესებს; ამასთანავე აღნიშნულ წესების მოუსრულებლობისათვის ამავე დადგენილებით გათვალისწინებულია ხოლმე განსაზღვრული გადასახდელი. მაშასადამე, სავალდებულო დადგენილება არის ნორმა, საერთო წესი, რომელიც ვრცელდება ცხოვრების ყველა შემთხვევაზე, რაც დადგენილებით არის გათვალისწინებული. ამ თვალსაზრისით სავალდებულო დადგენილება წარმოადგენს ერთგვარ ადვილობრივ კანონს, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლების მიერ გამოცემულ კანონისაგან განირჩევა სხვათა შორის იმით, რომ მას ე. ი. სავალდებულო დადგენილებას შეზღუდული აქვს მოქმედების ვადა: იგი შეიძლება გამოიკენს ვადით არა უმეტეს ერთი წლისა, იმ დროს, როცა კანონები მოქმედებენ განუსაზღვრელი დროის განმავლობაში მათ გაუქმებამდე; შემდეგ, სავალდებულო დადგენილება წარმოადგენს, ასე ვსთქვათ, „ქვე-კანონის“ აქტს, ე. ი. იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ კანონებს და ცენტრალურ ხელისუფლებას

ბის განკარგულებებს და არ უნდა იმეორებდეს აღნიშნულ აქტების შინაარსს.

ამგვარად, სავალდებულო დადგენილებათა ძირითად დანიშნულებას შეადგენს: ადვილობრივ პირობებთან შეფარდებით კანონების განვითარება და შეცვლა იმ მოვლენათა მოსაწესრიგებლად, რაც მოქმედი კანონით არ არის გათვალისწინებული. ყოველივე ეს მხედველობაში უნდა იქონიონ ადვილებმა და არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენონ სავალდებულო დადგენილებათა სანქცია (სასჯელი) ცხოვრებაში გასატარებლად ამა თუ იმ სახალხო კომისართა საბჭოს ან ცაკის აქტისა. აღმასრულებელი კომიტეტები არ არიან, რასაკვირვლია, მოკლებული უფლებას ფართოდ აცნობონ მოსახლეობას საბჭოთა ხელისუფლების ამა თუ იმ აქტების შესახებ, მაგრამ ამგვარი გამოცხადება არ შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნეს სავალდებულო დადგენილების ფორმით და მას (გამოცხადებას) უნდა ჰქონდეს მთავრობის „ცნობის“ ხასიათი აგრეთვე, სავალდებულო დადგენილება არ უნდა შეიცავდეს კანონის უბრალო ვანმარტებას. იგი იმაზე კი არა ლაპარაკობს, თუ როგორ არიან საჭირო კანონის გაგება, არამედ აწესებს ერთგვარ ახალ უფლებრივ ნორმას, რომელიც აკისრებს მოქალაქეებს ამა თუ იმ მოვალეობას.

სავალდებულო დადგენილება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს: მისი გამოცემა უნდა შეეფერებოდეს დროს და იყოს მიზანშეწონილი, უნდა არსებობდეს განსაზღვრული და ზუსტი მიზანი, რომელსაც იგი ისახავს და იყოს ადვილი შესასრულებელი.

ასე, მაგალითად, კეთილმოწყობის შესახებ სავალდებულო დადგენილება მხოლოდ მაშინ მიაღწევს მიზანს და მის გამოცემას ექნება აზრი, როდესაც აღრიცხული იქნება ის მატერიალური ხარჯი, რომელიც საჭიროა მის შესასრულებლად და და როდესაც აღნიშნული ხარჯი მძიმდ არ დააწვება გლეხობას, ე. ი. უკეთეს მისი მოთხოვნა განისაზღვრება მხოლოდ იმ დროის საჭირო ღონისძიებით.

სავალდებულო დადგენილებათა თავის დროზე გამოცემის საჭიროება თავის თავად ცხადია სტიქიურ უბედურების დროს, როცა რამდენიმე დღითაც კი დაკვიანებული გამოცემამ ამ გვარ სავალდებულო დადგენილებისა სრულიად უახროდ და მიზანშეწონილად ხდის მის შემდეგში გამოცემას.

სავალდებულო დადგენილების გამოცემის მიზანი ყოველთვის უნდა აღინიშნოს თვით დადგენილებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ექნება ბრძანების ხასიათი და არა მოსახლეობის მიზილვა მოთხოვნილებათა შეგნებული შესრულებისათვის.

იმ ტერიტორიაზე, რომელიც სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის გამგობაშია, მხოლოდ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს ღ მის პრეზიდენტს, როგორც ხელისუფლების უზენაეს ორგანოს ამ ტერიტორიაზე, აქვს უფლება გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი მმართველობის და წესრიგის დაცვის საკითხების შესახებ. თავის თავად ცხადია, რომ იმ ცენტრალურ ორგანოებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ სავალდებულო დადგენილების გამოცემის უფლება, შეუძლიათ თავიანთი დადგენილებათა მოქმედება გაავრცელონ აგრეთვე ამა თუ იმ მაზრის ტერიტორიაზედაც.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სავალდებულო დადგენილების გამოცემა უნდა იყოს მიზანშეწონილი და შეეფერებოდეს ადგილობრივ პირობებს.

ასეთი სერიოზული მოთხოვნილება გამოიკემ ორგანოსაგან აუცილებლად მოითხოვს დიდს სიფხიზლეს და სავალდებულო დადგენილების თვითეულ პროექტის საფუძვლიან განხილვასა და დამუშავებას. ამიტომ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემა არ უნდა გახდეს „სახსვათაშორისო“ საქმედ ან წმინდა „კაბინეტურ“ მუშაობად. რამდენადაც თვითეული გამოსაცემი სავალდებულო



დადგენილება ეხება, როგორც მაზრის მოსახლეობას, ისე მაზრაში მდებარე სახელმწიფო, და საზოგადო დაწესებულებათა და ორგანიზაციების ინტერესებს, ასევე დადგენილების პროექტი წინასწარ დიდი ყურადღებით უნდა იქნეს დამუშავებული, პროექტების განხილვისათვის საჭიროა საბჭოთა საზოგადოებრიობის მიზიდვა არსებულ ორგანიზაციების სახით. ნათქვამი, რასაკვირველია, არ ეხება სავალდებულო დადგენილებებს—შესახებ სტიქიურ უბედურებასთან და ეპიდემიასთან ბრძოლისა, რომელი დადგენილებანიც სასწრაფო ხაიათის გამო უნდა განიხილოს და მიიღოს აღმასრულებელ კომიტეტმა ან მის პრეზიდიუმმა უმეფეოდ; ეპიდემიის შემთხვევაში საჭიროა საექიმო პერსონალის სათანადო წარმომადგენლის დაწესება პროექტის განხილვის დროს.

ფორმის მხრივ თვითეული სავალდებულო დადგენილება უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს: აქტის დასახელება „სავალდებულო დადგენილება“ და ნომერი, რომელ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ არის გამოცემული და წელი, თვე და რიცხვი გამოცემისა, მისი მოქმედების ვადა და რაიონი, ვის ეკისრება მეთვალყურეობა სავალდებულო დადგენილებების შესრულებისა და მისი დარღვევის შემთხვევაში, ოქმის შედგენა, დადგენილების შეუსრულებლობისათვის ან დარღვევისათვის გადასახდელი, ძალაში შესვლის ვადა, ხელის მოწერა აღმასკომის ან ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის ან მის მოადგილის და აღმასკომის მდივნის. ფორმის დაცვა საჭიროა იმდენად, რამდენადაც იგი აძლევს გამოცემულ სავალდებულო დადგენილებას კანონის სახეს. ერთის მხრივ, მხოლოდ მეორეს მხრივ, შემდგომ ორგანოს უადვილებს კონტროლს.


სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს ან საბჭოს შეუძლია საჭირო შემთხვევებში სავალდებულო დადგენილების მოქმედება განსაზღვროს მაზრის ტერიტორიის ნაწილით, მხოლოდ ეს გარემოება უნდა აღინიშნოს თვით დადგენილებაში. მოქმედ კანონის საერთო აზრით სავალდებულო დადგენილების მოქმედების ვადა სამაზრო აღმასკომს შეუძლია შეამკროს, ე. ი. მოქმედების ვადასაზღვრული ვალდებულებანი და მათი შეუსრულებლობისათვის შედეგების გამოწვევა განსაზღვროს ერთ წელზე მეტად.

ნაკლები ვადით, რაც აგრეთვე უნდა აღინიშნოს დადგენილების ტექსტში.

რათა სავალდებულო დადგენილებათა მოქმედება ნაყოფიერი იყოს და მიაღწიოს თავის მიზანს, საჭიროა მისი გამოქვეყნება, იგი უნდა ეცნობოს მოსახლეობას. ამისათვის მიღებულ უნდა იქნეს წესად სავალდებულო დადგენილების გაცერა მაზრის ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში და დასახლებულ პუნქტებში ყველა თვალსაჩინო ადგილზე. გამოქვეყნებას მოსახლეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. როცა მოსახლეობას ეცოდინება, რომ ამა თუ იმ საკითხის შესახებ სავალდებულო დადგენილება გამოცემული თვითეული მოქალაქე შეეცდება ყველა მოთხოვნილება თავის დროზე შესასრულოს და თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა. ჩვენმა კანონმა გაითვალისწინა ეს გარემოება და ძალაში შესვლის ვადა დააწესა 15 დღის შემდეგ დღიდან გამოქვეყნებისა. თავისთავად ცხადია, რომ აღნიშნული ვადა საშუალებას აძლევს მოსახლეობას გაეცნოს სავალდებულო დადგენილებას და მოემზადოს დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის: ამ წესის გამოხატვის წარმომადგენელის სავალდებულო დადგენილებანი, რომელიც გამოცემიან გადაუდებელ შემთხვევებში (სტიქიურ უბედურების დროს) და რომლებიც ძალაში შედიან დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისთანავე.

ვამთავრებთ ამით საკითხს სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის შესახებ და საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ უკვე გამოცემულ დადგენილებათა კონტროლზე. ვის ეკუთვნის კონტროლის და ზედამხედველობის უფლება? მომემდ კანონის მე-13 მუხ. თანახმად „სავალდებულო დადგენილების ასლი სამი დღის ვადაზე დღიდან ხელის მოწერისა უნდა წარედგინოს შ. ს. ს. კომისარიატს,“ აქედან უნდა ვიგულისხმოთ, რომ კონტროლი და ზედამხედველობა ეკუთვნის შ. ს. ს. კ. თავის თავად ცხადია, რომ ეს ზედამხედველობა ეკუთვნის აგრეთვე პროკურატურას, რომელსაც ეკუთვნის საერთო ზედამხედველობა ყველა სახელმწიფო ორგანოს მოქმედების კანონიერებისა.

სავალდებულო დადგენილებათა გაუქმების, შეცვლის ან დამატების ყველა შემთხვევაში ორგანომ, რომელმაც გამოცხადა დადგენილება, უნდა აცნობოს მოსახლეობას შემო-



სასამართლო და სხვაკვება

2. იხვ ზაუკოკრატივის შესახებ.

როდესაც ჩვენი ადმინისტრაციულ ან სასამართლო ორგანოების ყოველდღიურ მუშაობის დეფექტებზე ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი, თქვენ ხშირად გაიგონებთ ამა თუ იმ პასუხისმგებელ მუშაკისაგან, რომ უმთავრესი მიზეზი ჩვენი აპარატის ბიუროკრატიული დამახინჯებისა, საქმეების დაგროვებისა, საქმის წარმოების უწყისობისა გახლავთ ეგრედ წოდებული ობიექტური პირობები: — შტატის სიმცირე, ზედმეტი დატვირთვა მუშაობით, საქმეების სიმრავლე, საკანცელარიო და სამწეო ხარჯების სიმცირე და სხვ. ეს ყველაფერი მართალი არის, მაგრამ მე მგონია, რომ ჩვენი აპარატის უწყისო მუშაობის მიზეზთა შორის არანაკლები მნიშვნელობა აქვს სობიექტურ მომენტებსაც — მუშაკთა უცოდინარობას, მოუმზადებლობას არა სათანადო კვალიფიკაციის და სპეციალიზაციის მხრივ, ცოდნის შექმნის სურვილის უქონლობას და სხვა.

ხშირად შეხვდებით მაგალითებს, როცა მილიცია ან სასამართლო საქმის მართვის დროს თავის წარმოებაში არ უკვირდება საქმის შინაარს და ღებულობის ისეთ საქმეს, რომელიც მას არ ექვემდებარება. ხშირად მილიცია ახდენს მოკვლევას ისეთ საქმეზე, რომელშიც არავითარი ნიშნები დანაშაულისა არ არის, ან რომელიც აშკარად ეხება სამოქალაქო ხასიათის ურთიერთობას. სასამართ-

ლოშიც ხშირად ნახავთ წარმოებაში ასეთ საქმეებს და ასეთი საქმე წარმოებს ზოგჯერ წლობით. აშკარაა, რომ ასეთი ზედმეტი, სრულიად უმაქნისი მუშაობა, გამოწვეული საქმის უცოდინარობით, თავის ფუნქციების და კანონების არ ცოდნით, ზედმეტ ტვირთად აწვება ამ ორგანოებს.

აი ერთ-ერთი ამისთანა მაგალითი:
სამ ქვის-მთელ მუშას მიუღიათ ერთი კერძო პირისაგან, მოქ. დ-საგან, რომელთანაც ისინი მუშაობდნენ დღიურად. ხელფასის სახით 30 მან., ერთი სამ-ჩერვონციაანი. ვინაიდან ეს ფული უნდა გაეყოთ ერთმანეთში, მათ დაახურდავეს ეს ფული ერთ კერძო სავაჭროში თითო ჩერვონციანათ და შემდეგ ერთ კოოპერატიულ მაღაზიაში დაახურდავეს ერთი ჩერვონცი.

ქუჩაში გამოსვლისას, ამხანაგებს ფულის გაყოფის დროს მოუვიდათ უთანხმოება, მხოლოდ წეს-რიგი არ დაურღვევიათ. მათ ლაპარაკს ყური მიჰკრა გუშაგმა მილიციონერმა. რომელმაც იმ მიზნით, რომ მათ შემდეგში წესრიგი არ დაერღვიათ, დააკავა სამივე, ჩამოართვა ერთ მათგანს 15 მან. და წაიყვანა უბნის მილიციის სასამართლოში. აქ მორიგე უფროსი თანამშრომელი შეუდგა მოკვლევის მოხდენას.

მოკვლევის დასაწყისში სწერია, რომ „ამა და ამ დროს გუშაგმა მილიციონერმა წარმოადგინა სამი მოქალაქე იმ მიზნით, რომ მათ ქუჩაში წესრიგი არ დაერღვი-

აღნიშნული ზომებით; ამასთანავე ყველა საქმე დადგენილების გაუქმებამდე დაუმთავრებელი, მხოლოდ სათანადო შემთხვევებში დადგენილების შეცვლამდე, უნდა მოისპოს ან შეჩერებულ იქნეს გადათვალთვრებამდე და დაშვებულ დარღვევათა არსის შეფასებამდე.

ადმინისტრაციული გადასახდელის და განსაჩივრების წესის შესახებ შემდეგ წერილში.

დ. მარიანაშვილი.

სამკაცრო საგარეო საზოგადოების პროგნოზის საფუძვლისათვის.

საკმაო თვალი გადავავლოთ საბჭოთა რესპუბლიკების მეურნეობას, ეკონომიკას, რომ შევამჩნიოთ აქ ორი ელემენტი, რომელიც, როგორც თავისი მოცულობით, ისე შინაგანი სტრუქტურით ერთი მეორისაგან განირჩევა. ეს ორი ელემენტი: კერძო მეურნეობა და სახელმწიფო მეურნეობა. ამის მიხედვით უნდა აღინიშნოს, რომ ერთის მხრით არსებობს სახელმწიფო ბრუნვა, სადაც სუბიექტად გამოდის სახლმწიფო საწარმო (ტრესტი, სინდიკატი, სახელმწიფო და შერეული სააქციო საზოგადოება), რომელიც მოქმედობს კომერციული ანგარიშის საფუძველზე და, მეორეს მხრით — კერძო მესაკუთრე — მეურნე, რომელიც ეწევა იჯარის საფუძველზე ალბუჟო სახელმწიფო საწარმოს ექსპლოატაციას ან ხელახლად ხსნის საწარმოს. ამის შესახებ არსებულ ცალკე დადგენილებათა და სამოქ. სამართ. კოდექსის სათანადო დადგენილებების საფუძველზე (საქართ. სახკომსაბჭოს დადგენილება № 92 — 1924 წ.; — იხ. ჟურნ. „მოამბე“ 1924 წ. № 6. — სამოქ. სამ. კოდ. მე-5 და 54 მ.მ.) იშვიათ შემთხვევაში კი დაიშვება სამოქალაქო ბრუნვაში კერძო კაპიტალი კონცესიის საფუძველზე (სამ. სამ. კოდ., 55 მ.).

თუ არ მივაქცევთ ყურადღებას ცალკე უბირატესობათ და შეღავათებს, რომლებითაც სარგებლობს სახელმწიფო საწარმო, უნდა ვთქვათ, რომ სხვა მხრივ, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სამეურნეო ორგანო თავისუფალ ბაზარზე გამოდიან, როგორც ქონებრივ უფლებათა სუბიექტები.

შინაგან სტრუქტურის მხრივ კი მათ შორის დიდ განსხვავებაა. კერძო მეურნეობას ასულდგმულებს მარტო-ოდენ პირადი მოვების სურვილი. კერძო მეურნეობანი მოქმედებენ ცალკეულად, შეუთანხმებლად და მულამ ექიმპებიან ერთი მეორეს. სახელმწიფო საწარმო, თუმცა გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე და სარგებლობს ატონომიური უფლებებით თავის ოპერატიულ მოქმედების სუეროში, მაგრამ ის მაინც წარმოადგენს ერთიან სახელმწიფო ორგანიზმის ნაწილს, მოქმედობს ამ სახელმწიფო ორგანოთა უახლოესი ხელმძღვანელობით და საერთო სახელმწიფოებრივ (ნტერესთა მიხედვით, საქვეყნო სამართლის ნორმათა საფუძველზე (ერთიანი სამეურნეო გეგმა, გამგებლობა-მმართველობა და კონტროლი) მეურნეობის პირველ სისტემას ახასიათებს სხვადასხვა სამეურნეო ერთეულთა განცალკევებული მოქმედება და ხშირად მათ შორის გარდაუვალი წინააღმდეგობა. ეს არის სისტემა საქონლობრივი ანუ საქონლობრივ-კაპიტალისტური მეურნეობისა.

მეორე სისტემა ემყარება სრულიად წინააღმდეგ პრინციპს. მისთვის სავალდებულო არიან უპაღლეს საგეგმო ორგანიზა განკარგულება-წინადადებანი, რომელნიც განსაზღვრავენ სახელმწიფო საწარმოთა მოქმედებისა და საქმიანობის ხასიათსა და მიმართულებას.

ზემოხსენებულის ნათელსაყოფად საკმაო გადავხედოთ მაგალითისათვის სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულებას (ს. ს. რ. კავშირის კანონთა კრებ., № 39 — 1927 წ., მ. 392). ტრესტის საწარმო-საფინანსო გეგმას ამტკიცებს ის ორგანო, რომლის გამგებლობაშიცაა ეს ტრესტი, იქნება ეს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, ან სხვა სახალხო კომისარიატი, თუ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი.

იგივე ხელმძღვანელი ორგანო ამტკიცებს ტრესტის ახალ საწარმოთა სააღმშენებლო გეგმას, აძლევს ტრესტს ნებართვას შეიტანოს უკვე დამტკიცებულ საწარმო-საფინანსო გეგმაში არსებითი ცვლილებანი, გაასხვისოს ან დაავიაროს ცალკე საწარმო, ან გასცეს ის იჯარით. ხელმძღვანელ ორგანოს უფლება აქვს ააგრეთვე დააწესოს ტრესტისათვის სავალდებულო ფასები, რომლითაც მან უნდა გასცეს თავისი პროდუქცია და გარდა ამისა ამ

ათო“. (აქედან მკითხველი ნათლად დაინახავს, რომ მათ წესრიგი არ დაურღვევიათ) შემდეგ სწერა: „როგორც გამოვარკვეე მათ შორის ყოფილა დავა 15 მანეთის შესახებ, ამიტომ დავადგინე:—„მოვანდინო მოკვლევა“.


მოკვლევა მო დენილი არის დაწვრილებით: გამოარკვეული არის ამ მოქალაქეების წლოვანობა, სოციალური და ოჯახური მდგომარეობა და პარტიული მიმართულება. შემდეგ — ვისგან, როდის, რისთვის და რამდენი მიიღეს ფული და სად დაახურდავეს ეს ფული. მაგრამ უფროსი თანამშრომელი ექვის თვალთ შეხვედრია მათ განცხადებას, რომ ეს ფული მათ მიიღეს ხელფასის სახით და შექდეგ დაახურდავეს. მას მოუთხოვნია მუშებისათვის, რომ წარმოედგინათ მოწმობები იმ მალაზიებიდან, სადაც დაახურდავეს ფული.

ერთი ამხანაგთაგანი მიდის ჯერ პირველ მალაზიაში და ართმევს მალაზიის პატრონს მოწმობას, რომელშიაც სწერია: „მე ამით ვადასტურებ, რომ ამ მოქალაქემ მართლა დაახურდავა ჩემს მალაზიაში სამი ჩერვონეცი“. ასეთსავე მოწმობას ლებულობს კოოპერატიული მალაზიის მალარისაგან და მოაქვს მილიციაში. მაგრამ მილიცია ამით არ კმაყოფილება; მას ეჭვი ეპარება იმისაც კი, რომ ეს ფული მუშებმა მიიღეს როგორც ხელფასი. გზავნიან მილიციონერს, იბარებენ მოქ. დ-ეს, რომელიც ადასტურებს, რომ მან მართლა მისცა ამ მუშებს სამი ჩერვონეცი, როგორც ხელფასი.

მოკვლევა, დამთავრებს შემდეგ, თანახმად რაიმეილიციის უჯროსის რეზოლიუციისა, იგზავნება თბილისის ერთ ერთ უბნის სახალხო სასამართლოში შემდეგი მიმართვით: „ამასთანავე გაახლებთ მოკვლევას ამა და ამ მოქალაქეებზედ მათ შორის არსებულ დავის შესახებ 15 მანეთზე“. მოკვლევასთან დართულია 15 მან., როგორც „დამამტკიცებელი საბუთი“. ეს „საქმე“ შემოსულა სასამართლოში და აქ შეუდგენიათ, როგორც სისხლის სამართლის საქმე და სათაური გაუკეთებიათ ასეთი: „სისხლის სამართლის საქმე მოქ. დ-ეს მიერ ფულის დაკარგვის შესახებ“. თუმცა მოკვლევაში ნათლად არის აღნიშნული რომ მოქ. დ-ს არავითარი ფული არ დაუკარგავს და მიუცია ხელფასის სახით მუშებისათვის, მაგრამ ასედაც რომ ყოფილიყო, რატომ უნდა ჩათვალოს ფულის დაკარგვა სისხლის სამართლის დანაშაულად?

ეს საქმე ჩაუწერიათ 1926 წლის რეესტრში, გაუკეთებიათ ახალი ყდა სათანადო ნომრის დასმით, გასულა 1926 წელი, საქმე გადაუჩანიათ 1927 წლის რეესტრში. მაშადამე ეს საქმე მოჰყვებოდა 1926—27 წლის თვიურ და წლიურ ანგარშებში, და ბოლოს მოსპობილი ყოფილა გამწესრიგებელ სხდომაზე „დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო“.

ერთ-ერთ თავის ნაწარმოებში ლენინი, ეხება რა სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციის საკითხს, ამ



პროდუქციის განრიგება საბაზროზე უფრო დაბალ ფასებში სახელმწიფო ორგანოთა სასარგებლოდ, დებულე-ბაში აღნიშნული პრინციპების მიხედვით. ეს მაგალითები სრულიად საკმაოა დასკვნისათვის, რომ აქ გვაქვს ჩვენ საქმე გეგმიან მეურნეობის სისტემასთან.

ჩვენი ეკონომიკის ზემოთაღნიშნული განსხვავება (სხვადასხვაობა) აუცილებლად იწვევს საჭიროებას მოენახოს ამ თავისებურებას სათანადო უფლებრივი გამოსახუ-ლება.

რამდენადაც ჩვენ გვაქვს საქმე მეურნეობასთან, ამ ელემენტის უფლებრივი გამოსახულება ახალს, უჩვეულოს არაფერს წარმოადგენს. ამ სისტემის მეურნეობას ყოველ-თვის სხვევია განსაზღვრული ინსტიტუტები, რომელნიც მას, სისტემას, უფლებრივად ასახავენ. ეს არის სამართა-ლი, ვალდებულების სამართალი და მემკვიდრეობის სა-მართალი, ე. ი. სამოქალაქო სამართლის კოდექსი.

საკითხი საგრძნობლად რთულდება, როცა ჩვენ შევცდებ-ბით გეგმიანი მეურნეობის ჩამოყალიბებას უფლებრივ ჩარ-ჩობებში. როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, საგვეგმო უმაღ-ლეს ორგანოთა და მათ ქვემდებარე სახელმწიფო საწარ-მოთა ურთიერთობა ამჟინებულა ბრძანებაზე—ერთის მხრით, და დამორჩილებაზე—მეორეს მხრით. ამ საწარ-მოთა მუშაობის არსებით მხარეების წარმართვა არ ეკუ-თვნის თითონ მათ; ეს შეადგენს უმაღლეს ორგანოთა კომპეტენციას, მაგრამ ამ ორგანოთა უფლებამოსილება ქვემდებარე საწარმოთათვის სავალდებულო განკარგულე-ბათა მიცემის სფეროში არც ისე უსაზღვროა. ეს განკარ-გულებანი, ერთის მხრით,—არ უნდა სცილდებოდენ უმა-ღლეს ორგანოთა კომპეტენციის საზღვრებს და, მეორეს მხრით, არ უნდა არღვეოდენ პრინციპს სამეურნეო ანგა-რიშისას, რომლის საფუძველზედაც ეს საწარმონი მოქმე-დობენ. უმაღლეს ორგანოს არა აქვს უფლება ვასცეს ქვე-მდებარე საწარმოსადმი ისეთი განკარგულება, რომელიც უკანასკნელისათვის პირდაპირ საზარალაა, აიძულოს ეს საწარმო ვასცეს თავისი პროდუქცია უსასყიდლოთ, ან სათანადო ეკვივალენტის მიუღებლად.

აქედან აშკარავდება, რომ საგვეგმო ორგანოების ურთიერთობა ქვემდებარე საწარმოებთან დებულობს ფორ-მას უფლებრივ ურთიერთობისას. აი სწორედ ამ უფლებ-

რივ ურთიერთობის შეთვისებისათვის საჭიროა განხილულ და შესწავლილ იქნენ ის ინსტიტუტები, რომელნიც წარმოშვენ სწორედ გეგმიანი მეურნეობის სისტემის სა-ფუძველებზე. ეს ინსტიტუტები (ტრესტი, სინდიკატი, სა-აქციო საზოგადოება, მომქმედი მარტოოდენ სახელმწიფო კაპიტალით, ან სადაც ეს კაპიტალი სჭარბობს, კონცესია, ნაწილობრივ—სახელმწიფო საწარმოთა იჯარით აღება კერძო კაპიტალის მიერ და სხვა) ახლად აღმოცენდენ საბჭოთა ეკონომიკის საფუძველზე. სრულიად უჩვეულო რამ არიან თვით დასავლეთ ევროპის ორგანიზაციული ფორმებით მდიდარ ეკონომიკისათვისაც, ძალიან სუსტად არიან გაშუქებული რუსეთის იურიდიულ ლიტერატურაში და ჩვენთვის კი სრულიად უცნობი არიან.

ეს მოვლენა არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურად. უდავოა ყველასათვის, რომ სახელმწიფო მეურნეობა წარმოადგენს უმთავრეს და მჭარბ სექტორს სახალხო მე-როპლის სფერო თუნდაც იმიტომ. რომ დიდი უმრავლე-სობა საკუთრების ობიექტისა და საწარმოო საშუალებისა გამორიცხულია კერძო ბრუნვიდან,—ძლიერ შეზღუდულია.

სახელმწიფოს ხელშია უმთავრესი სიმდიდრე ქვეყ-ნისა; მას დასახული აქვს დიდი მასშტაბის სახელმწიფო-სამეურნეო ამოცანები და ცხადია, რომ ამ პირობებში შე-სწავლას გეგმიან მეურნეობის სისტემის საფუძველზე აღ-მოცენებულ უფლებრივ ინსტიტუტებისას, რომელნიც ნა-თელყოფენ სწორედ სახელმწიფო მეურნეობის ორგანიზა-ციულ ფორმებს, ფრიად დიდი და აქტუალური მნიშვნე-ლობა ეძლევა. ეს მით უფრო, რომ საბჭოთა რესპუბლი-კების მეურნეობის აღორძინება აუცილებლად გულისხმობს სახელმწიფოს დამრეგულიარებელი ზეგავლენის გააღვირე-ბას სამეურნეო ბრუნვაზე.

ისმება საკითხი: შეიძლება თუ არა ამ ინსტიტუტე-ბის შესწავლა და შეთვისება სამოქალაქო კოდექსის სა-ფუძველზე? რასაკვირველია, არა. ჩვენი სამოქალაქო კო-დექსის თავისებურება სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ის არ ვრცელდება მთელ სამეურნეო ბრუნვაზე, როგორც ამას აქვს ადგილი დასავლეთ ევროპაში. მისთვის აიძარ-თება ხოლმე ზღუდე იქ, სადაც ბრუნვაში შემოიჭრებ გეგმიანობა. მოკლედ რომ ვთქვათ,—სამოქალაქო კოდექს-

ბობს: „ჩვენ უნდა მივიყვანოთ ჩვენი სახელმწიფო აპა-რატი მაქსიმალურ ეკონომიამდე, განვდევნოთ იქიდან ყვე-ლა ის ნაკლი, რომელიც დარჩა მისში, როგორც ნაშთი ძველი ბიუროკრატიული-კაპიტალისტურ აპარატისა... სა-ჭიროა, რათა ყოველთვე ეკონომია მოვანხაროთ ჩვენს მსხვილ მანქანურ ინდუსტრიას, ელექტროფიკაციის განვი-თარებას, ვოლხოვმშენის დამთავრებას და სხვა“.

ლენინის აზრით სახელმწიფო აპარატის გაჯანსა-ღება-გამარტივებას აქვს არა მარტო პოლიტიკური მნი-შვნელობა, როგორც ერთ-ერთს საშუალებას პროლეტა-რიატის დიქტატურის განმტკიცებისას, არამედ დ დი ეკონომიური მნიშვნელობაც, ვინაიდან სახელმწიფო აპა-რატის სიტლანქი, ზედმეტი გაბეერვა, ზედმეტი ფორმა მალისში და ჩამორჩენილობა ზედმეტ ტვირთად აწვება ჩვენს სახელმწიფო ბიუჯეტს.

რომ ეს ასე ვახლავთ, მე მინდა მოვიყვანო პატარა მაგალითი, მაგრამ მეტად დამახასიათებელი მაგალითი ჩვენი სასამართლოს ცხოვრებიდან, რომლიდანაც ჩვენ და-ვინახავთ, რომ საქმის დაყოვნება, გაჭიანურება და ზედ-მეტა ფორმალისში სასამართლოს ორგანოებში დიდ ეკო-ნომიურ მარცხს აყენებს სახელმწიფოს.

ქ. თბილისის ერთ ერთ უბნის სახალხო სასამართ-ლოში სწარმოებდა სამოქალაქო საქმე, სულ უბრალო და მარტივი, რომელიც ეხებოდა საკითხს სასამართლოს აღმა-

სრულებელის მიერ აღწერილ ქონებიდან მესამე პირის ქონების აღწერის სიიდან გამორიცხვას. ძიება შეფასებუ-ლია 100 მანეთად, საქმე აღძრულია 1924 წ. და დამ-თავრებულია 20 დეკემბერს 1927 წ.

ამ საქმეზე სასამართლოს სხდომა ყოფილა 18-ჯერ, გადადებული არის 13-ჯერ, არსებითად განხილული არის 3-ჯერ, დარღვეული არის საკასაციო ინსტანციის მიერ 2-ჯერ და ერთხელ საქმე ყოფილა პროკურატურაში.

სულ გამოტანილი არის ამ საქმეზე გადაწყვეტილება და კერძო დადგენილება—20. ვაგზანილი არის უწყება—88 ცალი. საქმის განხილვაში მიუღიათ მონაწილეობა სულ 149 კაცს (სასამართლოს შედგენილობა, მხარეები და მო-წმები). აქ არ არის მიღებული მხედველობაში ის შრომა, რომელიც გასწიეს მალოციის თანამშრომლებმა უწყებების ჩაბარებისათვის ღ სასამართლოს კანცელარიის თანამ-შრომლებმა საქმის წარმოების დროს.

თუ ვადვიყვანთ ფულზედ იმ შრომას, რომელიც მონადომეს ამ საქმეს სასამართლოს შედგენილობამ და მონაწილე პირებმა (ს მუშაო საათები და დროის გაცდე-ნა), გამოვა რომ ეს საქმე უზის სახელმწიფოს დაახლო-ვებით 300 მან., ე. ი. საჩჯერ მეტი, ვიდრე თვითონ ძიება არის შეფასებული.

ი. პ—ლი.

წარმოადგენს კანონს თანამედროვე მეურნეობის მარტო-ოდენ ერთი ელემენტისას, სახელდობრ საქონლითი მეურნეობისას. *)

ეს გეგმიანობა იწვევს საჭიროებას მთელი სამეურნეო ბრუნვისათვის რამდენიმე დისციპლინის გამონახვისას. მართლაც, არის ჯგუფი სამეურნეო მოვლენათა, რომელიც უკვე შეადგენს საგანს სხვადასხვა დისციპლინისას. უკვე გვაქვს ჩვენ მიწის სამართალი, სავაჭრო სამართალი, ჩნდება და ისახება სამრეწველო სამართალი, კოოპერატიული სამართალი და სხვ.

აქ დასახელებულ დისციპლინებიდან მე მაქვს მხედველობაში სამრეწველო სამართალი, რომლის შესწავლა-შეთვისებისკენაც მე მოვუწოდებ ჩვენი კურსლის მკითხველებს. სამრეწველო სამართალი შეისწავლის ტიპიურ იურიდიულ ფორმებს სახელმწიფო საწარმოთა ორგანიზაციისას, ამ საწარმოთა მეურნეობითი ავტონომიის საზღვარს და აგრეთვე ეცნობა და შეისწავლის საეკონომიკურ ორგანიზაციას, რაიც წარმოართავს სახელმწიფო სამრეწველო დაწესებულებათა მოქმედებას.

ბ. ჩხეიძე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145 მუხლის შესახებ *)

გამომძიებლების პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როცა იგი, ს. ს. ს. კ. 145 მ. ხელმძღვანელობით, ამა თუ იმ ბრალდებულის წინააღმდეგ აირჩევს ხოლმე რომელიმე

*) ეს არ ნიშნავს, თითქო სახელმწიფო საწარმოთა მოქმედება და ურთიერთ დამოკიდებულება ვითარდება სამოქალაქო კოდექსის გარეშე: იმდენად, რამდენადაც ზემოდ უკვე მოცემულია განკარგულება, რომელიც ამ ურთიერთობას შინაარსს აძლევს, სახელმწიფო ორგანოებს, რასაკვირველია, შეუძლია უკვე შემდეგ გამოიჩინონ ერთგვარი ავტონომია და ეს ურთიერთობა დანარჩენ ნაწილში ჩამოაყალიბონ სამ, კლდ ინსტიტუტების საფუძველზე. ეს დე ულება ნახმარია, როგორც ფორმულა, რომელიც რელიეფობას აძლევს ამ დე ულებაში ჩასახულ აზრს. თავის-თავად ეს საკითხი ფრიალ საინტერესოა და რთულიცაა; სასურველია მას გამოეხმაურონ ჩვენი იურისტები.

ბ. ჩ.

აღმკვეთ ზომას, ხოლო საქმეში არსებულ მასალების მიხედვით ბრალდების წარდგენა, ნაადრევი, ან იმიტომ რომ ჯერ სათანადოთ არ არის დაგროვებული სამხილებელი მასალა, ან და გამოძიების თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილია ექვ-მიტანილს ჯერ კიდევ არ ეცნობოს მის მიმართ აღძრულ ბრალდების საფუძვლები.

ამ შემთხვევაში ისმება საკითხი—ვალდებულია თუ არა გამომძიებელი ექვ-მიტანილის წინააღმდეგ აღმკვეთი ზომას მიღებამდე, ფორმული წესის დაცვით, დაჰკითხოს უკანასკნელს

როგორც ვიცით, 145 მუხლი, პირველ ნაწილში, მოითხოვს ბრალდებულს, აღმკვეთი ზომის მიღებამდე, წარედგინოს ბრალდება, და მხოლოდ, განსაკუთრებულ შემთხვევაში იძლევა უფლებას ბრალდების წაყენებამდე ზომის არჩევისას, ისიც იმ პირობით, რომ ბრალდება წარედგინოს ორი კვირის განმავლობაში, — წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული ზომა აუცილებლად უქმდება.

ამ რიგათ, კანონის ძირითადი მოთხოვნისა, ბრალდებულს წარედგინოს ბრალდება, ხოლო რას ნიშნავს ბრალდების წარდგენა, ვხედავთ საპროცესო კოდექსის 128 მ. 2 ნაწ. რომელიც სავალდებულოდ ჰყოფს ბრალდების დასაბუთებულ დადგენილებაში ჩამოყალიბებას მთელი სამხილებელი მასალის აღნიშვნით.

მაშასადამე, ამ მუხლის სისწორით აღსრულებისათვის გააძიებელს ხელთ უნდა ჰქონდეს საკმარისი მასალა, რომ ექვ-მიტანილმა ნამდვილად ჩაიღინა ესა თუ ის ბოროტმოქმედება, რასაც ექნება ადგილი მხოლოდ მაშინ, თუ გამომძიებელი საქმეში თავს მოუყრის სარწმუნო საბუთებს და სხვა სამხილებელ მასალას.

ერთ დამამტკიცებელ საშუალებად ცნობილია თვით ბრალდებული, რომელსაც გამომძიების და მთელი სამართლის პროცესში მინიჭებული აქვს მხარეთა უფლება (23 მ.), რის გამოც, ერთის მხრით, იგი ემსახურება სამართლის წარმომადგენელს საქმის კეშმარტების ახსნაში, მეორეს მხრით კი დაინტერესებულია, თავდაცვის მიზნით, პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღოს და თავიდან აიცილოს მსჯავრი.

*) დისკუსიის წესით.

სასამართლოს კურიოზები.

ამ სტრიქონების ავტორს მხედველობაში აქვს საქმე № 1252, რომელიც გაიჩნა 1927 წლის 28 ივლისს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილების საჯარო სხდომაზე. საქმე შეეხებოდა მოქ. ევა გონგაძე ხვედიანელის ძიებას მოქ. ალექსი გონგაძესთან საზრდოს სახით 3.000 მანეთის გადახდივინებას. საქმეში მოიპოვება ნოტარიალური საბუთი იმისა, რომ მძიებელი არის ყოფილი ცოლი მოპასუხისა და როგორც ჩანს საქმეში არსებული მასალებით, არც მოპასუხის რწმუნებულს არ უარპყოფს ამ გარემოებას.

საოცარია: მიუხედავად ამისა ოქმში ეკითხულობთ უცნაურ შუამდგომლობას. სასამართლოს წინაშე დგას მძიებლის რწმუნებულს, დამცველთა კოლეგიის წევრი ლ-ძე წავიკითხვით სიტყვა-სიტყვით რა სწერია ოქმში:

„მძიებლის რწმუნებულს აცხადებს, რომ მისი მარწმუნებელი იყო მოპასუხესთან ხასად და დასამტკიცებლად იმ გარემოებისა, რომ ხასა იგივე ცოლია—იქნეს გამოწვეული ექსპერტი და გამოკვლეული ეს გარემოება. ექსპერტად იქნეს გამოწვეული მოხუცი იურისტი მცოდნე კონსტიტუციისა.“

სასამართლოს გამოაქვს ამ შუამდგომლობის შესახებ ასეთი დადგენილება:

„სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში მძიებლის რწმუნებულის შუამდგომლობა ექსპერტის გამოწვევის შესახებ, გამოსარკვევად იმ გარემოებისა, ხასა ითვლება თუ არა ნამდვილ ცოლად, რომ ასეთი შუამდგომლობა სრულებით ეწინააღმდეგება საბჭოთა ხელისუფლების პრინციპებს, ვინაიდან ხასა და ნამდვილი ცოლი საბჭოთა ხელისუფლების შეხედულებით არის ერთი და იგივე—დაადგინა: მძიებლის რწმუნებულს შუამდგომლობაში უარი ეთქვას“...

არას ვიტყვით სასამართლოს მოტივის უფერულ გადმოცემაზე. მოქ ლ-ძეს მაინც გვსურს შევეკითხოთ: ოქტომბრის რევოლიუციის მეთერთმეტე წლის თავზე სადღა არსებობს ტერმინი „ხასა?“ თუ ქალაქთა ფაქტიური ცხოვრება გაქვთ მხედველობაში—მაშინ ამის შესახებ კანონში ჩვენ გვაქვს გარკვეული ნორმები და რალა საჭიროა ექსპერტი, ისიც მოხუცი იურისტი და ამასთანავე კონსტიტუციის მცოდნე?!.. დაბოლოს, ჩვენ მაინც გვაკვირვებს: მოპასუხის რწმუნებულს არ უარპყოფს იმ გარემოებას, რომ მძიებელი არის ყოფილი ცოლი მოპასუხისა. მაშინ რალად დაგვირდათ ესოდენ „ბრძნული“ შუამდგომლობა?..

—ელ.

ბრალდებულს, როგორც მხარეს, ეძლევა უფლება, ბრალდების შესახებ მისცეს გამომძიებელს განმარტება და წარადგინოს გასამართლებელი საბუთები, ხოლო იმავე დროს გამომძიებელს ეკრძალება ბრალდებულის იძულებითის პირობებში დაკითხვა და, თუ ბრალდებული უარობს ჩვენების მიცემას ან სისწორით არ უპასუხებს დასმულ შეკითხვებზე, ასეთს მის საქციელს თან არ სდევს პასუხისმგებლობა, რომელიც დაკანონებულია სხვა პირობათვის. (164 მ.)

აქედან თავის თავად გამომდინარეობს საკითხი: რა-ნაირ პირობებში და რა სახით უნდა იყოს დაკითხული ის პირი, რომელიც მხილებულია ბოროტმოქმედების ჩადენაში, მაგრამ ჯერ არ არის სათანადო წესით ჩამოყალიბებული ბრალდებულად (128 მუხ.), ხოლო საჭიროება კი მოითხოვს, ბრალდების წაყენებამდე, მის წინააღმდეგ არჩეულ იქნეს აღმკვეთი ზომა (145 მ.)? თუ მას ჩავთვლით უბრალო მოწმედ, მაშინ დაკითხვამდე ასეთ პირს ჩამოერთმევა ხელწერილი ცრუ ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ (164 მ.) და მაშასადამე იგი ვალდებულია არ დაუმალოს გამომძიებელს ისეთი გარემოება. რომელიც ამხილებს მის ჩადენილ ბოროტმოქმედებას. თუ კი ჩავთვლით ბრალდებულად, აუცილებლად საჭიროა ბრალდების წარდგენა, რაც ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებათა გამო შეუძლებელია.

მაშასადამე ეჭვ-მიტანილის დაკითხვა მოსახერხებელია მხოლოდ მოწმეთათვის არსებულ წესით და პირობებში; ასეთ დაკითხვის მიზანშეუწონლობა და დაუშვებლობა ცხადია, რადგან, ზოგსა და უფრო ხშირ შემთხვევაში, ეჭვ-მიტანილის ჩვენება უნდა წარემართოს მისვე წინააღმდეგ, როგორც სამხილებელი მასალა, ხოლო განმეორებით, ბრალდებულის სახით, დაკითხვის დროს კი ადვილად მოსალოდნელია იმავე ეჭვ-მიტანილმა უარპყოს პირველად მიცემული ჩვენება და ამით ღირსება დაუკარგოს უკანასკნელს; აქ არ აღვნიშნავ იმას, რომ ასეთი დაკითხვის პირობებში შეღავათი იქნება თვით საგამომძიებ-

ლო მოქმედების ღირსებაც, ვინაიდან ეს დაკითხვა ისე იწარმოებს, თითქოს ეჭვ-მიტანილი მოტყუებით ალაპარაკეს მისვე საწინააღმდეგოდ. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ეჭვ-მიტანილი და ბრალდებული ერთი მეორესაგან განსხვავდებიან არა შინაარსიანობის, არამედ ფორმალური შეხედულებით, და თუ აკრძალულია ბრალდებულის იძულება აჩვენოს თავის წინააღმდეგ, ასევე ასაკრძალავია ეჭვ-მიტანილის იძულებაც.

ამიტომაც ბრალდებულის ჩვენების მნიშვნელობის შესანარჩუნებლად, გამომძიებლის მორალური ღირსების დაცვისათვის და ობიექტივობის თავის სიმალეზე დაყენების მიზნით, საერთოდ, უნდა ვალიაოთ ეჭვ-მიტანილის დაკითხვის დაუშვებლობა და ეკრძოდ მაშინაც, როცა მის წინააღმდეგ, ბრალდების წარდგენამდე არჩეულია აღმკვეთი ზომა.

ყოველ შემთხვევაში ეჭვ-მიტანილის დაკითხვა განმარტების უნდა წარმოადგედს და დასაშვებია, ჩვენის აზრით, ისეთი საკითხის გამო, რომელსაც მის გარდა სხვა ვერავინ ახსნის და ეს გარემოება მას არ აიძულებს აჩვენოს თავის წინააღმდეგ. ჩვენების ჩამორთმევის ნაცვლად უნდა მიღებული იყოს განმარტების ფორმა, რომელიც თავისუფალია ცრუ ჩვენებისათვის გასათრთხილებელ ხელწერილისაგან.

შესაძლებელია მიპასუხოთ, რომ ეჭვ-მიტანილის მიმართ აღმკვეთი ზომის მიღება, თავის თავად, ჰკულისხმობს მის ბრალდებულთან გათანასწორებას და აქედან აღმკვეთი ზომის მიღებამდე მის დაკითხვის ვალდებულებასაც, მაგრამ ასეთი შესიტყვება ვერ ჩითვლება საფუძვლიანად, რადგან კანონმდებელი 145 მ. 2 ნაწ. აღნიშნავს, რომ ასეთი ზომის მიღება არის საერთო წესის განმარტების და ამ შემთხვევაში ეჭვ-მიტანილს ბრალდება არ წარედგინება, რომლის შინაარსიანობა-ზემოთ უკვე ავსხენით.

შ. ზედგინიძე.

პრაქტიკოსის შენიშვნები*).

მფლობელობის აღდგენა

ეს საგანი შეადგენს ფრიად მტკივნეულ მხარეს ჩვენი „მიწის კოდექსისა“ და ღირსია, რომ მას კანონმდებლობის ყურადღება მიექცეს. ამ საკითხში საჭიროა მეტი გარკვეულობა იყოს შეტანილი. „მიწის კოდექსის“ 24 მუხლი მეტად ლაკონურად ამბობს მხოლოდ შემდეგს: „უკეთუ მიწის მოსარგებლის საადგილ-მამულო უფლება დარღვევულ იქმნა ან მისი მეურნეობის საქმეში ვინმე უკანონოდ ჩაერია, სათანადო საადგილ-მამულო სასამართლო კოლეჯია, მიწის მოსარგებლის თხოვნით, ვალდებულია ერთი თვის განმავლობაში დღიდან უფლების დარღვევისა, საქმის არსებითად განხილვამდე, ფაქტიურად აღადგინოს დარღვეული მიწის სარგებლობა“.

მოტანილი სიტყვებიდან ცხადია ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ „მფლობელობის აღდგენა“ ყოფილა მთლად და საფესობით საადგილ-მამულო კოლეჯიის ფუნქცია და ადგილობრივ ხელისუფლებას (აღმასკოების თავმჯდომარის, ან რაიონიციის უკუროსს) არ ძალუძს ჩაეროს „დარღვეულ მფლობელობის“ აღდგენის საქმეში. ეს დაწესებულებანი ასეც იქცევიან: დაზარალებულს „დარღვეულ მფლობელობისაგან“ გზავნიან სასამართლოში და თავის მხრივ არ ზრუნავენ, რომ მათ რაიონში მფლობელობის საკითხში ძალადობა არ იყოს დაშვებული.

ესლა პრაქტიკულად შევხედოთ საკითხს და განვიხილოთ „დარღვეულ მფლობელობის“ ბუნება. აგერ მევენახეს მეზობელმა ძალმომრეობით ჩამოუტყრა ნახევარი ვე-

ნახი და ისიც ისეთს დროს, როდესაც ყურძენი დასაკრეფია. რა ვურჩიოთ დაზარალებულს? მიმართოთ სასამართლო კოლეჯიას, რომელიც ერთს თვეში ვალდებულია ეს საკითხი მოაგვაროს? ამ ხანში ვენახში ძალმომრეობით შესული მოასწოროს ვენახის დაკრეფას, მოსავლის რეალიზაციას, და საექვოა. რომ დაზარალებულმა მერე თავისი ზარალი აინაწალოროს.

ეს ერთი მხარე საკითხისა. მეორე ის არის, რომ ნამდვილად ასეთი საქმეები კოლეჯიაში აწყვიდა 4 და 5 თვის განმავლობაში და ამოდ ელიეან „ჯერს“.

მესამეც ის, თუ სასამართლო რა საშუალებით და რა გზით უნდა დარწმუნდეს, ერთ სხდომაზედ, რომ „მფლობელობა დარღვეულია“? მოწმების დაკითხვით? მეორე მხარესაც, დამრღვევსაც, ხომ აქვს უფლება დაასახელოს მოწმები წინააღმდეგის დასამტკიცებლად? მაშასადამე, საქმე უნდა გადაიდოს მეორე მხრის მოწმების დასაკითხავად და ამრიგად საქმე ვერ გათავდება არა თუ ერთ თვეში, როგორც ეს ნაგარაუდღევი აქვს „მიწის კოდექსის“ 24 მუხლს, არამედ ვერც 4 და 5 თვეში.

ბუნება „დარღვეულ მფლობელობისა“-კი მოითხოვს სასწრაფო ზომების მიღებას. აი ჩვენ რატომ ვფიქრობთ, რომ განსაზღვრულ ვადაზე, მაგალითად, სამი დღის განმავლობაში, მფლობელობის აღდგენის უფლება უნდა ქონდეს მინიჭებული ადგილობრივ სადმინისტრაციო ორგანოს, რომელიც სწრაფად მივა ალაგობრივ, გამოირ-

*). დისკუსიის წესით.

კვეს, ვისი იყო ფაქტიური მფლობელობა და დაზარალებულს აღუდგენს მფლობელობას.

ეს სასწრაფო საქმეა, დახანებას ვერ ითმენა. რასაკვირველია, საადმინისტრაციო ორგანოს გადაწყვეტილება საბოლოო არ იქნება; რასაკვირველია, ამის შემდგომც მხარეებს აქვთ უფლება სასამართლოს მიმართონ.

აქ საგულისხმო მხოლოდ ის არის, რომ დაზარალებული მხარე დარღვეულ მფლობელობას სასწრაფოდ აღიდგენს. ხოლო თუ მფლობელობას დარღვევიდან სამ დღეზე მეტი ხანი გავიდა, მაშინ საადმინისტრაციო ორგანო აღარ ერევა საქმეში და მხარეთ სასამართლო კოლეგიაში მიაგვლინებს.

ასეთი იყო პრაქტიკა უწინაც, ცარიზმის დროს. არსებობდა ცირკულარული განკარგულება, რომლის ძალითაც საადმინისტრაციო დაწესებულებას ევალებოდა 24 საათის განმავლობაში აღედგინა ყოველგვარი დარღვეული უფლება. სასამართლო მძიმე აპარატია და მფლობელობა აღდგენა კი, მოითხოვს სასწრაფო ზომებს. 24 საათის ვადის მაკვირად ჩვენ ვფიქრობთ სამი დღის ვადის დაწესებას. ეს გამოწვეულია იმ მოსაზრებით, რომ გლეხს მიეცეს ცოტა უფრო ხანგრძლივი ვადა უფლების აღდგენისა. 24 საათი ფერად მცირე დროა, რომ დაზარალებულმა გლეხმა მოაწესრიგოს თავისი საქმე.

მიხეილ ნახიძე.

სასამართლოს აღმასრულებელი.

სასამართლოს აღმასრულებლის თანამდებობა არსებობდა ძველად, არსებობს ელაც. როლი სასამართლოს აღმასრულებლისა ყველასათვის ცხადია: მის მოვალეობას შეადგენს სასამართლოს მიერ გაცემული აღმასრულებელი ფურცლის შესრულება, ე. ი. ამა თუ იმ მოქალაქისათვის იმ თანხის გადახდევინება, რაც აღმასრულებელ ფურცელშია ნაჩვენები. ძნელია სასამართლოსთვის ამა თუ იმ საქმეზე გადაწყვეტილების დადგენა, მაგრამ არა ნაკლებ ძნელია გადაწყვეტილების შესრულება სამოქალაქო საქმეებზე. მაშინ როდესაც სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენის შესრულება თვით სასამართლოს საქმეა და არ შეადგენს სიძნელეს, სულ სხვაა სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების შესრულება. სასამართლოს აღმასრულებელი კარგად უნდა იცნობდეს საბჭოთა სამოქალაქო სამართალს, მან უნდა იცოდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საკითხისათვის კომუნისტური მიდგომა. გარდა ამისა, ყოველ თავის მოქმედებაში ანგარიშს უწყვედეს იმ სასამართლოს, რომელმაც აღმასრულებელი ფურცელი გასცა. მე არ ვეხები სხვა მაზრას, სახეში მაქვს მხოლოდ ზუგდიდის მაზრა, სადაც მე ორ თვეზე ნაკლებია ვმუშაობ სასამართლოს დარგში. ამ ცოტა ხნის მუშაობამ მე მიიყვანა დასკვნამდე, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების ასრულების საქმე მაზრაში არ დგას თავის სიმაღლეზე, რასაც სათანადო ყურადღება არა აქვს მიქცეული.

1927 წ. ოქტომბრის 1-დღე ზუგდიდის მაზრაში იყო 4 უბნის სახალხო სასამართლო; თითოეულ უბანში ყოველ წლიურად ირჩევა არა ნაკლებ 800-1000 სამოქალაქო საქმისა. ერთი უბანი გაუქმდა, მაგრამ საქმეების რაოდენობა არ შემცირებულა; 6 ნოემბრიდან დამატა მაზრის სასამართლო და აი ამ ვეებერთელა მაზრას, ვეებერთელა საქმეებით ცნობილს, ჰყავს სულ ორი სასამართლოს აღმასრულებელი, რაც ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ამავე დროს როგორც ვაგიგე, მაზრაში არსებულ ყოველ საკრედიტო ამხანაგობას ყავს თავისი აღმასრულებელი, რომელიც ღებულობს თვეში 50 მანეთს. ასეთი საკრედიტო ამხანაგობა მაზრაში არსებობს, მგონია 10 დე. სასამართლოს აღმასრულებელი მაზრაში სულ ორია. მათი ხელფასი უდრის 41 მან. თვეში. სასამართლოს აღმასრულებელს ასე თუ ისე უბნის მოსამართლე და ცენ

ტრიდან ჩამოსული რევიზორი ზედამხედველობენ საკრედიტო ხაზია, ვინ ზედამხედველობს საკრედიტო ამხანაგობების აღმასრულებლებს. ამ შემთხვევაში პასუხის ვაცემა მიძინელებდა და თუ ვინმე მეტყვის, საკრედიტო ამხანაგობის გამგებობას, ვუპასუხებ, რომ ეს ყოვლად დაუშვებელია და მიუღებელი, ვინაიდან არა მხოლოდ გამგებობა, რომელიც ვფიქრობ, არ არის გაცნობილი სამოქალაქო მატერიალურ და საპროცესო კოდექსებთან, სახალხო მოსამართლესაც კი უძნელდება ხელმძღვანელობის გაწევა. მაზრაში ორი სასამართლოს აღმასრულებლის არსებობა და მათ გვერდით რამოდენიმე საკრედიტო ამხანაგობის აღმასრულებლების არსებობა მე მიმაჩნია მიზანშეუწონილად. რომ სასამართლოს აღმასრულებლების მუშაობა სათანადო იქნეს დაყენებული, საჭიროა თვითუღ ჯიხის სახალხო სასამართლოსთან იქნეს დაარსებული აღმასრულებლის თანამდებობა, ე. ი. ზუგდიდის მაზრას მოემატოს ორი აღმასრულებელი. ასეთს პირობებში სასამართლოს აღმასრულებელი შესძლებს აწარმოოს როგორც კერძო პირების, აგრეთვე საკრედიტო ამხანაგობების საქმეები. თუ აღვილობრივი აღმასკომი ვერ იქისრებს ორი აღმასრულებლის ჯამაგირის ვალებას, რა უშვავს, რომ თვითუღმა საკრედიტო ამხანაგობამ 50 მან. ნაცვლად ვაილოს 15-20 მან. თვეში. ამით მე მკონია განაჩენის შესრულება მოყვანაც უფრო წისიერად და კანონიერად იწარმოებს და საკრედიტო ამხანაგობებიც განთავისუფლებიან ზედმეტი ხარჯის ვალებსაგან, ეს კი იქნება ორი ამოცანის ვადაჭრა: რევილიუციური კანონიერების ერთის მხრით სწორად ვატარება და მეორეს მხრით ეკონომიის რეჟიმის დაცვა. მე ვფიქრობ, მარტო ზუგდიდის მაზრა არ წარმოადგენს ამ მხრივ ვამონაკლისს, ასეთ მდგომარეობას ექნება ადგილი სხვაგანაც და იმეღია სასამართლოს დარგის მუშაკნი ვამოსთქვამენ თავის აზრს ამ საკითხის შესახებ.

ზუგდიდის მაზრის სახალხო მოსამართლე ერ. როდონია.

მცირე საქმეებისა და საადგილ-მამულო კოლეგიის შესახებ.

I.
როგორც სახ. მოსამართლეს, ხშირად შემომჩივის ქარელის გლეხობა, როდესაც სოფლად ვავდივარ: რა ვქნათ, 10, 15, 20 და 25 ვერსტზე ვერ წამოვედით ხუთი და ათი მანეთს საქმისათვის სასამართლოში, რატომ არ შეიძლება აღმასკომის თანამდგომარეებს მიეცეს უფლება 15—20 მანეთამდე მცირე საქმეები ვაარჩიონო? ჩვენც ვეშველება და ვვსცდებით ასეთ შორს სიარულს და წვალებას. თუკი წინახედვის შესახებ არჩევენ აღმასკომები საქმეებს, რატომ არ შეიძლება სამოქალაქო, შრომის და სხვა ყოველნაირი საქმეების განხილვის უფლებაც ჰქონდეთო.
მეც შემიძლია ეს ვარემოება დავადასტურო ჩემი ვამოცდილებით. 1927 წლის დეკემბრის 6-ს წავედი სესიაში სოფ. შინდისში (თემია), წავილე ყოველნაირი ხასიათის საქმე 70 ცალი. დავიწყე თუ არა საქმეების ვარჩევა და ვაიგვს თუ არა გლეხებმა სასამართლოს სოფლად მისვლა, როგორც სეტყვა დავგვარეს სხვა და სხვა წვრილმანი ხასიათის საქმეები—2 მანეთიდან 20 მანეთამდე, შრომის თუ სამოქალაქო და სხვა. დავრჩით სესიაში 10, დღემდე, შემოვიდა ამ ხნის ვანმავლობაში 120-მდე საქმე, ვავარჩიეთ 60 ახალი საქმე და 70 ძველი, სულ 130 საქმე. ამნაირად ათ დღეში ვავარჩიეთ ერთი თვის ნორმა. გლეხები სულ იმას მეუბნებოდენ: რა ვქნათ, შენი კირიმე, 5—10 მანეთისთვის სად უნდა მოვიდეთ 15—20 ვერსის სიშორეზეო; რაკი მობრძანდეთ და ახლო ვვაქვს სასამართლო, მტომ მოვიტანეთ ასეთი წვრილმანი ხასია-

თის განცხადებებში, თორემ ჩვენ ქარელში ვერ მოვიდოდით ასეთ თოვლსა და ქარბუქში.

ჩემი დაკვირვებით, ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ყოველნაირი ხასიათის ქონებრივი და სხვა საქმეები 20 მანეთამდე დაექვემდებაროს აღმასკომის თავმჯდომარეებს, რომლებიც იმოქმედებენ განსაზღვრული მარტივი ინსტრუქციით. ეს მისცემს გლეხობას დიდ შველას.

ჩემ სასამართლოს რაიონში შედის ხუთი თემი, ხუთივე თემში არის 80 სოფლამდე, მოსახლეობა იქნება დაახლოებით 40 ათასამდე. აღმასკომების თავმჯდომარეები ხშირად მომმართველ საყვედურით: რა არის, კაცო, გლეხობაში ავტორიტეტი გვიფუჭდება: მოდის გლეხი, გეთხოვს, ამა თუ იმ პირს, მის მოვალეს, 2, 3, 5 მანეთი ფული, მეტი ან ნაკლები, გადავხდევინოთო, და როცა ვუბაძუხებთ, რომ უფლება არა გვაქვს, გლეხს ეს არ ესმის; აღმასკომები გლეხის ამდენ საქმეებს აკეთებთ, თუ სასოფლო-სამეურნეო გადასახადებს სწერთ და სხვა მრავალ მნიშვნელოვან საქმეებს ასრულებთ, რა არის ასეთი მნიშვნელოვანი-სამი მანეთი, თუ კი მართებს, გადახდევინოთ მოპასუხებებსო.

ძალიან მიზან შეწონილი იქნება აღმასკომებს გადაეცეს ოც მანეთამდე ყოველ ხასიათის საქმეები. თუკი წინახედს გაარჩევს ხუთმეტ მანეთამდის, დამეთანხმეთ, რომ შეიძლება ყოველნაირი ასეთი წვრილმანი საქმეებიც გადაეცეს, რაც ძალამოსავით უშველის გლეხობის ამ გარეგნულად პატარას, მაგრამ გლეხისთვის დიდ ტკივილს. თანაც ეს დატვირთულ სასამართლოებს განტვირთავს და შესაძლებელი გახდება წესიერი მუშაობა. (ჩემი სასამართლო უკვე გავტვირთე).

II.

საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიის ცალკე სახელის დარქმევით და ცალკე წარმოებით მიწის სარგებლობის ნიადაგზე წარმოშობილი დავები მოგვარებულად ვერ ჩაითვლება. ჩვენ ვფიქრობთ რომ როგორც ქალაქებში მიწის საქმეს არჩევს სახალხო სასამართლო, ისე შეიძლება პროვინციაშიც სახალხო სასამართლოს გაერჩია საადგილ-მამულო საქმეები და აი რატომ. კოლეგიაში თავმჯდომარეობს სახალხო მოსამართლე, რაც შეეხება წევრებს, იმათ აღმასკომები გვიგზავნიან ჩვეულებრივ გლეხებს, რომელთაც ჩვეულებრივი გლეხის ცოდნა აქვს მიწის საკითხებში და არაფრით არ განსხვავდება ჩვეულებრივი სახალხო მსაჯულისაგან. ამიტომ, პრაქტიკის მიხედვით, არავითარი აზრი არ აქვს საადგილ-მამულო საქმეების ცალკე წარმოებას. ჩემის აზრით, ძალიან კარგი იქნება, რომ სწორედ სახალხო სასამართლომ ჩვეულებრივად გაარჩიოს ეს საქმეებიც, როგორც წინეთ იყო.

ქარელის უბ. სახ. მოსამ. ო. კაციტაძე.

ცოტა რამ მსაჯულების შესახებ.

სახალხო სასამართლოები თავისი წყობით, სტრუქტურით და შედგენის წესით უაღრესად ხალხოსნურია. წინანდელ დროში ერთი მოსამართლე არჩევდა ქვეყნის საქმეს და მთელი საქმი ბედ იღბალი თარჯიმანის ხელში იყო, მისი მოქართამა და მოაყიდვა ადვილი იყო, სამაგიეროდ ეს ეხლა შეუძლებელია. სახალხო სასამართლოების უპირატესობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ იქ სდომია სამი პირის მონაწილეობით მიმდინარეობს და მამასადამე, შეჯდომის დაშვება. ან განზრახ საქმის არა სწორად დაყენება ნაკლებად შესაძლებელია მასთან სახალხო სასამართლოებში ლებულობს მონაწილეობას ფართო ნაწილი მასისა სახალხო მსაჯულების სახით.

სასამართლოს წყობილების მე 15 მუხლი ამბობს: „სახალხო მსაჯულად შეიძლება იყოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყველა მშრომელი მოქალაქე, ორივე

სქესისა, რომელსაც უფლება აქვს აირჩიოს ადგილობრივი საბჭოს წევრი და თითონაც არჩეულ იქნას ამ საბჭოს წევრად“.

მამასადამე, ამ მუხლის თანახმად სახ. მსაჯულად შეიძლება იყოს მუშა, გლეხი და მოსამსახურე. ე. ი. ყველა ის, ვინც თავისი საკუთარი შრომით ირჩენს თავს და არ ეწევა სხვის ექსპლოატაციას.

ძველდ რეჟიმის დროს საჭირო იყო დიდი ქონებრივი ცენზი მოსამართლის არჩევისათვის. თუ მოსამართლობა წინედ შეეძლო ცენზიან და ქონებაან პირებს, სამაგიეროდ დღეს სახ. სასამართლო მშრომელ ხალხის ხელშია და ხალხზედ არის დამოკიდებული მისი კეთილდღეობა.

მე-16 მუხ. იმავე „სს. წყ. დებ.“ ამბობს: „არ შეიძლება სახ. მსაჯულად იყოს ის, ვინც სასამართლოს განაჩენით სახელმებოლულია ან საზოგადოებრივი და პროფესიონალური ორგანიზაციის დადგენილებით დათხოვნილია ამ ორგანიზაციიდან გამაწვბილებელი საქციელისათვის და ყოფაქცევისთვის“.

ეს მუხლი სრულ გარანტიას ანიჭებს საზოგადოებას იმისას, რომ სახელ გატეხილ პირებს არ შეეძლოთ შესვლა სასამართლოს შემადგენილობაში. ამ მუხლის ზედმიწევნით და სისუფრით შესულება ჩვენ მოგვცემს საშუალებას ვიყოლიოთ კარგი და სანდო მსაჯულეი.

თუ ამ მუხლს არ მიექცა განსაკუთრებული ყურადღება და ის არ იქნა სისუფრით შესრულებული, ჩვენ სახალხო მსაჯულებად მოსამართლის გვერდით წამოსკუპლებიან არაკეთილსინდისიერი პირები რომლებიც სასამართლოს პრესტიჟს დასცემენ. ჩემს პირად პრაქტიკაში იყო შემთხვევა, რომ ის პირი, რომელსაც ბრალი ედებოდა რონოდების ბუფერების ქურდობაში წამოსკუპებულ იყო სახ. მსაჯულად. რა თქმა უნდა ქურდი თუ მსაჯულად დავესვით, ის ყველა ქურდებს დიდ შელავათს მისცემს, მაგრამ აქ სასამართლოს პრესტიჟი ეცემა როცა ხალხი ხედავს, რომ მოსამართლებად მას ქურდები დაუსვებს. გამაწვბილებელ ყოფა-ქცევად ჩაითვლება აგრეთვე ლოთობა, ჩხუბი, ლანძღვა გინება, ძარცვა-გლეჯა, მექრთამეობა, და სხვა დანაშაული გათვალისწინებული ჩვენი ს. ს. კოდექსით.

ჩვენ ვიცით, რომ სახ. სასამართლოები უმთავრესად ქალაქისებურად დასახლებული რაიონის ცენტრშია, სადაც ძალიან მოიქებნება მასწავლებლობა, ექიმები, მათი თანამშემწენი, აგრონომები, პროფესიონალური კავშირის წევრები, ფოსტა-ტელეგრაფის, თამშრომლები აფთიაქის და სხვა. თვით ეს ხალხი კი გამოსული არიან მშრომელთა წრიდან და აი სწორედ სახ. მსაჯულად უნდა ავირჩიოთ ასეთი პირები, ამრიგად სულ უმტკივნელოდ შეგვიძლია შევქმნათ საუკეთესო კადრი სახ. მორიგ მსაჯულთა.

უნდა აღანიშნოს ზოგერთი ნაკლი. შორიდან გამოიწვევნი მსაჯულები ან სრულებით ვერ ესწრებიან სდომებს და-საქმე საესებით იღება, ან თუ ესწრებიან მორიან სასამართლოში ძალიან დაგვიანებით და საქმეების განახილვა ფერხდება. მრავალჯერ ყოფილა შემთხვევა, რომ მათი გამოუცხადებლობით საქმეები გადადებულია, რომ მორიგი მსაჯულბის მოსაძებნათ დარაჯები და შიკრიკები გაუგზავნიათ ქუჩაში, ოლონდაც სდომაკი შესდგეს, ოლონდაც საქმე არ გადაიდოს და ვინც გინდა „ჩაუჯინე“ მოსამართლეს გვერდით. იშვიათი შემთხვევაა, როცა კანონით განსაზღვრული რიცხვი მორიგ მსაჯულთა ცხადდებოდეს.

ამიტომ საჭიროა სახ. მსაჯულებმა მეტი აქტივობა გამოიჩინონ და პასუხისმგებლობის გრძნობით გაიმსკვალონ. ყველა ამისათვის კი—სახ. მსაჯულების მართო არჩევა არ კმარა. საჭიროა მათი მომზადება.

იმისათვის, რომ შეიქნას გამოცდილი კადრი მომზადებულ სახ. მსაჯულთა საჭიროა შეიძლებისა და გვარად

არჩეული სახ. მსაჯულები იკრიბებოდნენ ერთად საჭიროა, რომ მათ მცოდნე პირები უკითხავდნენ მოხსენებებს და ლექციებს სამართლის სხვა და სხვა დარგიდან, რომ მათ გაკვირთ მინც გავაცნოთ შინაარსი ჩვენი მატერიალური და პროცესუალური კოდექსებისა, მიესცეთ მათ მათთვის საინტერესო კითხვებზე ასანა განმარტება და მასთან, რაც უშთავრესია, აუხსნათ მათ სახ. მსაჯულთა როლი სახ. სასამართლოებში და მათი უფლება—მოვალეობანი.

ბ. ფ.

ქ რ ო ნ ი კ ა.

საქართველოს ცაკის მორიგი მესამე სესია

მოწვეულია ა. -წ. 23 იანვარს ქ. ბათომში.

დამტკიცებულია სესიის შემდეგი დღის წესრიგი:

- 1) მოხსენება აჭარისტანის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის მთავრობის მოღვაწეობის შესახებ.
- 2) პროექტი დებულებისა ს. ს. რ. ქალაქის საბჭოების შესახებ.
- 3) პროექტი ს. ს. ს. რ. მიწის კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ.
- 4) პროექტი კოდექსისა ოჯახის, ქორწინების და მზრუნველობის შესახებ.
- 5) პროექტი ს. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ.
- 6) საქართველოს ცაკის სესიათა შორის მიღებული საკანონმდებლო აქტების დამტკიცება.

თემა ზმასკომებზე მცირე საქმეების გადაცემა.

იუსტიციის სახ. კომისარიატში დამუშავებულია კანონპროექტი შემდეგ საქმეების გადაცემის შესახებ ცალკე კომისიებზე, რომლებიც დაარსებულ იქნებიან სათემო აღმასკომებთან:

- ა) სისხლის სამართლის კოდექსის 102 მუხლის მ-2 ნაწილში და 202¹ მუხლში აღნიშნული დადგენილებათა დარღვევის შესახებ;
- ბ) წანახელით და ტყის წესების დარღვევით მიყენებული 15 მამეთზე არა უმეტესი ზარალის შესახებ და
- გ) საერთოდ ყველა სამოქალაქო სარჩელი 15 მანეთამდე, გარდა სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარ-

მოს მიერ აღძრული ან მათ წინააღმდეგ მიმართულ სარჩელისა, და სარჩელისა შენობაზე, საკუთრებას, საკუთრებას ალნაგობის უფლების, სარჩოსი (ალიმენტები) და სამუშაო ხელფასის შესახებ.

მიწის კოდექსის შესახებ.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატში მთავრობის მუშაობა მიწის კოდექსის ცალკე მუხლებში ცვლილებების შესატანად, რომელთაც აქვთ არსებითი მნიშვნელობა. ეს მუშაობა ტარდება იუსტიციის სახ. კომისარიატის წარმომადგენლის მონაწილეობით.

ცვლილებები სასამართლოს წყობილების დებულებაში იუსტიციის სახ. კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილებაში მუშავდება პროექტი ცვლილებების რომლებიც უნდა იქნეს შეტანილი სასამართლოს წყობილების დებულებაში.

ა მ ხ. ი. ვ ა რ ძ ი ა ლ ი ს მოხსენება

სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო იურიდიულ წრეში.

სახ. უნივერსიტეტის იურიდიული წრის მორიგე საჯარო სხდომაზე 6 იანვარს მოხსენება გააკეთა ა მ ხ. ი. ვ ა რ ძ ი ე ლ მ ა ქორწინებისა და საოჯახო კანონპროექტის შესახებ, სადაც მომხსენებელმა გაარჩია ოჯახი სოციალური და ეკონომიური თვალსაზრისით და ანალიზი გაუკეთა ოჯახის ცნების ბურჟუაზიულ და მარქსისტულ გაგებას შემდეგი დეტალურად შეეხო კანონპროექტის მნიშვნელოვან მუხლებს. მოხსენების შემდეგ მომხსენებელს მისცეს მრავალწერლობითი შეკითხვები, რომლის შემდეგაც გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს გრ. რცხილაძემ ს მრევლიშვილმა და იურიდიული წრის წევრმა სტუდენტებმა. მომხსენებელმა თავის საბოლოო სიტყვაში უპასუხა ყველა შეკითხვებზე და ამომწურავი პასუხი გასცა კამათში მონაწილეთ.

მოხსენება ჩატარდა დიდი ხალისით და ინტერესით. მოხსენების დაწვრილებით ანგარიშს მოვათავსებთ შემდეგ ნორმერში.

შეცდომის გასწორება

რედაქციისაგან. ჩვენი ჟურნალის პირველ ნომერში ა მ ხ. ი. როინაშვილის წერილში (გვ. 2 აბზაცი 6) შეცდომით არის აღნიშნული: „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44 მუხლი“ უნდა იყოს: „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 4¹ მუხლი.“

კანონმდებლობის მიმოხილვა

1927 წ. დეკემბრის 16-დან 1928 წ. იანვრის 7-დე.

საქართველოს სსრ კანონმდებლობა

საბჭოთა არჩევნები.

საბჭოების არჩევნების და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ 1928 წელს. (სრ. საქ. ც. ა კ-ის 1927 წ. დეკემბრის 17 დადგ. № 104 „კომუნისტი“ დიკ. 18 № 287). დადგენილება გამოცემულია საქართველოს სსრ კონსტიტუციის 65 მუხ. თანახმად. არჩევნები უნდა მოხდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მოსამზადებელ მუშაობას სათანადო ორგანოები უნდა შეუდგნენ 1927 წ. დეკემბრის 20-დან, ხოლო სასოფლო. თემის და ქალაქის საბჭოების არჩევნები უნდა მოხდეს 1928 წ. მარტის 1-დან აპრილის 1-დე. აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის საბჭოების ყრილობები და საბჭოთა სამხრო ყრილობები მოწვეულ უნდა იქნენ 1928 წ. აპრილის 1-დან 15-დე. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა მოწვეულ იქნება 1928 წ. აპრილის მეორე ნახევარში.

ინსტრუქცია მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოთა არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ. (დამტკიცებულია სრ. საქ.

ც. ა. კ-ის 1927 წ. დეკემბრის 16 დადგ. № 108—„კომუნისტი“ დ. 29 № 296). ინსტრუქცია გამოცემულია 1926 წ. დეკემბრის 28 და დამტკიცებული ინსტრუქციის ნაცვლად. შესდგება 7 თავისაგან: თავი 1 მოქალაქეთა საარჩევნო უფლება, თავი 2—საარჩევნო კომისიის თავი 3—ამომრჩეველთა და საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირების შედგენა, თავი 4—საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა საჩივრების განხილვა, თავი 5—საარჩევნო კრებები, თავი 6—არჩევნების გაუქმების წესი, თავი 7—საბჭოების და საბჭოთა ყრილობების მოწვევა. ინსტრუქციაში სულ 85 მუხლია და სიდიდის გამო მცოტად თუ ბევრად გარკვევით გადმოცემა მოკლე წერილში შეუძლებელია.

სახელმწიფო საგვამო კომისია.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგვამო კომისიის დებულებათვის 17¹ და 17 მუხლის დამატებას შესახებ. (საქ. ს. კ. ს-ის 1927 წ. სექტემბრის 2 დადგ. 1927 წ. კან. კრ. № 9, მუხ. 135). სახელმწიფო საგვამო კომისიის არსებობს გეოდეზიური კომისია, რომლის მიზანს შეადგენს, საქართველოს სახელმწიფო ამშენებლობის მეთოდნილების განვითარება.

თან დაკავშირებით, გამოარკვიოს ასტრონომიულ—გეოდეზიურ, ტოპოგრაფიულ და კარტოგრაფიულ სამუშაოთა წარმოების ფარგლებში და თანამიმდევრობა.

ბჟიღისის საზოგადოება.

დებულება ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობისა და მისი ორგანოების შესახებ. (სრ. საქ. ც. ა. კ-ის 1927 წ. ოქტომბრის 25 დადგ. № 88—კან. კრ. 1927 წ. № 10, მუხ. 143). დებულებების 25 ორი კარია: I-ლი—ტფილისის მაზრა—ქალაქის საბჭოების ყრილობა, ხოლო მე-II—ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის მე-II კარი დაყოფილია თავებში: თავი I—ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის ორგანიზაცია და გამგებლობის საგნები, თავი II—ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი და თავი III—აღმასრულებელი კომიტეტის წევრის უფლება—მოვალეობანი.

მილიცია.

დებულება მილიციის უფროსთა შედგენილობის სკოლის შესახებ. (საქ. ს. კ. ს-ის 1927 წ. ოქტომბრის 21 დადგ. კან. კრ. 1927 წ. № 10, მუხ. 150). მილიციის უფროსთა შედგენილობის სკოლის მიზანია მილიციის მომუშავეთა მომზადება როგორც სპეციალურ, ისე საერთო განათლების მხრით, სამაზრო და სარაიონო უფროსთა და მათ თანაშემწეთა, მარჯაფი მილიციის უფროსთა და სისხლის სამართლის მილიციის მომუშავეთა თანამდებობისათვის. სკოლა არსდება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან და მისივე გამგებლობაში არის. სკოლის სასწავლო კურსი ორწლიანია.

სკოლაში მიიღებიან მილიციის და სისხლის სამართლის მადიებელი მილიციის მომუშავენი, რომელთაც უნდა ჰქონდეთ სამსახურის სტაჟი არა ნაკლებ $\frac{1}{2}$ წლისა, ნამსახურობის კარგი ატესტაცია, სათანადო ჯანმრთელობა და წლოვანება და ცოდნა განსაკუთრებული პროგრამის ფარგალში. სკოლას შეავსებს შინსახკომის სამაზრო მილიციის სამმართველოებისა და ადმ. განყოფილებებისათვის დაგზავნილი განაწილების მიხედვით. გარეშე პირი მიიღება, თუ მაზრების კანდიდატები არ ეყოლებათ. სკოლაში მივლინებულმა პირმა უნდა გაიაროს საექიმო, სამანდატო და გამოცდები კომისიები. სასწავლო გეგმით სკოლა იყოფა 2 კურსად: უმცროსი და უფროსი კურსები. უმცროსების მიერ სწავლების კურსის წარმატებით ვაკლა შემოწმდება სისტემატიურად კურსის განმავლობაში, ნახევარ წლივით და კურსის ბოლოს. უფროსი კურსის კურსანტს, რომელიც გამოცდებს დამაკმაყოფილებლად ჩააბარებს და სხვ., მიეცემა მოწმობა და სათანადო ატესტაცია საშუალო უფროსთა შემადგენლობის თანამდებობისათვის, ხოლო ვისაც არ ექნება დამაკმაყოფილებელი ცოდნა საგნების რომელიმე ციკლში, მიეცემა ატესტაცია მილიციის უფროსთა შემადგენლობის უმცროსი თანამდებობისათვის და მოწმობა კურსის გალის შესახებ; ექვსი თვის შემდეგ იგი შეიძლება გამოვიდოდ იქნეს, ადგილობრივ გამოამცდელი კომისიის მიერ სამსახურში წინ წასაწევად. კურსდამთავრებული პირი ან კურსის დამთავრებამდე სკოლიდან გასული, თუ არ დაუთხოვნიან ასეთი ავადმყოფობის გამო, რაც ხელს უშლის მილიციის სამსახურის ასრულებას, ვალდებულია იმსახუროს მილიციის ან სისხლის სამართლის მადიებელი მილიციის ორგანოებში სკოლაში გატარებული ყოველი ერთი თვისათვის ორი თვე.

სავალდებულო დადგენილება.

დებულება ჯანმრთელობის სახალხო კოისარიატის მიერ კურორტების სამთო-სასანიტარო დაცვის ოლქში გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრაციული გადასახდელის დადების შესახებ. (სრ. საქ. ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ის 1927 წ. სექტემბრის 5 დადგ. № 81—კან. კრ. 1927 წ. № 9, მუხ. 129). დებულება გამოცემულია წინადასრულებული დებულების (კან. კრ. 1924 წ. № 2, მუხ. 1) ნაცვლად. სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაწნაშვეს დადდება ერთ-ერთი შემდეგი გადასახდელი: ფულადი ჯარიმა 100 მანეთამდე, იძულებითი მუშაობა ან დატუსაღება ერთ თვემდე. გამანეთამდე, იძულებითი მუშაობა ან დატუსაღება ერთ თვემდე. გადასახდელს გადასწევს კურორტის დირექტორი. თუ დამნაშავე სამხედრო მსახურია, ოქმი გაუგზავნება ჯარის უფროსს, რომელმაც უნდა მიიღოს სადისციპლინო ოქმისიძება. დადგე ილებებისგანმოტანა გადასახდელის დადების შესახებ შეიძლება მხოლოდ სამი თვის განმავლობაში დღიდან სავალდებულო დადგენილების დარღვევისა, ხოლო მისი ასრულება—ერთი წლის განმავლობაში დღიდან კანონიერ ძალაში შესვლისა. დადგენილება სისრულეში მოჰყავს მილიციის

იმ პირს, ვისაც გადასახდელი დაედო, შეუძლიან შევიდოს დღის განმავლობაში დღიდან მისთვის გადასახდელის დადების შესახებ დადგენილების გამოცხადებისა, სთხოვოს კურორტის დირექტორს დადგენილების გადასწიჯვა ან განასაჩივროს ეს დადგენილება ჯანსაზ-კომში. ამ თხოვნის ან საჩივრის შეტანით დადგენილების ასრულება შეჩერდება.

სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დადებულ ფულადი ჯარიმა ჩაირიცხება კურორტის სასანიტარო-საპოციენო ფონდში; იძულებითი მუშაობა გამოყენებულ უნდს იქნეს კურორტის სანიტარულად კეთილმოწყობისათვის.

ხელოვნება.

სათეატრო-სახეატრადო რეპერტუარის განხილვისა და დამტკიცებისა და მისი აღსრულებისათვის მეთვალ-ყურების გაწევის შესახებ. (საქ. ს. კ. ს-ის 1927 წ. დეკემბრის 26 დადგ.—„კომუნისტი“ დეკ. 31 № 298). განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო და სამხატვრო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოსთან დაარსებული საარტეპერტუარო-სამხატვრო საბჭო. ყველა სამხატვრო, სასცენო, სამუსიკო და სახეატრადო ნაწარმოებს განიხილავს ლიტერატურისა და გამოცემლობის მთავარი სამმართველო (მთავლიტი), რომელიც ნებას ართავს ამ ნაწარმოებთა დაბეჭდვას და სცენაზე დადგმას და აგრეთვე თვალყურს ადევნებს, რათა მის მიერ ნებადართული პიესები და სხვა, სცენაზე დასადგმელი ნაწარმოები ასრულებულ იქნეს დადასტურებული ტექსტის მიხედვით უცვლელად.

მთავლიტს უფლება აქვს აკრძალოს დასადგმელად და მოხსნას რეპერტუარიდან ის პიესა, რის დაბეჭდვისა და დადგმისათვის არ იყო გამოთხოვილი მისი ნებადართვა. იგივე შეადგენს და გამოაქვეყნებს დასადგმელად ნებადართულ და აკრძალულ პიესებს, სასცენო, სახეატრადო, სალიტერატურო და მუსიკალურ ნაწარმოებთა სიას.

სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭო განიხილავს მთავლიტის მიერ გამოსაქვეყნებლად ან დასადგმელად ნებადართულ ყველა პიესას, სალიტერატურო, სამუსიკო და სახეატრადო ნაწარმოებს და აგრეთვე ნებადართავს გასცემს ამ პიესისა და ნაწარმოების საჯარო ასრულებისათვის. მას უფლება აქვს მოხსნას რეპერტუარიდან ესა თუ თუ ის პიესა, სახეატრადო ან მუსიკალური ნაწარმოები და აუკრძალოს ამა თუ იმ თეატრს თვის მიერვე ნებადართული პიესის დადგმა.

სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭოს ეკისრება მთავლიტის მიერ ნებადართული პიესებისაგან რეპერტუარის შემუშავება. სათეატრო და სხვა სათანადო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციას ევალება ერთი თვის განმავლობაში დღიდან დადგენილების გამოქვეყნებისა წარუდგინოს დასამტკიცებლად სამხატვრო-სარეპერტუარო საბჭოს თავისი რეპერტუარი, მთავლიტის მიერ ნებადართული პირებისაგან შედგენილი. ამ რეპერტუარის წარუდგენლობა და აგრეთვე აკრძალული ან რეპერტუარიდან მოხსნილი პიესის დადგმა იდევნება სისხ. სამ. კოდ. 230 მუხლისამებრ.

სამოქალაქო სამართალი.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 90 მუხლისათვის-3 შენიშვნის დამატებისა და ამავე კოდექსის 285 მუხ. რედაქციის შეცვლის შესახებ. (სრ. საქ. ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ის 1927 წ. ნოემბრის 30 დადგ. № 102—„კომუნისტი“ 1928 წ. იანვრის 4 № 3). სახელმწიფოს შეკვეთით ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების ხელშეკრულების შესრულების საწინდრი უზრუნველყოფის წესი განისაზღვრება სახელმწიფო შეკვეთით ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების დებულებით. ნარდად მუშაობის, როდესაც შემკვეთი სახელმწიფო ორგანოა, შეეფარდება იგივე დებულებათა. ეს დებულება გამოქვეყნებულია სსრ კავშირის კან.კრ. 1927 წ. № 28, მუხ. 292.

სოფლის მეურნეობა.

წმინდა ხარისხის სათესლე მასალის ფახების დაკლებისათვის ღონისძიებათა მიღების შესახებ. (საქ. ს. კ. ს-ის 1927 წ. დეკემბრის 28 დადგ.—„კომუნისტი“ 1928 წ. იანვრის 1 № 1). დადგენილება გამოცემულია თანახმად სსრ კავშირის ს. კ. ს-ის 1927 წ. აგვისტოს 31 დადგენილებსა „წმინდა ხარისხის სათესლე მასალის მწარმოებელ საბჭოთა მეურნეობისათვის 1927—28 წლ. ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადის სფეროში შეღავათების დაწესების შესახებ“. წინადადება ეძლევათ წმინდა ხარისხის თესლეულის მწარმოებელ საბჭოთა მეურნეობებს, რომელნიც განთავისუფლებულ არიან ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, შეამცირონ გლეხობაზე გასაცემი წმინდა ხარისხის სათესლე მასალის ფახები. ამ ფახების შემცირებისათვის ზემოაღნიშნულმა მეურნეობებმა შეეღებებოთ უნდა მიიღონ იმ სათესლე მასალის რაოდენობა, რაც 1927—28 წლ. გეგმით განზრახულია გლეხობაზე გასაცემად, და ის საერთო თანხა, რაც შესდგება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მოხსნით. მიწსახკომმა, შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულთან შეთანხმებით, უნდა გამოსცეს ინსტრუქცია ფახების გამოანგარიშებისათვის.

მ. ზ.

(გაგრძელება იქნება)

შინაარსი: იუსტსახკომის ცირკულარი № 1. — იუსტსახკომის განმარტება. — იუსტსახკომის მდებლო განყოფილების განმარტებანი. — უზენაეს სასამართლოს პლენუმის განმარტებანი.

იუსტიციის სახ. კომისარიატის ცირკულარი ცირკულარი № 1.

ვეელა სამაზრო და სახალხო სასამართლოებს.

ასლი: პროკურორებს, უზენაეს სასამართლოს და აქარის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატებს.

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის 1927 წ. იანვრის 31-ის დადგენილებით დადასტურდა ა.კ. ს. ფ. ს. რ-ის უმ. ეკონ. საბჭოს 1925 წ. სექტემბრის 17-ის დადგენილება სახელმწიფო დაწესებულებათა 1921, 1922, 1923 და 1924/5 საბიუჯეტო წლების დაგალიანების გაბათილების შესახებ. ამის გარდა, ტფილისის აღმასკომის მიერ აღძრულ საკითხის გამო, განმარტებული იყო, რომ სახელმწიფო დაწესებულებათა მოვალეობა—იხადონ იმ სადგომების ქირა, რომელნიც მათ უჭირავთ მუნიციპალიზაცია-ქმნილ და სათანადო აღმასკომების ექსპლუატაციაში ქონებულ შენობებში, წარმოიშვა მხოლოდ 1925/6 საბიუჯეტო წლის დასაწყისში.

შემდეგ ა.კ. ცაკის პრეზიდიუმის 1927 წ. მარტის 26-ის დადგენილების ძალით ზემოაღნიშნული განმარტება სახელმწიფო დაწესებულებათა მოვალეობის შესახებ სადგომების ქირის შრივ, გავრცელებულია საერთოდ ყველა სადგომზე, კერძოდ და რაბათზედაც, იმ შემთხვევაში, თუ იგი დაკავებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულების მიერ 1925 წ. ოქტომბრის 1-მდე ქალაქის აღმასკომის ექსპლუატაციაში ქონებულ მუნიციპალიზაცია-ქმნილ შენობაში.

იუსტიციის სახალხო კომისარიატში შემოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ ს. ს. რ. სასამართლო დაწესებულებანი საქმეების გადაწყვეტის დროს არ ხელმძღვანელობენ ზემოაღნიშნული განმარტებებით.

აღნიშნულის გამო და თანახმად სრ. საქ. საბჭოთა ცაკის 1927 წ. მაისის 10-ის № 31. 62, 92 წინადადებისა, იუსტიციის სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს სასამართლოს ორგანოებს შესარულონ ა.კ. ცაკის ყველა დადგენილება და განმარტება ისეთი საქმეების გადაწყვეტის დროს რომელნიც შეეხებიან სადგომების ქირის გადახდას სახელმწიფო დაწესებულებათა მიერ.

იუსტიციის სახალხო კომისარი ი. ვარძიელი სასამართლოს მომწყობი და ზედამხედველობის განყოფილების გამგე ი. სივინავა.

4 იანვარი 1928 წ.

განმარტება

იუსტიციის სახ. კომისარიატისა

ა.კ. ს. ფ. ს. რ. რკანის გზების სამწიფო-სამასალო განყოფილება თავის მომართვაში იუსტიციის სახ. კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილების სახელზე ა. წ. 25 ნომბრიდან № 29427 თხოვნის განმარტებას, ვრცელდება თუ არა სამოქ. სამ კოდექსის მე-185 მუხლი (ყიდვა-გაყიდვა და დაგირავება) შენობებზე, რომლებიც მდებარეობს ყოფილ სოფლებში, ეხლა კი დაბებში ქალაქის ტიპისა, და შეიძლება თუ არა იქნეს დაგირავებული და გაყიდული შენობები, რომლებიც მდებარეობენ სხენებულ დაბებში მათი კონტრაგენტების მიერ მიღებულ სამუშაოების უზრუნველსაყოფად?

სასოფლო-სამეურნეო შენობისა და ნაგებობის ყიდვა-გაყიდვა მოწყობილობა იმ წესით, რომელიც ნაჩვენებია მიწის კოდექსის 23 მუხლის შენიშვნაში ახალი რედაქციით, გამოქვეყნებულ გაზ. „კომუნისტში“ № 30 ა. წ. 8-თებერვლიდან (ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილება № 9 ა. წ. 1-თებერვლიდან), ხოლო იმ შენობებზე, რომლებიც აგებულია ქალაქის მიწებზე, გავრცელდება სამ. სამ. კოდექსის მე-185 მუხ. ქალაქის მიწებზე თანახმად მიწის კოდექსის მე-86 მუხ. ჩაითვლება ქალაქების მოქმედი მიჯნის შიგნით მდებარე ყველა მიწა, ხოლო თანახმად იმავე კოდექსის მე-93 მუხლისა ყველა ის დებულებანი, რომელნიც შეეხებიან ქალაქის მიწებს, გავრცელდება აგრეთვე ისეთ ადგილებზედაც, რაც არსებული წესით ცნობილი იქნება ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილად, აქედანც ცხადია, რომ ასეთ ადგილებზე აგებული შენობები ჩაითვლება ისეთივე ხასიათის შენობებად, როგორც საზოგადოდ შენობები, აგებული ქალაქის მიწებზე და ამიტომ ამ შენობებზე გავრცელდება როგორც სამ. სამ. კოდექსის მე-185 მუხლი, ისე ამავე კოდექსის ყველა ის მუხლი, რომელიც შეეხება შენობების გაყიდვას და დაგირავებას.

იუსტიციის სახალხო კომისარი ი. ვარძიელი. მე-3 განყ. გამგე ი. როინაშვილი.

29 დეკემბერი 1927 წ.

განმარტება

იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილებისა.

სენაკის მაზრის პროკურორის სამი შეკითხვის გამო.

1. შეუძლიან თუ არა თემალმასკომს ჩაიბაროს სასამართლო დადგენილების გარეშე კომლის გადაშენების შემდეგ დარჩენილი ნება.

2. ვის ევალება ს. ს. რესპუბლიკათა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის კონფისკაციაქმნილ, ბეითალმან და უსტრონო ქონების რეალიზაციის წესის შესახებ 1927 წ. 8 მაისის დადგენილების შეფარდება, როდესაც საკითხი ეხება კომლის გადაგვარების შემდეგ დარჩენილი ქონების ბეითალმანად გამოცხადებას და

3. რა სახის ქონებას გულისხმობს საკავშირო მთავრობის ხსენებული დადგენილების 1-მუხლის „ზ“ პუნქტი, ვრცელდება თუ არა ეს პუნქტი გლეხთა სახლებზე და სხვაგვარ შენობაზე—

იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილება განმარტავს:

1. კომლის გადაშენების შემდეგ დარჩენილი ქონება უნდა იქნეს განხილული როგორც სამკვიდრო ქონება, ამიტომ ამ შემთხვევაში უნდა ვინმემძღვანელოთ სამოქ. სამ. კოდექსის 432 მუხლით, რომლის ძალითაც ასეთი ქონება ბეითალმანად ჩაითვლება და სათანადო სახელმწიფო ორგანოს განკარგულებაში გადავა, უკეთუ მემკვიდრე არ გამოცხადებინან ექვსი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც სამკვიდრო ქონების დასაცავად ღონისძიება იქნა მიღებული, აგრეთვე უკეთუ მემკვიდრე უარს იტყვიან დამკვიდრებაზე.

2. თუ კი კომლის ქონება გამოცხადებულ იქნა ბეითალმანად თანახმად სამოქ. სამარ. კოდექსის 432 მუხლისა, სათანადო სახალხო სასამართლო, ე. ი. ის სასამართლო, რომელმაც მიიღო ქონების დასაცავა ღონისძიება, გამოიტანს დადგენილებას, რომლის ძალითაც ბეითალმანი ქონება გადაეცემა საკავშირო მთავრობის ხსენებულ დადგენილების 8 მუხლში დასახლებულ დაწესებულებას.

3. საკავშირო მთავრობის დადგენილების პირველ მუხლის პუნქტში არ არის საგლეხო კომლის ქონების დანაწილება. აქედანც ცხადია, რომ ამ აღნიშნული ქონება უნდა იქნეს გაგებული, როგორც ყველა ის ღირებულება, რაც კომლის საკუთრებას შეადგენს. ასე რა ამ ქონების შედგენილობაში უნდა შევიდეს ყველა შენობა, იქნეს საცხოვრებელი თუ სასოფლო-სამეურნეო, რაც კომლის წესითა საერთო სარგებლობის ქონებას წარმოადგენდა.

საკანონმდებლო განყ. გამგე ი. როინაშვილი.

1927 წ. დეკემბრის 29.

განმარტება

გარეუბნის რაიონის სახ. აღმასრულებელის შეკითხვაზე

დასაშვებია თუ არა გადახდევინება იქნეს მიქცეული კომლი წვერის ვალის ასანაზღაურებლად კომლის ქონებაზე და შესაძლებელია თუ არა გაყიდულ იქნეს კომლის წვერის ვალში მისი ერთადერთი სახლი.

1. კომლის ქონებიდან თანახმად მიწის კოდექსის 45 მუხლით არ შეიძლება გასტუმრებულ იქნეს კომლის წვერის ვალი თუ ასევე იქნა აღებული მოვალეს პირადი საჭიროებისათვის. აქედანც ცხადია რომ კომლის ქონებაზე არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა კომლის წვერის მიერ აღებული პირადი ვალის გასასტუმრებლად.

2. კომლის წვერის ვალის ასანაზღაურებლად არ შეიძლება გადახდევინება იქნეს მიქცეული მის ერთადერთ სახლზე, ასეთი დანაკარგის გამოტანის შესაძლებლობა იძლევა არა კანონის პირდაპირ დადგენილება, არამედ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა, რომლის საფუძველს ვბოლობთ საკავშირო მთავრობის 1925 წლის 2-1 ტომბრის დადგენილებაში, აღნიშნული დადგენილების მე-17 მუხლი ძალით სხვათა შორის არ შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინების სახელმწიფო გადასახადის ასანაზღაურებლად საცხოვრებელ და მეურნეო შენობებზე, რომლებიც შეადგენს სასოფლო მეურნეობის განუყოფელ კუთვნილებას. ამრიგად თუ კანონით მოყვანილი დადგენილების მიხედვით სახელმწიფო გადასახადის ასანაზღაურებლად შეიძლება გადახდევინება იქნეს მიქცეული კომლის ისეთ შენობები რომლებიც შეადგენენ სასოფლო მეურნეობის კუთვნილებას, კანონის ეს დებულება მით უფრო გასავრცელებელია იმ შემთხვევაზე, როდესაც ასანაზღაურებელია კომლის კერძო ვალი ერთადერთ საცხოვრებელ შენობიდან, რომელიც ერთ და იმავე დროს ემსახურება მის საბინაო საჭიროებასა და სოფლის მეურნეობას.

საკანონმდებლო განყ. გამგე ი. როინაშვილი. იურისკონსულტი კ. მიქელაძე.

1928 წლის 2 იანვარი.

უზენაეს სასამართლოს კლენუშის განმარტებანი

სამ. ს. ს. რ. უზენაეს სასამართლოს კლენუშის 1927 წლის 19 ნოემბრის სხდომის ოქმიდან № 15

(გაგრძელება)

4. რესპუბლიკის პროკურორის პროტესტი უზენაეს სასამართლოს 17 მაისის დადგენილებაზე, რომლითაც დამტკიცებულია აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს 1927 წ. 26/27 აპრილის განაჩენი საქმეზე ბრალდებისა გამო აღექსანდრე გრიგოლის ძე ლავმისა სისხ. სამ. კოდ. 116 მუხ. 1 ნაწ. და 194 მუხ. 1 ივანე აღექისი-ძე მონიავას იმავე კოდ. 116 მუხ. 1 ნაწ. და 110 მუხ. ძალით.

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ბრალდებული მონიავა 1927 წ. აპრილის განაჩენით სცნო უდანაშაულოთ და გაამართლა ს. ს. კ. 116 მ. გათვალისწინებულ დანაშაულს ჩადენაში. ამიტომ მის და განამართლებულ ლამის მოქმედების შორის შეწყდა ის კავშირი, რომელიც ქმნიდა მათ სოლიდარული პასუხისმგებლობას მიყენებული ზარალისათვის; სამოქალაქო მოსარჩლის საკასაციო საჩივარი, რომელიც მოითხოვდა სოლიდარულათ პასუხისმგებლობის დაკისრებას, ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნილებას და ამიტომ საკასაციო საკრებულოს არ უნდა დაეკმაყოფილება ასეთი ხ.სიათის მოთხოვნილება. ხოლო თუ საკასაციო საკრებულო საჭიროდ დაინახავდა საკასაციო საჩივარის დაკმაყოფილებას იმას უნდა გაუქმებია განაჩენი და საქმე გადაეცა ხელახლა არსებითად განსახილველად. ამრიგად პროტესტის მიითებანი უზენაეს სასამართლოს პლენუმმა შეიწყნარა და საჭიროდ სცნო საკასაციო საკრებულოს დადგენილებ ში სათანადო ცვლილების შეტანა, რის გამო დაადგინა: საკასაციო საკრებულოს 1927 წ. 17 მაისის დადგენილების დასაბუთებლსა და სარეზოლიუციო ნაწილიდან ამოიშალოს მოსაზრებანი სამოქალაქო მოსარჩლის საკასაციო საჩივარის დაკმაყოფილების და განაჩენის შესწორების შესახებ; სამოქალაქო მოსარჩლის საკასაციო საჩივარი დატოვებულ იქნეს უშედეგოთ.

5. გადახვედითა რომელ კატეგორიას უნდა მიეკუთნოს ის პირი, რომელსაც აქვს სარეწაო პატენტი და იმავე დროს მესამე ხარისხის სავაჭროც, არ სარგებლობს დაქირავებული ძალით და არ არის შინა მრეწველთა კავშირის წევრი.

ს. ს. ს. რ. სახალხო კომისარტა საბჭოს მიერ 1926 წ. 19 ოქტომბრის დამტკიცებულ ქ. ტფილისის მაცხოვრებელ შენობების ქირის დებულების მე-II მუხ. პუნ. „ა“-ს თანახმად შინა მრეწველნი და ხელოსანნი, რომლებიან იოვლებიან შინამრეწველ ხელოსანთა საზოგადოების წევრათ და რომელთაც დაქირავებული მუშები არა ჰყავთ, ან ჰყავთ მხოლოდ ერთი მუშა, ბინის ქირას იხდიან სახლის მმართველობასთან შეთანხმებით, მხოლოდ არა ნაკლებ 20 კაბ. და არა უმეტეს 54 კაბ. შინამრეწველ და ხელოსანთა საზოგადოების წევრების ბინის ქირის რაოდენობით განსაზღვრის დროს სასამართლოები უნდა ხელმძღვანელობდნენ მათი საშუალო სამუშევარი ხელფასით, რომელიც უნდა დაწესებულ იქნეს „თვითმშრომელთა“ საზოგადოების მიერ გაცემულ ცნობის თანახმად. ვინაიდან იმ შინამრეწველთა და ხელოსანთა შემოსავლები, რომლებიც ჰყდიან მხოლოდ თავიანთ ნაწარმოებს ატარებს შრომითი ხასიათს, ცნობილ იქნეს, რომ ამ შემთხვევაში აღებულ სავაჭრო მოწმობის დამოუკიდებლად შინამრეწველნი და ხელოსანნი ქირას უნდა იხდიდნენ, დებულების მე-II მუხ. თანახმად. მე-16 მუხლით ბინის ქირას იხდიან მხოლოდ ის შინამრეწველნი და ხელოსანები, რომელთაც თავიანთი ნაწარმოები ხელფასის გარდა კიდევ აქვთ არა შრომითი შემოსავალი. ვინადადება ეძლევათ ქვემდებარე სასამართლოებს იხელმძღვანელონ აღნიშნული ახსნა-განმარტებით.

6. უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის წინადადება უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს 1927 წ. 27 მაისის დადგენილების შედამხედველობის

წესით განხილვის შესახებ, რომლითაც დამტკიცებულია ქ. ტფილისის მეორე უბნის სახალხო სასამართლოს 1926 წ. 27/30 დეკემბრის გადაწყვეტილება ძიებისა გამო ნატალია ჯაშისა ევგრაფ ხუნდაძესთან სარჩოს შესახებ.

ქ. ტფილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლომ 1926 წ. 27/30 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა ნატალია ჯაშის სარჩელი და დაავალა მის ყოფილ ქმარს ევგრაფი ხუნდაძეს მძიებლის სარჩოთ თვისურად 15 მანეთის გადახდა, აღნიშნული გადაწყვეტილება აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სამოქ საკასაციო საკრებულომ 1927 წლის 3 თებერვალს გააუქმა და საქმე წარმოებით მოსპო იმ მოსაზრებით, რომ ნატალია ჯაშს ვითომდა არ ჰქონდა არავითარი უფლება მოეთხოვა თავის ყოფილ ქმრისაგან სარჩო, ვინაიდან ისინი თავის ნებით განშორდნენ ერთმანეთს 1920 წ. 16 ივნისს; უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულომ 1927 წ. 27 მაისის დადგენილებით გააუქმა ოლქის სასამართლოს საკასაციო საკრებულოს 1927 წ. 3 თებერვლის დადგენილება და დამტკიცა სახალხო სასამართლოს 1926 წ. 27-30 დეკემბრის გადაწყვეტილება, როგორც დამყარებული მხარეთა ნამდვილ უფლებებზე ურთიერთობაზე. როგორც საქმიდან ჩანს, მძიებელი ნატალია ჯაშის ასული და ევგრაფი ხუნდაძე დაქორწინებულან 1918 წლის 21 ოქტომბერს. ფაქტიურად განშორებულან ერთმანეთს 1920 წლის 16 ივნისს; განშორების დროს ნატალია ჯაშის ასულს მიუღია ევგრაფი ხუნდაძისაგან სრული კმაყოფილება ფულით; თუ საქონლით და დღემდის სცხოვრობს ცალკე; თუმცა ნატალია ხუნდაძე ფორმალურად არ არის განქორწინებული თავის ქმართან, მაგრამ ის გარემოება, რომ მხარეები განშორებულან კიდევ 1920 წლის 16 ივნისს ხასიათის შეუთვისებლობის გამო, რომ განშორების შემდეგ გაუვლია სრულ 7 წელს და ამ ხნის განმავლობაში მათ არც კი უფიქრიათ შეერთება, რომ ქორწინების გარეშე 7 წლის გატარება და გაშორების დროს კმაყოფილების მიღება ფულით თუ ნივთებით, საგულისხმოა, რომ მძიებელ ჯაშის ასულს უკარგავს უფლებებს მიიღოს თავის ყოფილ ქმრის ევგრაფ ხუნდაძისაგან რაიმე ხაზრდოს სახით, ამიტომ უზენაეს სასამართლოს პლენუმმა დაადგინა: აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს საკასაციო საკრებულოს 1927 წ. 3 თებერვლის დადგენილება, რომლითაც გაუქმებულია ქ. ტფილისის მეორე უბნის სახალხო სასამართლოს 1926 წ. 27/30 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე წარმოებით მოსპობილია—დამტკიცდეს, ხოლო უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს პლენუმის 1927 წ. 27 მაისის დადგენილება გაუქმდეს.

7. განმარტება სამ. სამ. საპრ. კოდ. 47 მუხლის შენიშვნის, იმ საკითხის გამო, აქვს უფლება თუ არა სასამართლოს აუნაზღაუროს მხარეს წარმომადგენლის გასამარჯველო ისეთ საქმეებზე, რომელსაც გაიცემა სასამართლოს ბრძანება.

სასამართლოს ბრძანება გაიცემა წარმოების განსაკუთრებული წესით და უდგაო საბუთების გამო და კანონი მხარეთა გამოცხადებას ასეთ საქმეზე არ ითვალისწინებს; ამიტომ უნდა ვივალისხმოთ, რომ სამ. სამ. საპრ. კოდ. 47 მუხლის შენიშვნა აღნიშნულ საქმეებზე არ ვრცელდება და სასამართლოს არა აქვს უფლება მიუხაჯოს მხარეს წარმომადგენლის დაჯილდოვებით გამოწვეული ხარჯები. ვინადადღია ეძლევათ ქვემდებარე სასამართლოებს იხელმძღვანელონ აღნიშნული ახსნა-განმარტებით.

8. სახალხო სასამართლოს განკარგულების გასაჩივრება შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილებაზე აღმასრულებელ ფურცლის გაცემის გამო.

აღმასრულებელი ფურცლები შემფასებელ საკონფლიქტო კომისიების დადგენილებათა გამო სახალხო მოსამართლეების მიერ გაცივმა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს დადგენილებები ერთხმად არის მიღებული ორივე მხარის მიერ და მათი კანონიერება საქმეთა ქვემდებარეობის თვალსაზრისით და მომქმედ კანონმდებლობასთან შესაბამებით დადასტურებულია შრომის სახ. კომისარიატის ღოგანობების მიერ; სახალხო მოსამართლე ვერ შეამოწმებს არსებითად შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილებებს და ის მხოლოდ რწმუნდება მასში, რომ შემფასებელ საკონ-

ფლიქტო კომისიის გადაწყვეტილებას აკმაყოფილებს ზემოხსენებულ მოთხოვნებზე და არ ეწინააღმდეგება კანონს; სამოქ. საქრ. კოდექსი ითვალისწინებს საჩივრის შეტანას მხოლოდ აღმასრულებელ ფურცლის გაცემის უარის თქმაზე და არა მის გაცემაზე, თუ დაუშვებთ ამ უკანასკნელ მოქმედების განსაჩივრების შესაძლებლობას, ეს გამოიწვევს საქმის გაკვირვებას და ძალზე ცუდ მდგომარეობაში ჩააყენებს მშრომელთ, რომელთა პრეტენზიები ცნობილ იქნა შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის მიერ,— და ა დ გ ი ნ ა : სახალხო სასამართლოს განკარგულება შრომის სახ. კომისარიატის ორგანოების მიერ სათანადო წარწერილ შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის დადგენილების საფუძველზე აღმასრულებელ ფურცლის გაცემის შესახებ არ განსაჩივრდება. თავისთავად იგულისხმება, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც აღმასრულებელი ფურცელი გაცემულია შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის არა სათანადო გადაწყვეტილების თანახმად, სასამართლოს მოქმედებაზე შეიძლება პროტესტის შეტანა ზედამხედველობის წესით იმ პირების მიერ, რომელთაც კანონით მინიჭებული აქვს ზედამხედველობის უფლება.

9. განმარტება სამ. სამ. კოდ. 171 მუხლის პ. „ი“ (ბინიდან ღვთის ძეგლებით გამოსახლების შესახებ ბინის ძირითადი შეკეთების გამო).

სამოქ. სამ. კოდ. 171 მუხ. „ი“ პუნქტი ითვალისწინებს მობინადრეების გამოსახლებას მათ მიერ დაჭერილ შენობებიდან, უკეთეს უკანასკნელი საპიროებს კაპიტალურ შეკეთებას; უმეტესათ ასეთ შემთხვევაში სისხლის მმართველობა და განსაკუთრებით კერძო მესაქმურნი მობინადრეთა გამოსახლების შემდეგ ან სრულად არ აწარმოებენ შეკეთებას, ან აკიანურებენ მას განუსაზღვრელ დრომდე და მით გამოსახლებულებს უსაძებნ ბინაში უკანვე ჩასახლების საშუალებას, ამიტომ უზენაესი სასამართლო განმარტავს:

1. სამოქ. სამ. კოდ. 171 მუხ. პ. „ი“ თანახმად, გამოსახლების შესახებ გამოტანილ გადაწყვეტილებაში აღნუსხული უნდა იქნეს შეკეთებისათვის საპირო ვადა, რომლის განვლის შემდეგ მობინადრე უნდა ჩასახლდეს თავის ბინაში, თუნდაც შეკეთება არ იქნება მოხდენილი, შეკეთების ვადას, უკეთეს მხარეთა შორის შეთანხმება არ მოხდა, განსაზღვრავს სასამართლო თავის შეხედულებით, არა უმეტეს იმისა, რაც ნამდვილთ საპირო იქნება შესაკეთებლად.

2. გადაწყვეტილების გამოტანის დროს დაწერილებით უნდა იქნეს გამოკვეთილი ტენიკურ ექსპერტიზის მეშვეობით, მართლა საპიროებს, თუ არა სახლი კაპიტალურ შეკეთებ ს, რომლის შესრულებაც მოითხოვს შენობის აუცილებლად განთავისუფლებას და შესაძლებელია თუ არა, ვაჰოსახლებულ პირს შეთანხმებით დაეთმოს სხვა დროებითი ბინა იმავე შენობაში.

10. საკავშირო შრომის სახალხო კომისარის 1925 წ. 31 მარტის დადგენილებაში აღნიშნულ თანამდებობათა სიის მიხედვით, უზენაეს სასამართლოს პლენუმის 1927 წ. 15 აპრილის დადგენილების მესამე პუნქტის უკანონო სამსახურიდან დათხოვნილ თანამშრომლის სამსახურში აღდგენის წესის შევსების შესახებ.

უზენაეს სასამართლოს პლენუმის 1927 წ. 15 აპრილის დადგენილების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ თანამდებობათა სიის სათანადო წესით გამოქვეყნებამდე განემარტოს, რომ აღნიშნულ პუნქტის შეფარდებისას საპირო ხელმძღვანელობა თანამდებობათა სიით, რომელიც მოყვანილია ს. ს. რ. კ. შრომის საქმეთა სახალხო კომისარიატის 1925 წ. 31 მარტის № 94/509 დადგენილებაში შესახებ პროფესიონალური, საბჭოთა, კოლპერატული, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციებში მომუშავე პასუხისმგებელ პოლიტიკურ თანამშრომელთათვის ხელფასის გაცემისა (ს. ს. რ. კ. შრომის სახ. კომ. მოამბე 1925 წ. № 17/18) და გამოცემულ მის დამატებაში, მიუხედავად აღნიშნულ მომუშავე ხელფასის ფორმისა და რაოდენობისა; უზენაეს სასამართლოს პლენუმის 1927 წ. 15 აპრილის დადგენილების მე-3 პუნქტი აგრძელებს გავრცელებულ უნდა იქნეს სახელმწიფო დაწესებულებაში და წარმოების უმაღლეს ადმინისტრაციულ ტენიკურ პერსონალის პირებზე, რომლებიც საკვებლობდნენ სამსახურში მიღებისა და დათხოვნის უფლებით და რომლებზედაც შრ. კან. კოდ. 16 მუხ. შესაფუძნებელი კოლექტიური ხელშეკრულების მოქმედება

არ გრცელდება; ამასთანავე ეს უკანასკნელი თანამდებობანი შეიძლება აღნუსხულ იქნენ კოლექტიურ ხელშეკრულებაშიც.


ს.ს.ს.რ. უზენაეს სასამართლოს პლენუმის 1927 წ. 17 დეკ. სხდომის ოქმიდან № 16*)

1. უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის წინადადება, რათა ზედამხედველობის წესით განხილულ იქნეს უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს 1926 წ. 16 ნოემბრის და აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს 1926 წ. 6—9 თებერვლის დადგენილებებით დადასტურებული ქ. ტფილისის მეორე უბნის სახალხო სასამართლოს 1925 წ. 9 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე ძიებისა გამო გიორგი ახვლედიანისა პრასკოვია ახვლედიანთან ბავშვების შესახებ. მომხ. ს. მეგრელიშვილი.

1925 წ. 29 იანვარს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა გიორგი ახვლედიანმა შეიტანა განცხადება 1 უბნის სახალხო სასამართლოში, სადაც ითხოვა ცალთან განთავისუფლება და ბავშვების დატოვება მასთან. სახალხო სასამართლომ მოქალაქე გიორგი ახვლედიანი და პრასკოვია ახვლედიანისა განაქორწინა და ბავშვების საკითხი გადასდო შემდეგ სხდომისათვის. იქნენ დაითხოვილი მოწმეები, იქნა მოხდენილი ექსპერტიზა და სახალხო სასამართლომ 1925 წ. ივნისის 27—30) გამოტანა გადაწყვეტილება, რომლის ძალით მაძიებელ გიორგი ახვლედიანს გადასცა მცირეწლოვანი ვაჟიშვილი და მოპასუხეს პრასკოვია ახვლედიანისას დატოვება უფროსი 8 წლის ქალი, მაგრამ რადგან მოპასუხეს სჭირდება კარგი კვება სისხლის ნაკლებობის გამო და ბავშვებსაც საცხოვრებელი, მაძიებელს დაევალი მოპასუხისა და 8 წლის ქალის საზრდოთ ყოველ თვიურად გადასა 1/8 ჯამაგირისა. ფაქტიურად ორივე ბავშვები დარჩენ დადასთან და აქედან დაწყებული მოქ. ახვლედიანი იხდიდა 1/3 თავის ჯამაგირისა. ეს უკანასკნელი გადაწყვეტილება ზედამხედველობის წესით იყო გაუქმებული უზენაეს სასამართლოს მიერ და საქმე საბოლოოდ გაიჩინა 1925 წ. დეკემბრის 9—12 დღესა და გამოტანილი იქნა გადაწყვეტილება, რომლის ძალით პრასკოვია ახვლედიანისას უნდა ჩამოერთმეოდა ბავშვები როგორც ქალი, ისე ვაჟი და გადასცემოდა გიორგი ახვლედიანს ხოლო უკანასკნელს დაევალი პრასკოვია ახვლედიანის როგორც ავადმყოფის სასარგებლოდ მის მიერ საბჭოთა კურსების დამთავრებამდე თვიურად ორმოცი (40) მანეთის გადახდა. ეს გადაწყვეტილება საკასაციო ინსტანციამ დაამტკიცა, ხოლო პრასკოვია ახვლედიანის მიერ ზედამხედველობის წესით შემოტანილი საჩივარი დატოვდა უშედეგოდ. 1926 წ. 16 იანვარს პრასკოვია ახვლედიანისამ შეიტანა საჩივარი 1 უბნის სახალხო სასამართლოში და განაცხადა, რომ სასამართლომ 1925 წ. 30 ივნისის გადაწყვეტილებებით მიუსაჯა მას 1/8 ჯამაგირისა ქალიშვილის სარჩენად, მაგრამ მასთან იმყოფებოდა აგრეთვე ვაჟიშვილი 5 წ. და მოპასუხე მის სასარგებლოდ არაფერს არ აძლევდა, ამისათვის ითხოვა სულ 578 მან მზარეობა სასამართლოში 1926 წ. მაისის 6—ითხოვეს საქმის მოსაპობა მორიგების გამო შემდეგ პირობებში:

მოპასუხე გიორგი ახვლედიანი ვალდებული გახდა აძლიო მაძიებლის ბავშვების საზრდოთ თავის ყოველგვარ მუდმივ ჯამაგირის 50 პროც. ყოველ თვიურად. ამის შემდეგ მაძიებელმა აიღო აღმასრულებელი ფურცელი. თანახმად შეთანხმებისა მოპასუხე იხდის ბავშვების სასარგებლოდ, რომელნიც დედასთან იმყოფებიან, ჯამაგირის 50 პროც. 1927 წ. 16 ნოემბერს პრასკოვია ახვლედიანისამ შეიტანა სასამართლოს აღმასრულებელთან განცხადება და ითხოვდა აღმასრულებელ ფურცელში აღნიშნული ქ. ტფილისის მეორე უბნის სახალხო სასამართლოს 1925 წ. 9—12 დეკემბრის გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანა, რომლის ძალით მისივე იქნა მას პირადად გიორგი ახვლედიანისაგან სარჩოს სახით 40 მან. როგორც საქმიდან სჩანს, პრასკოვია ახვლედიანისა ღებულობს ყოფილი ქმრისაგან 5 პროც. თვიური ჯამაგირისა, ასე, რომ პირადად მის სარჩოთ მისული 40 მან. სხენებულათ უნდა ჩაითვალოს იმ 50 პროც., რომელიც ეძლევა პრასკოვია ახვლედიანს გიორგი ახვლედიანისაგან, რომ დახდენილება სამუშაო ხელფასზე მიიქცევა მხოლოდ იმ თანხისა რაც მოვლის ხელფასის მინიმუმს აღემატება და შეიძლება მას დაჭიროს არა უმეტეს 50 პროც., უკეთეს გადასაზღვევინებელი თანხა აღნიშნულია ოჯახის წევრთა შესაძლებლად. მოყვანილ მოსაზრებათა გამო უზენაეს სასამართლოს პლენუმმა დაადგინა: ქ. ტფილისის მეორე უბნის სახალხო სასამართლოს 1925 წ. დეკემბრის 9—12-ს გადაწყვეტილება, დამტკიცებული აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს 1926 წ. თებერვლის 6—9 დადგენილებით, და უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს დადგენილება 1926 წ. 1 ნოემბრის თარიღით საქმეზე ძიებისა გამო პრასკოვია ახვლედიანის

*) გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში.



გაორგი ახვლედიანისაგან სარჩოს შესახებ იმ ნაწილში, რომელიც ეჭება 40 მან. მისჯას პრასკოვია ახვლედიანის სასარგებლოდ, გაუქმდეს და აღმასრულებელი ფურცლის დუბლიკატი, გაცემული კმ გადაწყვეტილების ძალით 1927 წ. 11 ნოემბრის თარიღით № 1570, გაბათილებულ იქნეს, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დამტკიცდეს

2. უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის წინადადება, რათა გადასინჯულ იქნეს ზედამხედველობის წესით უზენაეს სასამართლოს 1927 წ. 21 ნოემბრის დადგენილებით დადასტურებული ქ. ტფილისის საბინაო სასამართლოს 1927 წ. 23-26 აგვისტოს გადაწყვეტილება: ძიებისაგან მოსთხოვოს ამირბეგოვისა იაკოფ და შუშანიკა ევანოვებთან ბინის შესახებ. მომხს. ი. სურგულაძე.

1924 წლის 17 მარტს სარქის ამირბეგოვმა მეათე უბნის სახალხო სასამართლოში აღძრა ძიება და მოითხოვა მოპასუხე ევანოვებისაგან ბინის ქირა 1923 წლის მაისიდან და მოპასუხის ბინიდან გამოსახლება. მოპასუხემ განაცხადა, რომ სახლი მძიებელი არ ეკუთვნის, ამიტომ სასამართლომ მოითხოვა მძიებლისაგან სახლზედ საკუთრების უფლების დამტკიცებელი საბუთის წარმოდგენა. შემდეგში გამოიკვია, რომ სახლის პატრონი არის სოფიო ამირბეგოვისა და უკანასკნელი სასამართლოს მიერ დაშვებულ იქნა საქმეზედ მძიებლათ სასამართლოს 1924 წლის 28—29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაეკისრა ბინის ქირის გადახდა სულ 150 მანეთი, ხოლო ბინიდან მოპასუხის გამოსახლებაზედ მძიებელს უარი ეთქვა, აღნიშნული გადაწყვეტილება ოლქის სასამართლოს საკასაციო საკრებულომ 1924 წლის 13 დეკემბრის თარიღით არსებითად დაამტკიცა, მხოლოდ წინადადება მისცა სახალხო სასამართლოს შეესწორებინა გადაწყვეტილება ზოგიერთ ნაწილებში, რაც სახალხო სასამართლომ მიერ შესრულებულ იქნა. 1925 წლის 16 იანვრის თარიღით მძიებელმა სოფიო ამირბეგოვისამ კვლავ აღძრა მოპასუხე იაკოფ და შუშანიკა ევანოვების მიმართ მე-2 უბნის საბინაო სახალხო სასამართლოში სარჩელი, რომელშიდაც მოითხოვა ბინის ქირა 1925 წლის 1-ლ მარტიდან 1-ლ დეკემბრამდე თვიურად 15 მანეთის რაოდენობით და მოპასუხეებისაგან ბინის განთავისუფლება, მძიებელი იაკოფთან ჩასახლება უნდა იქნას, რომელიც მოპასუხეების ბინაში შედიოდა, ორდერით, რომელიც 1924 წლის 31 ივლისს ყოფილი გაცემული ქალაქის აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოსაგან: შეგებებული სარჩელით, რომელიც სასამართლოში შეტანილია 1925 წლის 26 მაისს, მოპასუხეები მოითხოვენ უკანონო ჩამორთმეულ ოთახის მძიებლისაგან უკანვე ჩამორთმევას და მოპასუხეების სარგებლობაში გადაცემას.

სახალხო სასამართლოში, როგორც ძირითადი, ისე შეგებებული სარჩელი, რამოდენჯერმე იყო გარჩეული და სახალხო სასამართლოებში გადაწყვეტილებები უქმდებოდა ოლქის სასამართლოს საკასაციო საკრებულოს დადგენილებით: უკანასკნელათ საქმე გაიჩნა 1927 წლის 22—26 აგვისტოს ქ. ტფილისის მე-2 საბ. სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილებით ზემოაღნიშნული ორდერი ამირბეგოვისის ჩასახლების შესახებ უკანონო არის ცნობილი, რის მიხედვით დადგენილია ამირბეგოვისისაგან დაკავებული ოთახის მოპასუხეებზედ უკანვე გადაცემა. აღნიშნული გადაწყვეტილება დამტკიცებულია უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს მიერ 1927 წლის 21 ნოემბრის თარიღით; უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის სახელზედ შემოსულ განცხადებაში სერგეი ამირბეგოვი მოითხოვს სახალხო სასამართლოს და უზენაეს საკასაციო საკრებულოს გადაწყვეტილებების გაუქმებას იმისა, რომ მოპასუხე არის სახლის მესაკუთრე ავლაბარში და 1925 წლამდე ვაკარი იყო. აღნიშნული განცხადება უნდა დატოვებულ იქნეს უშედეგოთ შემდეგის მიხედვით: როგორც საქმეში დართულ ორდერიდან სიანს, იგი გაცემული ყოფილა 1924 წლის 31 ივლისს, ე. ი. საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სახალხო კომისარათა საბჭოს 1923 წლის 26 სექტემბრის დეკრეტის გამოქვეყნების შემდეგ, რომლითაც (ე. ი. დეკრეტით) დაშვებულია ყველა სახელმძღვანელო მობინადრეების გამოსახლება მხოლოდ სასამართლოს წესით, რომ აქედან უდავოა, რომ ზევით აღნიშნული ორდერი მოკლებულია კანონიერ ძალას და, როგორც აშკარად უკანონო, იგი რაიმე უფლებებს ვინმესთვის და კერძოდ კი ამირბეგოვისისთვის ვერ შექმნის სადაო ოთახის დაკავებაზედ. ამიტომ, როგორც სახალხო სასამართლოს, ისე უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს დადგენილებები, რომელნიც განსაზღვრებულია სერგეი ამირბეგოვისისაგან, სასესიოთ კანონიერი არიან და ძალაში უნდა იქნეს დატოვებული, — დაადგინა: ქ. ტფილისის მე-2 საბინაო სა-

ხალხო სამართლოს 1927 წლის 23—26 აგვისტოს გადაწყვეტილება და უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო საკასაციო საკრებულოს 1927 წლის 21 ნოემბრის დადგენილება დამტკიცდეს.

3. უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის წინადადება, რათა ზედამხედველობის წესით გადასინჯულ იქნეს უზენაეს სასამართლოს 1927 წლის 30 ნოემბრის დადგენილებით დამტკიცებული აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს 1927 წ. 12—16 ნოემბრის განაჩენი ბრალდებისა გამო გარეგინ ამირაგოვისა სისხ. სამ. კოდ. 116 მუხ. მეორე ნაწ. და 119 მუხ. გათვალისწინებულ დანაშაულში. მომხს. აშ. გალუგტიანი.

საქმიდან სიანს, რომ საბრალმდებლო დასკვნის მიხედვით მსჯავრდადებულ ამირაგოვს ბრალი ედებოდა მასში, რომ იმყოფებოდა რა მუშკოვოს განყოფილების გამგის მოადგილეთ, მან 1926 წ. ნოემბრიდან 1927 წ. მაისამდე მისთვის სამსახურის გამო ჩაბარებული ფულთიდან მითთვისა და გაფლანგა 3164 მან. 26 კაპ., ე. ი. დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია ს. ს. კ. 116 მ. 2 ნაწ., მეორე ბრალდება, ამ პირზედ ბრალდებასთან დაკავშირებით, გამოიხატება იმაში, რომ ზემოაღნიშნული თანხის ნაწილის გაფლანგვის და საფარავნო ამირაგოვმა გამოართვა მუშკოვოს კონტრაგენტ-მეპურებს ხელწერილები მათთვის 2165 მან. დარიგების შესახებ და ეს ფული მან მითთვისა. ამ რიგათ ის გარემოება, რომ ამირაგოვმა ნაწილი გაფლანგული ფულისა დაფარა მეპურებისაგან ჩამორთმეული ხელწერილებით არ სცვლის დანაშაულის კვალიფიკაციას, ვინაიდან 2162 მან. 45 კაპ. წარმოადგენს ნაწილს ამირაგოვის მიერ მიღებულ ავანსისა, რომელიც მან გამოიყენა თავის სასარგებლოდ. სამსჯავრო გამოძიების დროს მდგომარეობა არ გამოცვლილა. მეპურებმა დადასტურეს, რომ 2162 მან. 45 კაპ. არ მიუღიათ, ხოლო ამირაგოვის თხოვნით გასცეს ხელწერილები ამ თანხის ვითომდა მიღებაზე. ამიტომ სასამართლომ შესაძლებლად ცნვის დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლა და იმ მოქმედებას, რომელიც ამირაგოვმა ჩაიდინა 2162 მან. 45 კაპ. მისათვისებლათ, შეუფარდა ს. ს. კ. 108 მ. 1 ნაწ. სამოქალაქო მოსარჩელე დაეყრდნო რა საბუქალატერო ექსპერტის დასკვნას, რომ 2162 მან. 45 კაპ. შეადგენს მეპურების დავალიანებას, უარი სთქვა სარჩელის ამ ნაწილზე და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება ამ თანხის გამოკლებით, ე. ი. 1001 მან. 81 კაპ. რაოდენობით, რაც ოლქის სასამართლომ დააკმაყოფილა. ცხადია, ასეთი განაჩენი უნდა ჩაითვალოს უსწოროთ, ამირაგოვი ითვლებოდა ანგარიშ კვემ მყოფ პირათ, რომელმაც მიღებული ავანსის გასამართლებლად წარმოუდგინა მუშკოვოს 2162 მან. 45 კაპ. ხელწერილები რომლებითაც სინამდვილეში მას არც ერთი კაპიტი არ დაუტოვებია კონტრაგენტებისათვის.

ბრალდებულის დანაშაულის კვალიფიკაცია არ იცვლება მის სასარგებლოდ გამოყენებულ, ე. ი. მითვისებულ თანხის ვასამართლებლათ ფიქტიური საბუთების წარმოდგენით, ასე რომ, როგორც 1001 მან. 81 კაპ., ისე 2162 მ. და 45 კაპ. თავის სასარგებლოდ გამოყენებას უნდა შეეფარდოს ს. ს. კ. 116 მ. სასამართლოს მიერ დაშვებულ უსწორო კვალიფიკაციას საბუქალატერო ექსპერტისათვის დაკავშირებით მოყვება 2162 მან. და 45 კაპ. გადახდენილება მეპურებისაგან, მაშინ როდესაც მათ ეს თანხა არ მიუღიათ. ამ რიგათ საბრალმდებლო დასკვნის კვალიფიკაცია უნდა ცნობილ იქნეს სწორათ; გარდა ამისა, ოლქის სასამართლომ უსწოროთ შეუფარდა 1001 მან. 81 კაპ. მითვისებას 116 მ. 2 ნაწ., ვინაიდან არც მითვისებულ თანხის რაოდენობა და არც ამირაგოვის სამსახურებრივი მდგომარეობა არ იძლევიან ამისათვის საფუძველს. აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ სასამართლომ არ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ამირაგოვის საფარავნო ანგარიში ნაწილობრივ დაფარული იყო მასთან წარდგენილ 2162 მან. 45 კაპ. ხელწერილებით, რომლებსაც არავითარი ძალა არა აქვთ; ასეთ ქმედებას საბრალმდებლო დასკვნა სამართლიანად უწოდებს სიყალბეს და უფარდებებს ამას ს. ს. კ. 119 მ., მაგრამ განაჩენში არ არის აღნიშნული, თუ რა ბედი ეწევა ამ ბრალდებას, რასაც მოითხოვს ს. ს. კ. 234 მუხ. — საკასაციო საკრებულოს დადგენილება, რომელმაც არ მიაქცია ყურადღება არა სწორ კვალიფიკაციას და 334 მ. დარღვევას, არ არის სწორი. ზემოხსენებულის მიხედვით პლენუმმა დაადგინა: საკასაციო საკრებულოს 1927 წ. 30 ნოემბრის დადგენილება და აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს 1927 წ. 12—18 ნოემბრის განაჩენი გაუქმებულ იქნეს და საქმე ხელახლა სხვა შემადგელობაში განსახილველად სამსჯავრო გამოძიების სტადიიდან დაუბრუნდეს ტფილისის, მაზრის სასამართლოს.

გამომცემელი:

საბ. ს. ს. რ. იუსტიციის
სახალხო კომისარიატი.

პასუხისმგებელი რედაქტორი: ნ. ვარძიელი.
სარედაქციო კოლეგია: ნ. ტალახაძე, ა. კაჭარავა,
ი. როინაშვილი, პროფ. მ. ნუცუბიძე, ს. ჯაფარიძე, კ. მაქელაძე, კ. ქავთაძე.

საქ. ს. ს. რ. იუსტსახკომის გამოცხადება

თანახმად საქ. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. დეკემბრის 14 დადგენილებისა „საქ. მ. გ. კანონთა და განკარგულებათა კრებულის სავალდებულო გამოწერის შესახებ“ აცხადებს

სახელმწიფო, კოლპერატულ დაწესებულებათა და საწარმოთა და აგრეთვე კერძო დაწესებულებათა და პირთა საყურადღებოდ, რომ

იღებენ ხელისმეორებას

საქართ. მუშ. და გლეხ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულზე 1928 წლისათვის

საქ. ს. ს. რ. იუსტ. სახ. კომისარიატის გამოცხადებას სავალდებულო კაპს:

- | | |
|---|---|
| 1. საქ. ს. ს. რ. კონსტიტუცია საუკეთესო ქალაქებზე, ქართულ ენაზე — 40 კ. | 14. საქ. ს. ს. რ. სასამართლოს წყობილების დებულება, ქართულ ენაზე — 25 კ. |
| 2. საქ. ს. ს. რ. კონსტიტუცია საუკეთესო ქალაქებზე, რუსულ ენაზე — 40 კ. | 15. საქ. ს. ს. რ. სისხლის სამ. საპრ. კოდ. 1927 წ. გამოცემა — 70 კ. |
| 3. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული 1923 წ. ქართულ ენაზე, კომპლექტი . 1 მ. 20 კ. | 16. იგივე რუსულ ენაზე — 70 კ. |
| 4. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკ. კრებ. 1924 წ. ქართულ და რუსულ ენაზე 2 მ. — | 17. საქართველოს ს. ს. რ. კონსტიტუცია (ბროშურად) გაყიდულია. |
| 5. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1925 წ. ქართულ და რუსულ ენაზე 1 მ. 50 კ. | 18. „ტყის წესების დარღვევა—წანახედი“ სახელმძღვანელო თემალმასკობებისათვის (გაყიდულია). |
| 6. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1926 წ. ქართულ და რუსულ ენაზე 3 მ. 10 კ. | 19. ბროშურა „კომლის გაყრა“—მ. ქორჭაშვილი — 20 კ. |
| 7. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1927 წ. ქარ. ენაზე 3 მ. — | 20. „საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის ახსნა განმარტებანი მიწის კოდექსის ზოგიერთი მუხლებისა“—(გაყიდულია). |
| 8. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1927 წ. რუს. ენაზე 3 მ. — | 21. „იუსტსახკომის მომქმედი 1925 წ. ინსტრუქციებისა და ცირკულიარების კრებული“ 1 მ. — |
| 9. საქ. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსი. (გაყიდულია). | 22. ბროშურა „მიწის შრომითი იჯარა“— 15 კ. ა. ალხოვი. |
| 10. სამოქალაქო პროცესი. სახელმძღვან. ს. ჯაფარიძისა.—ქართულ ენაზე . . 1 მ. 65 კ. | 23. „მსჯავრდადებულთა ცნობარი“ 1924 და 25 წ.წ. 3 მ. — |
| 11. საქ. ს. ს. რ. სამოქალაქო კოდექსი, ქართულ ენაზე 1927 წ. გამოცემა — 75 კ. | 24. „იუსტსახკომის მომქმედი—1926 წ. ინსტრუქციებისა და ცირკულიარების კრებული“ (იბეჭდება). |
| 12. იგივე რუსულ ენაზე — 75 კ. | 25. „საქართველოს ს. ს. რ. შრომა გასწორების კოდექსი“. — 50 კ. |
| 13. საქ. ს. ს. რ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ქართულ ენაზე — 45 კ. | 26. „კომლის და მის წევრთა უფლება მოვალეობანი — კ. მიქელაძე. (პოპულიარული წიგნაკი)—იბეჭდება. |
| | 27. „სახალხო მსაჯულის უფლება—მოვალეობანი სასამართლოში“ (იბეჭდება). |

ახლო მომავალში გამოვა საქ. ს. ს. რ. საოჯახო, სისხლის სამართლის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსები რომელს ქართულ ისე რუსულ ენაზე.

ამის გარდა გამომცემლობას შეუძლიან მიაწოდოს მსურველთ რ. ს. ფ. ს. რ. და უკრ. რეპ. იურიდიული ლიტერატურის ყველა ახალი გამოცემა. ყველა მოთხოვნას კანონთა კრებულის, კოდექსების და იურიდიული ლიტერატურის გაგზავნის შესახებ გამოცემლობა ასრულებს დაუყოვნებლივ ფოსტით ფულის მიღების უმაღლეს ან და ფასდადებით გაგზავნის შესახებ მოთხოვნის მიღებისთანავე.